

## თავი 63

სიტყუაჲ ესე: „და წარვიდა მიერ იესუ და მივიდა ადგილთა ტჯროსისა და სიდონისათა. და აჰა ესერა დედაკაცი ქანანელი საზღვართა მათგან გამოვიდა, ლაღადებდა და იტყოდა: შემინყალე მე, უფალო, ძეო დავითისო“ (15,21-22).

რადსათჳს-მე წარვიდა კერძოთა ტჯროსისა და სიდონისათა? ვინადთ-გან ჰურიებრივი იგი ჭამადთა კრძალვად განაქარვა, ჯერ-იჩინა ან განღებად კარი წარმართთა, რომელთა შესლვად ყოფად იყო შემდგომად ამალღებისა მისისა; ვითარცა-იგი პეტრე, მოილო რაჲ ბრძანებაჲ არარიდობისა ჭამადთაჲსა, მეყსეულად წარივლინა კორნელიოჲსისა. ხოლო უკუეთუ ვინ იტყოდის, თუ: ვითარ ჰრქუა თავადმან მოწაფეთა, ვითარმედ: „გზასა წარმართთასა ნუ მიხუალთ“,<sup>1</sup> და მერმე თავადივე ვიდოდა ყოველთასა პირველ გზასა მას? პირველად ამას ვიტყვო, ვითარმედ: არა თუ ვითარ-იგი მოწაფეთა ამცნო, ეგრეთვე იგი თანამედებ იყო; მეორედ, რამეთუ არა განცხადებულად ქადაგებად მოსრულ იყო. ამისთჳსცა იტყვს მარკოზ, ვითარმედ: „შევიდა სახლსა და არა უნდა, რათამცა აგრძნა ვინმე, და ვერ ჴელენიფა დაფარვად“.<sup>2</sup> ხოლო ესე კუალად არა ღირს იყო კაცთმოყუარებისა მისისა, რათამცა რომელნი-იგი შეუფრდებოდეს, არამცა შეინყნარნა. რამეთუ იხილეთ, თუ რაოდენისა კაცთმოყუარებისა ღირს არს დედაკაცი იგი, რომელსა ესოდენ უღირსად აქუნდა თავი თჳსი, რომელ არა იკადრა მისლვად იერუსალჴმდ, არამედ იხილა რაჲ უფალი მისრული ქუეყანასა მას, შეუფრდებოდა და ლაღადებით ითხოვდა წყალობასა.

ხოლო ვიეთმე თქუეს ესეცა თარგმანებაჲ, ვითარმედ სახე იყო დედაკაცი იგი წარმართთა ეკლესიისაჲ. რამეთუ ოდეს გამოვიდა ქრისტე ჰურიასტანით, მაშინ შეენყნარა მას ეკლესიაჲ წარმართთაჲ, გამოსრული საზღვართაგან თჳსთა, ვითარცა წერილ არს: „დაივიწყე ერი შენი და სახლი მამისა შენისაჲ“.<sup>3</sup> რამეთუ გამოვიდა ქრისტე საზღვართაგან ჰურიასტანისათა, და დედაკაცი იგი – საზღვართაგან თჳსთა, და ესრეთ შეემთხვნეს ურთიერთას. ესე იგი არს, ვითარმედ ქრისტე გარდამოჴდა ზეცით, და ეკლესიაჲ განეშორა საცთურთაგან კერპთმსახურებისათა, და ესრეთ შეინყნარა იგი უფალმან.

„და აჰა ესერა დედაკაცი ქანანელი საზღვართა მათგან გამოვიდა, ლაღადებდა და იტყოდა: შემინყალე მე, უფალო, ძეო დავითისო, რამეთუ ასული ჩემი ბოროტად ეშმაკეულ არს“.

იტყვს მახარებელი შესმენასა მის დედაკაცისასა, რამეთუ ქანანელი უწოდა, რათა საკრველი ესე გამოაჩინოს და იგი უმეტესად აქოს. რამე-

<sup>1</sup> მათ. 10,5.

<sup>2</sup> მარკ. 7,24.

<sup>3</sup> ფსალმ. 44,11.

თუ გესმას რად ქანანელი, მოივსენენ წარმართნი იგი უშჯულონი, რომელთა წესნიცა ბუნებისანი გარდააქცინეს; და იგინი რად მოივსენენ, გულისწმა-ყავ ძალი ქრისტეს მოსლვისად, რამეთუ რომელნი-იგი განითხინეს ქუეყანისაგან თვისისა, რადთა არა განდრიკენ ჰურიანი, ესოდენ ან უგონიერეს ჰურიათასა იქმნეს, ვიდრელა გამოვლენცა საზღვართაგან თვსთა მიგებებად ქრისტესა, ხოლო ჰურიანი მათდა მოსრულსაცა უფალსა არა შეინყნარებენ.

ქანანელი იგი ღალატებს და ითხოვს წყალობასა ასულისათვის ეშმაკ-თაგან გუმულისა, რადთა გუასწაოს ყოველთა ამის ღალატებისა შენრ-ვად უფლისა: „შემიწყალე მე, უფალო“. არა თქუა, თუ: შეიწყალე ასული ჩემი, არამედ: „შემიწყალე მე, უფალო“, რამეთუ ასული ჩემი ბოროტად იგუმების ეშმაკისაგან და ცნობამიღებულ არს ვნებისა მისგან, ხოლო მე ვარ, რომელსა ძლიერად მელმის სალმობისათვის მისისა და უმეტეს მისა ვიგუმები.

**„ხოლო იესუ არა მიუგო მას სიტყუად“** (15,23). რად არს უცხოვრეს ესე საკვრველი? ჰურიანი უმადლო არიან და გარემიაქცევენ მას; და იგი მო-უნოდს წყალობით და მგობართა მათ ნუგეშინის-სცემს და გამომცდელთა მათ არა დაუტეობს. ხოლო ქანანელსა მას არა მიუგებს სიტყუასა, რომელი-იგი უმეცარ ღათუ იყო შჯულსა და წინადაწარმეტყუელთა, არამედ ესრეთ მჭურვალთა სარწმუნოებითა შეუვრდების და ევედრების. ვისმცა არა შეეწყალა იგი და განკვრდა საქმესა ამას ზედა? რამეთუ არა თუ სხუათა მათ ერთა ხოლო, არამედ მოციქულთაცა შეუძნდა საქმე ესე, გარნა ვერვე იკადრეს თქუამად, თუ: მიჰმადლე მაგას თხოვად მისი, არამედ ესრეთ ეტყვან:

**ს ა ხ ა რ ე ბ ა ა :** „განუტევე ესე, რომელი ღალატებს და შეგვდგს ჩუენ. ჰრქუა მათ იესუ: არა მოვლინებულ ვარ, გარნა ცხოვართა მათ წარწყმედულთა სახლისა ისრაჴლისათა. ხოლო იგი მოუჭდა, თაყუანის-სცემდა მას და იტყოდა: უფალო, შემიწყალე მე! ხოლო თავადმან მიუგო და ჰრქუა მას: არა კეთილ არს მოღებად პური შვილთაგან და დაგებად ძალლთა. ხოლო მან ჰრქუა: ჰე, უფალო, რამეთუ ძალღნიცა ჭამედ ნაბიჭვეისაგან, რომელ გარდამოცვივნი ტაბლისაგან უფალთა მათთადას“ (15,23-27).

**თ ა რ გ მ ა ნ ი :** ფრიად საქებელ არს დედაკაცი ესე, რომელმან ესოდენი აჩუენა სარწმუნოებად და სიმდაბლე. პირველად ღალატებდა: „შემიწყალე მე, უფალო!“ და არარად მიუგო უფალმან; არავე უდებ იქმნა იგი, არცა სა-სოებად წარიკუეთა და შეიქცა. შეეწყალა იგი მონაფეთა, მოაწსენეს მისთვის იესუს, და მიუგო მათ სიტყუად, უფროდსადლა შემძლებელი შენუხებად მისა. ესმა რად ესე დედაკაცსა მას, ნუუკუე წარიკუეთაა სასოებად ანუ დაიდუ-მა ვედრებად? ნუ იყოფინ! არამედ უმჭურვალესნი სიტყუანი წარმოთქუნა.

ხოლო ჩუენ არა ესრეთ ვყვით, არამედ ერთგზის თუ გინა ორგზის ვე-ვედრნეთ და არა მივემთხვნეთ თხოასა მას, მეყსეულად უდებ ვიქმნებით.

გარნა დედაკაცმან მან არა ესრეთ ყო, არამედ იხილა რად, ვითარმედ მოციქულნიცა ევედრნეს მისთვის და არა მიემთხვნეს თხოვასა მას, არავე დაიწსნა მწუხარებითა, არამედ შეიმოსა კადნიერება და ურცხვნიელობა კეთილი, მიუჭდა და თაყუანის-სცემდა და იტყოდა: „უფალო, შემიწყალე მე!“

რად არს ესე, დედაკაცო? არა თუ შენ უმეტესი მოციქულთაჲსა გაქუს კადნიერებად? კადნიერებად არცა ერთი მაქუსო, არამედ მრავლითაცა სირცხვლითა სავსე ვარ, გარნა არა წარვიკუეთ სასოებასა, არამედ ვევედრები, ვიდრემდის შემიწყალოს მე სახიერმან უფალმან. და არა გესმაა, ვითარმედ: „არა მოვლინებულ ვარ, გარნა ცხოვართა მათ წარწყმედულთა სახლისა ისრაჴლისათა“? ჰე, მესმაო, გარნა იგი უფალ არს ყოვლისავე და ჴელმწიფებად აქუს ჩემდაცა შეწყალებად. ამისთვის არცა ვიტყვ, თუ: ევედრე მომავლინებელსა შენსა, არამედ ვიტყვ: „შემიწყალე მე“ და შემენიე მე, რამეთუ უწყი, ვითარმედ ყოველივე ძალ-უც და ყოველივე ჴელ-ენიფების, ვითარცა უფალსა ყოველთასა. ხოლო რად არს ესე, თუ: „არა მოვლინებულ ვარ, გარნა ცხოვართა მათ წარწყმედულთა სახლისა ისრაჴლისათა“? მოვლინებად უკუე და მოსლვად ერთ არს, რამეთუ უფალი ჩუენი იესუ ქრისტე მოვიდა ცხორებად სოფლისა ნებითა მამისაჲთა და თანაშენეწვითა სულისა წმიდისაჲთა. ან უკუე, ოდეს-იგი ნებასა და ჯერ-ჩინებასა მამისასა გამოაჩინებდეს, იტყვს, ვითარმედ: „მოვივლინე“, ხოლო ოდეს თვსსა მას ჴელმწიფებასა და მამისა თანაარსებასა გუაუწყებდეს, იტყვს, ვითარმედ: „მოვედ“. და ორივე ერთ არს, და ორისაგანვე განუყოფელობასა ვისწავებთ და შეურევნელობასა მამისა და ძისა და წმიდისა სულისასა.

ესრეთ უკუე მოასწავებს უფალი სიტყუათა ამათ მიერ, ვითარმცა იტყოდა, ვითარმედ: არა არს წუთერთ ჟამი წარმართთა ქადაგებისაჲ, რამეთუ ჯერეთ არა უქმნიეს ისრაჴლსა სრულიადი ჯმნად ცხორებისაგან თვსისა, არამედ მე ან მათდა ჴელ-მიყოფიეს მოქცევად წარწყმედისაგან და არღა მივალ უცხოთესლთა მიმართ, რაჲთა არა მივსცე მათ მიზეზი დაბრკოლებისაჲ. ხოლო ოდეს-იგი მათ იჯმნან სრულიად ჩემგან და თქუან, ვითარმედ: არა გუნებავს მეუფებად შენი ჩუენ ზედა, და მიმცენ ჯუარ-ცუმად, მიერთგან განელოს წარმართთა გზად იგი ცხორებისაჲ, და მაშინ მოუწოდო მათ მონებად ჩემდა თანა მამით და სულით წმიდითურთ.

არამედ ყოველსავე მას სიტყუასა ზედა დედაკაცი იგი არა დააცადებდა ვედრებასა, რამეთუ მოუჭდა, თაყუანის-სცემდა მას და იტყოდა: „უფალო, შემიწყალე მე!“

„ხოლო თავადმან მიუგო და ჰრქუა მას: არა კეთილ არს მოღებად ჰური პირისაგან შვილთაჲსა და დაგებად ძალლთა“.

რაოდენცა მან განამრავლა ვედრებაჲ, ესოდენ უფალმან დაამძიმა საქმე იგი და არღარა ცხოვარ უწოდა ისრაჴლთა, არამედ შვილ, და იგი საზომსა ძალლთასა განანესა. ხოლო დედაკაცმან მან სიტყუათავე მათგან შეჰმზადა ვედრებაჲ, ვითარმცა იტყოდა, ვითარმედ: საზომსა თუ ძალლთა-

სა ვარ, მიხარის, რომელ ხოლო არა უცხოვ ვარ, არამედ შენისავე კელმნიფებისა ვარ. ჯერ-არს უკუე ჩემიცა გამოზრდა ნაბიჭვისაგან ტაბლისა მის კეთილთა შენთაჲსა, რამეთუ ძალნიცა იზარდებიან; დაღაცათუ არა ღირს იყვნენ პურსა, არამედ ნაბიჭვესა მიიღებენ და კმა არს მათდა, უკუეთუ ტაბლაჲ იგი მდიდარ იყოს. ან უკუე შენისა მის ტაბლისა სიმდიდრე, # მეუფეო, ესრეთ დიდ არს და გარდამატებულ, რომელ ნაბიჭვეი ხოლო კმა არს აღვსებად ჩემდა ფრიადითა კეთილითა, არა ჩემდა ოდენ, არამედ სხუათაცა მრავალთა. კეთილად იტყოდა უფალი სხუასა ადგილსა, ვითარმედ: „სჯად ამას სოფელსა მოსრულ ვარ“,<sup>1</sup> რამეთუ აჰა ესერა დიდ იქმნებოდა ამის დედაკაცისაგან დასჯილებაჲ ჰურიათაჲ.

ესე შეურაცხ იქმნა და არავე წარვიდა, არამედ სიტყუათა მათ სიბრძნისათა წარმოიტყვს. ხოლო იგინი პატივ-იცემებოდეს და ბევრეულთა ქველისმოქმედებათა ღირს იქმნებოდეს და უმაღლოებითა სავსე იყვნენ და ყოველსავე უგულებელს-ჰყოფდეს, ვიდრელა სრულიადი განდგომილება იზრახეს. ხოლო უფალმან არა მისცა მათ ყოვლადვე მიზეზი. ამისთვისცა აღსასრულადმდე მათ თანა დაადგრა, ასწავებდა და ჰკურნებდა ყოველსავე სენსა და ყოველსავე ცისად-ცისად გუემულებასა და წარმართთა მიმართ არა მივიდოდა, არამედ ძალლად სახელ-სდვა მათ და ჰურიათა – შვილად. ხოლო ვინაჲთგან უშჯულოთა მათ არა შეჰრცხუნენა, არცა შეძრწუნდეს ჯელისა მიყოფად მის ზედა, წინაუკუემოიქცა სახელი ესე, და იქმნეს იგინი ძალლ და გამოეჭუნეს საღმრთოჲსა მის საზრდელისაგან, ვითარცა თქუა მათთვის დავით: „მიიქცენ მწუხრი და [და]ყმებოდიან, ვითარცა ძალნი“.<sup>2</sup> ხოლო წარმართთა შეინყნარეს ქადაგებაჲ მოციქულთაჲ, და მისცა მათ კელმნიფებაჲ შვილ ღმრთისა ყოფად, რომელთა ჰრწამს სახელი მისი.

ხოლო რადსათვს ესოდენი აჩუნა უფალმან დედაკაცსა მას მძიმედ შეწყნარებაჲ ვედრებისა მისისაჲ? არა თუ არა ენება მიცემად მისა თხოვაჲ იგი, რამეთუ უკუეთუმცა არა ენება, არცამცა მიეცა, არამედ იცოდა უფალმან, თუ ვითართა სიტყუათა ეგულებოდა დედაკაცსა მას თქუამდ. ამისთვის ჰყოვნიდა მინიჭებად მისა, რადთა გამოაცხადოს გონებაჲ მისი, სავესე სიბრძნითა და სარწმუნოებითა და სიმდაბლითა. და ვითარცა-იგი ასისთავსა მის ზე ქმნა, რამეთუ თქუა: „მოვიდე და განვკურნო იგი“,<sup>3</sup> რადთა გამოცხადნეს სარწმუნოებაჲ მისი, ვითარ მიუგო, ვითარმედ: „არა ღირს ვარ მე, რადთამცა სართულსა ჩემსა ქუეშე შემოხუედ“;<sup>4</sup> და წიდოვნისა მისთვის იტყოდა: „ვინ შემახო მე?“<sup>5</sup> რადთა განცხადებულ იქმნას სარწმუნოებაჲ მისი; და სამარიტელსა მას ამხილა ცოდვაჲ მისი, რადთა საცნაურ-ყოს, ვითარ მხილებულიცა არავე განჰკრთა, არამედ უმეტესსა სარწმუნოებასა მოვიდა. ეგრეთვე აქა ესრეთ განანესა, რამეთუ არა ენება, რადთამცა დაიფარა ესოდენი სათნოებაჲ დედაკაცისაჲ მის, არამედ ჯერ-უჩნდა გამოცხადებად

<sup>1</sup> იოან. 9,39.

<sup>2</sup> ფსალმ. 58,7.

<sup>3</sup> მათ. 8,7.

<sup>4</sup> მათ. 8,8.

<sup>5</sup> ლუკ. 8,45.

დიდძალი იგი საუნჯე მის შორის დაფარული სარწმუნოებისა მის მჭურვალისა და სიმდაბლისა ფრიადისა; ვითარ თავადმან შვილად უწოდა უმადლოთა მათ ჰურიათა, ხოლო მან არა ხოლო დრტუნვა არა აჩუენა, არამედ უფროსად აღჰმატა ქება მათი; თქუა, ვითარმედ: „ძალღნიცა ჭამედ ნაბიჭვეისაგან, რომელ გარდამოცვინ ტაბლისაგან უფალთა მათთაგან“. იხილეთ სიბრძნე და სიმდაბლე დედაკაცისა მის? იხილეთ კუალად ზუაობად იგი ჰურიათად: „ნათესავნი აბრაჰამისნი ვართო და არასადა ვის ვჰმონებდით“,<sup>1</sup> და სხუასა ესევეთარსა მრავალსა იტყოდეს. ხოლო დედაკაცი იგი არა ესრეთ, არამედ ყოვლითა შემუსრვილებითა სავსე არს. ამისთვისცა იხილეთ, რად-იგი უფალმან ჰრქუა მას:

**ს ა ხ ა რ ე ბ ა :** „**ჰ დედაკაციო! დიდ არს სარწმუნოებად ეგე შენი; გეყავნ შენ, ვითარცა გნებავს! და განიკურნა ასული იგი მისი მიერ ჟამითგან**“ (15,28).

თ ა რ გ მ ა ნ ი : ამისთვის ჰყოვნიდა მინიჭებად მისა თხოად იგი, რადთა ესე სიტყუად აღმოთქუას, რადთა ესრეთ გვრგვოსან-ყოს იგი.

„გეყავნ შენ, ვითარცა გნებავს!“ და მეყსეულად განიკურნა ასული მისი, რამეთუ იგი ენება.

ესე ჳმად მსგავს არს პირველსა მას სიტყუასა, რაჟამს თქუა: „იყავნ სამყაროდ!“<sup>2</sup> და „იყავნ ნათელი!“<sup>3</sup> და იქმნა ყოველივე. ეგრეთვე აქა ჰრქუა: „დიდ არს სარწმუნოებად შენი; გეყავნ შენ, ვითარცა გნებავს!“ და მეყსეულად განიკურნა ასული მისი, რადთა ცნან ყოველთა, ვითარმედ არა სასმენელად ხოლო იტყოდა სიტყუათა მათ, არამედ სიღრმითა გულისადათა. ამისთვის სარწმუნოებისაებრ მისისა ბრძანა ქმნად, რადცა ენებოს, და განიკურნა მეყსეულად ასული მისი.

ხოლო თქუენ იხილეთ, ვითარ მოციქულნი ევედრნეს მისთვის, და არა შეისმინა მათი. იგი ევედრა და ყოველივე თხოად თვისი აღასრულა, რადთა ჩუენ ვისნაოთ ძალი ლოცვისა, თუ რაოდენ შემძლებელ არს. რამეთუ თავთა ჩუენთათვის ჩუენ მიერ, შეცოდებულთა ამათ, ჰნებავს ვედრებისა სმენად, ვიდრელა სხუათა მიერ ჩუენთვის ლოცვისა. არა უმეტესი აქუნდაა მოციქულთა კადნიერებად, ვიდრელა დედაკაცსა მას? არამედ რომელ-იგი მათ არა უსმინა, მისი ისმინა, რაჟამს-იგი ფრიადი აჩუენა ვედრებად და სიმდაბლე. და მოციქულთაცა გამოუცხადა, ვითარმედ ამისთვის არა ისმინა მათი, რადთა დედაკაცისა მის სათნოებად საცნაურ იქმნას.

**ს ა ხ ა რ ე ბ ა :** „**და წარვიდა მიერ იესუ და მოვიდა ზღვსკიდესა მას გალილეასასა და აღვიდა მთასა და დაჯდა მუნ. და მოუჳდა მას ერი მრავალი, რომელთა ჰყვა მათ თანა მკელობელები, ბრმები, ყრუნი, ქუენარმძრომელ-**

<sup>1</sup> იოან. 8,33.    <sup>2</sup> დაბ. 1,6.    <sup>3</sup> დაბ. 1,3.

ნი და სხუანი მრავალნი თითოსახეთაგან სენთა შეპყრობილნი. და დასხნეს იგინი ფერვთა თანა მისთა, და განკურნნა იგინი, ვიდრე უკვრდაცა ერსა მას, ხედვიდეს რად, ვითარ-იგი ყრუნი იტყოდეს, და მკელობელნი ვიდოდეს, და ღრეკილნი განიკურნებოდეს, და ბრმანი ხედვიდეს; და ადიდებდეს ღმერთსა“ (15,29-31).

თ ა რ გ მ ა ნ ი: ოდესმე თავადი მიმოვალს და ჰკურნებს, და ოდესმე მივლის მისა მისლვად, რადთა მათცა აჩუენონ სარწმუნოებად, ვითარცა ან ესერა აღვიდეს მთად უძღურნი იგი და მკელობელნი, და მეყსეულად ყოველნი განკურნნა. და იყო ქეშმარიტად სასწაული დიდებული: ზეტკრთულნი აღვიდეს მთად და ფერვითა თუსითა შთავიდოდეს ხლდომით; აღვიდეს ბრმანი წინაძღომითა სხუათადათა და შთავიდოდეს ბრწყინვალითა თუალითა; აღვიდეს შეღრეკილნი და შთავიდოდეს აღმართებულნი. ამისთვს სიმრავლემან მან განკურნებულთამან და სიადვილემან კურნებისამან განაკვრვა ერი იგი და ადიდებდეს ღმერთსა.

იხილეა, ვითარ დედაკაცისა მის თხოად ესრეთ მყოარ ჟამ ვედრებითა მიანიჭა, ხოლო ესენი მეყსა შინა განკურნნა? არა თუ ესენი უმჯობეს მისსა იყვნეს და ამისთვს ყო ესრეთ, არამედ რომელ-იგი უმორწმუნეს ამათსა იყო, ამისთვს მისისა მის ასულისა კურნებად ჰყოვნიდა, რადთა სარწმუნოებად და მჭურვალებად მისი გამოაჩინოს. ხოლო ამათ ნამსა შინა მიანიჭა კურნებად, რადთა დაუყოს პირი ურწმუნოთა მათ ჰურიათა და ყოველივე მიზეზი მოუნყვდოს მათ. რამეთუ რაოდენცა უმეტესთა ვინ ქველისმოქმედებათა მიემთხვოს, ეგოდენ უმრავლესთა სატანჯველთა ღირს იქმნების, უკუეთუ უმადლო იპოვოს და არცა თუ პატივისა მისგან შეიკდიმოს. ამისთვსცა მდიდარნი უკუეთუ უკეთურ იპოვნენ, უმეტეს გლახაკთა ცოდვითასა იტანჯნენ, რომელ-იგი არცა თუ უხუად მონიჭებულთა მათ კეთილთა ზედა ღმრთისათა შეიმოსეს მათ გონებად კეთილი.

## სწავლარ ნბ მონყალებისათვს

და ნუ ამას იტყვ, თუ: ქმნეს მათ მონყალებად; რამეთუ უკუეთუ არა ქმნეს შემსგავსებულად მონაგებისა თვისისა, ვერ განერნენ სატანჯველსა. რამეთუ არა თუ საზომითა მით მისაცემელისადათა განიკითხვის მონყალებად, არამედ უხუებითა მით გონებისადათა. უკუეთუ ვისმე აქუნდეს ორი დრაჰკანი და ერთი მისცეს ქველისსაქმედ, და სხუასა აქუნდეს ათასი და ასი მისცეს ქველისსაქმედ, რომელმან ქმნა უმეტესი ქველისსაქმე? ქეშმარიტად მან, რომელმან ორისაგან ერთი მისცა, რამეთუ მან ნახევარი მონაგებისა თვისისა მისცა ქრისტესა, ხოლო მეორემან მან – მეათედი. ან უკუე

საცნაურ არს, ვითარმედ რომელი მდიდარ იყოს, დაღაცათუ მისცემდეს ქველისსაქმესა, არამედ უკუეთუ შემსგავსებულად სიმდიდრისა თვისსა არა მისცეს, საბრალობელ არს და დასასჯელ. ხოლო უკუეთუ ესე ვითარნი იგი დასასჯელ არიან, რავდენ უფროდს იგინი, რომელთა მეტი და ნამეტნავი აქუს და გლახაკთა არა სწყალობენ, რომელნი ტაძართა მრავალსართულთა და ქორისქორთა ოქროქანდაკებულთა აღაშენებენ და ოქროსა და ვეცხლსა განამრავლებენ და მშვიერთა არა გამოჰზრდიან, არცა შიშუელთა შეჰმოსენ?

ხოლო ვინაფთაგან მონყალებისათჳს შემოვიდა სიტყუად, მოედით, კუაღად ვთქუათ, რომელსა-იგი პირველ სამისა დღისა ვიტყოდეთ. რამეთუ მაშინ ვთქუთ, ვითარმედ მონყალებაჲ ველოვნებაჲ არს კეთილი, ღმრთისა მიერ მონიჭებული, და სავაჭროდ მისი ცათა შინა არს, და მოძღუარ ველოვნებისა მის არავინ არს კაცთაგანი, არამედ ღმერთი.

მოედით უკუე, იგივე სიტყუად გამოვიძიოთ. რამეთუ ყოველივე ველოვნებაჲ საქმისა რომლისამე მიმართ საჭმარ არს: მჭედლობაჲ საჭმარ არს, რათა იქმნას ცული და ერუე, ხერხი და საწნისი, ჳრმალი და ლახუარი და სხუად ესე ვითარი. ხუროვნებაჲ ეგრეთვე საჭმარ არს შენებად ტაძართა და სხვსა ყოვლისავე ძელითხუროებისა, გინა თუ ქვათხუროებისა. ეგრეთვე ყოველნი ველოვნებანი არიან, თითოეული რომლისავე საქმისათჳს საჭმარ არს. ეგრეთვე, ვინაფთაგან მონყალებაჲცა ველოვნებად სათნოდ მოცემულ არს ჩუენდა, ვიხილოთ, თუ რომელსა საქმესა საჭმარ არს იგი, ანუ რად არს სარგებელი მისი.

არა ტაძართა გჳშენებს თიწისაგანთა, არცა სამოსელთა ანუ ჳამლთა გჳკერავს განხრწნადთა, არამედ ველთაგან სიკუდილისათა გჳწსნის და საუკუნესა მას ცხორებასა შეგჳყვანებს და აღგჳშენებს სავანეთა მათ და საყოფელთა საუკუნეთა; ლამჳართა ჩუენთა არა შეუწდობს დაშრეტად, არცა სამოსლითა ხენეშითა შეგჳწდობს შესლვად სასძლოსა მას, არამედ განგუასჳეტაკებს; არა შეგჳწდობს შთავრდომად, სადა მდიდარი იგი შთავარდა, არცა სმენად სიტყუათა მათ მძიმეთა, არამედ მიმიყვანებს ჩუენ წიაღთა აბრაჳამისთა.

ველოვნებანი ესე სოფლიონი – თითოეულსა ერთი საქმე უპყრიეს და უფროდსად თვისსა მასცა საქმესა ვერვე აღასრულებს, უკუეთუ სხუადცა ველოვნებაჲ არა შეინოს. რამეთუ მუშაკისა საქმე არს მორენად საზრდელისა, არამედ უკუეთუ არა თანაშეენიოს მჭედლობაჲ ქმნად ცულისა და თოწისა და საწნისისა და სხვსა მრავლისა, ვერარას ველ-ენიფების ქმნად. ეგრეთვე ყოველნი ველოვნებანი ჳურჭელთა საქმისა თვისისათა სხუათა ველოვნებათაგან მოირენენ, ხოლო მონყალებასა არავისგან უწმს მორენად, არამედ გონებაჲ ხოლო კეთილი საჭმარ არს და ყოველივე წარუმართებიეს. ხოლო უკუეთუ იტყვ, ვითარმედ: ჰე, უწმს მონყალებასაცა სხვთ მოგებაჲ საქმისა თვისისაჲ; უკუეთუ არა მქონდის საფასე, საჭმარნი და სამოსელ-

ნი, ვითარ ვყო ქველისსაქმე, ვითარ გამოვზარდო მშიერი, ვითარ შევმო-  
სო შიშუელი? ხოლო რომელი ამას იტყვ, კაცო, წარმოიტხე, რა ბრძანა  
უფალმან ქურივისა მისთვის, და ნულარა იჭირვი ამის ჯერისათვის. რამე-  
თუ დალაცათუ ფრიად გლახაკ იყო, უკუეთუ ორი წულილი მისცე, სრული  
გიქმნიეს საქმე იგი; უკუეთუ წუეზად პურისად ანუ კოტორი ერთი მისცე და  
სხუად არა გაქუნდეს, თავსა მას აღსრულ ხარ კიბისასა.

ან უკუე ვისწრაფოთ ამის წელოვნებისა სწავლად, რამეთუ უმჯო-  
ბეს არს ამისი წარმართებად, ვიდრელა დაპყრობად ყოველთა მეფობათა  
ქუეყანისათა. და არა ესე ხოლო არს საქმე მისისა წელოვნებისად, რომელ  
არა უჭმს კაცთა წელოვნებათაგან მოღებად შეწევნისა, არამედ რომელ-  
იგი საკვრველთა და დიდებულთა საქმეთა აღმასრულებელი არს, რამეთუ  
ტაძართა აღაშენებს სამარადისოდ მდგომარეთა ცათა შინა და ასწავებს  
მოყუარეთა თვსთა, თუ ვითარ განერნენ უკუდავისა მისგან სიკუდილისა,  
და საუნჯეთა მინიჭებს წარუპარველთა და წმიდა-ჰყოფს სულსა ყოვლი-  
სავე ბრალისაგან. და რად საჭმარ არს თითოეულად წარმოთქუმად საქმე-  
თა მისთად? ერთი მიგითხრა და კმა არს. ესე გასწავებს, თუ ვითარ იქმნა  
მსგავს ღმრთისა, რომელ-ესე თავი არს და ბეჭედი ყოველთა კეთილთად.  
რადმცა უკუე იყო სწორ მისა და უაღრეს, რამეთუ სხუანი ყოველნი წელოვ-  
ნებანი არა ხოლო თუ უძღურ არიან და ვერ შემძლებელ თავით თვსით  
წარმართებად საქმისა თვსისა, არამედ განქარვებადნიცა არიან და საწუთ-  
როსა ამას ცხორებასა თანა წარმავალნი; და მოქმედნი რად მათნი მოუძ-  
ღურდენ, არლარა ჩანან, და საქმესა თვსსა განუქარვებელად ვერ დაიცვენ  
და შრომად უჭმს და სიგრძე ჟამისად და სხუად ესევეთარი მრავალი. ხოლო  
სულიერი ესე წელოვნებად მონყალებისად, ოდეს სოფელი წარწდეს, მაშინ  
უმეტესად გამოზრწყინდების, ოდეს მოვკუდეთ, მაშინ გამოჩნდების. არა  
უჭმს არცა შრომად, არცა სიგრძე ჟამისად, არცა სხუად რადმე სიძნელე, არა-  
მედ უძღურებასა შინა თუ იყო, აღესრულების, და-თუ-ჰბერდე, ეგრეთვე;  
გან-რად-ხვდე ამიერ სოფლით, თანამოგზაურ გექმნების და არაოდეს და-  
გიტეობს, უგონიერეს და უბრძნეს გყოფს შენ ფილაფობთა და გამომეტ-  
ყუელთასა და უსაწადელეს ყოველთა კაცთასა. რამეთუ ფილოსოფოსთა  
მათ და სიბრძნისმეტყუელთა მრავალნი ჰქონან მოშურნენი, ხოლო ამის  
წელოვნებისა წარმართებელთა მრავალნი ჰქონან მლოცველნი. ესე შე-  
იყვანებს მოქმედთა თვსთა წინაშე საყდართა ქრისტესთა და თანაშეწე-  
ვის და განამართლებს მათ. დალაცათუ ფრიად შეცოდებულ იყოს მოქმედი  
იგი მისი, ღირს-ჰყოფს წყალობასა და გვრგვინოსნობასა. ამის მიერ ჰგიეს  
სოფელი, ხოლო ესე თუ მოსპო, ყოველივე ცხორებად კაცთად დაიწსნას.  
ვითარცა უკუეთუ ვინმცა ნავთსაყუდელნი ზღვსანი ყოველნი დაჰწსნა,  
ვერლარამცა წელ-ენიფებოდა ნავთა სლვად, ეგრეთვე უკუეთუ წყალობად  
და კაცთმოყუარებად დაჰწსნა, ვერლარა ეგოს სოფელი ესე. ამისთვის არა  
ხოლო თუ მცნებად დადვა იგი ღმერთმან, არამედ მრავალი საქმეთა მის-



თაგანი ბუნებასაცა შინა დასთესა, და ამით ნესითა მამანიცა და დედანი შვილთა სწყალობენ და შვილნი – მშობელთა, ძმანი – ძმათა და კაცი – კაცთა, რამეთუ ბუნებითი არს საქმე ესე წყალობისად. ამისთვის, ვიხილით რად კაცი ტანჯვასა შინა ანუ გლოასა, შეგუენწყალის და ვცრემლოოდითცა. ესოდენ უნდა ღმერთსა, რადთა წარემართოს საქმე ესე კაცთა შორის, რომელ ბუნებასაცა შინა დაჰწერგა იგი.

ამისთვის გევედრები, საყუარელნო, ვასწაოთ მოწყალებად თავთა ჩუენთა და შვილთა და მეგობართა ჩუენთა. ამას ისწავლიდინ ყოველი კაცი, რამეთუ ესე არს ჭეშმარიტი კაცებად, ვითარცა იტყვს, ვითარმედ: „დიდ არს და პატიოსან კაცი მოწყალე“. <sup>1</sup> ხოლო ესე თუ არა აქუნდეს მას, კაცებადცა წარუწყმედა, და რად გიკვრს, თუ ვთქუ, ვითარმედ ესე ჰყოფს ჭეშმარიტსა კაცებასა? უფროსად ესე ჰყოფს კაცსა მსგავს ღმრთისა, რამეთუ იტყვს: „იყვენით მოწყალე, ვითარცა მამად თქუენი მოწყალე არს“. <sup>2</sup> ვისწაოთ უკუე წყალობად, რამეთუ ჩუენცა ფრიად გვჭმს წყალობად. ხოლო მოწყალებასა ვიტყვ, რომელი ანგაჰრებისაგან წმიდა იყოს, რამეთუ მონახუეჭისაგან ქმნილი ქველისსაქმე უსარგებლო არს, უკუეთუ თანა იტაცებდეს და თანა მისცემდეს. რამეთუ უკუეთუ არამიცემად თქსისა საფასისად უწყალოება არს, სხვსაგან მოტაცებად რად-მე იყოს?

ან უკუე ნუ იტყვ, თუ: სხვსაგან მოვიხუეჭე და სხუასა მივსცემ, რამეთუ ესე არს საქმე ცუდი. უფროსად მისავე ჯერ-არს მიცემად, რომლისაგან მოიხუეჭე, რამეთუ რად სარგებელ არს, უკუეთუ სხუად მოსწყლა და სხუასა ჰკურნებდე? ყოვლადვე ნუვის მოსწყლავ, არამედ სხვსა მიერ წყლულთაცა ჰკურნებდი. უკუეთუ კულა მოსწყლა, იგივე განკურნე, რამეთუ მისი იგი წყლულებად შენი არს, და თქსსა ჰკურნებ წყლულებასა. განეშორე ანგაჰრებისაგან და მოხუეჭისა, რამეთუ არა ეგების მითვე საზომითა მოწყალებისადთა კურნებად ბრალსა მას ანგაჰრებისასა; რამეთუ მოიხუეჭო თუ დანგი ერთი, არა გეყოფის კუალად დანგისა მიცემად ქველისსაქმედ, რადთა განჰკურნო ბრალი იგი, არამედ ასწილად და ათასწილად გიჭმს მიცემად და ძლით განჰკურნო წყლულებად იგი სულისა შენისად. ხოლო ნაყოფსა მოწყალებისასა ვერცა მაშინ მოიღებ, არამედ ჰე თუმცა ბრალი ხოლო შეგენდო. შჯული მპარავსა ოთხწილად აზღვევს. ან უკუე მტაცებელი დიდად უძკრეს არს მპარავისა. ხოლო უკუეთუ ძუელი შჯული ესრეთ იტყვს, რადდენ უფროდს ახალსა ამას შინა მადლსა. ჰხედავა, რამეთუ არა ცუდად ვიტყოდე, ვითარმედ დანგი თუ მოიხუეჭო, ათასწილად თანაგაც მიცემად და ბევრწილად, რადთა ბრალი იგი ძლით შეგენდოს.

ხოლო ვინადთგან ესე ესრეთ არს, რად-მე ჰყო, ოდეს სახლნი სრულნი და საფასენი დიდძალნი მოიხუეჭნე და მცირედი რადმე მისცი, და იგი არა შენუხებულსა მას, არამედ სხუასა ვისმე უცხოთა? რომელი-მე ჰპოო პა-

<sup>1</sup> იგავ. 20,6.      <sup>2</sup> ლუკ. 6,36.

სუხი მას დღესა, ანუ ვითარი გაქუნდეს სასოებად ცხორებისად? გნებავსა ცნობად, თუ ვითარსა ბოროტსა იქმ ამით საქმითა? ისმინე წერილისად, რასა იტყვს: „ვითარცა ვინ მოკლის ძე წინაშე თუალთა მამისა მისისათა, ეგრეთვე, რომელმან შეწიროს შესანირავი საფასეთაგან გლახაკთადას“.<sup>1</sup> ესე სიტყუად, ძმანო, გამოვწეროთ გულთა შინა ჩუენთა და გონებათა, ჴელთა ზედა და კედელთა და ყოველსა ადგილსა, რაფთა შიში ესე შევიდეს ჩუენდა და დაგუაყენოს დღითი-დღედთა კაცის-კლვათაგან, რომელ იქმნების უწყალოებითა და მოხუეჭითა გლახაკთადათა. უფროჲსლა, საყუარელნო, ჩუენთაცა მონაგებთაგან ვისწაოთ ყოფად ქველისსაქმისა, რაფთა ჩუენცა ვპოოთ უხუეებით წყალობად ღმრთისად და საუკუნეთა მათ კეთილთა ღირს ვიქმნეთ მაღლითა და კაცთმოყუარებითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რომლისა თანა მამასა სულთ წმიდითურთ შუენის დიდებად, პატივი და თაყუანის-ცემაჲ ან და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

---

<sup>1</sup> ზირ. 34,20.

## თავი 68

სიტყუაჲ ესე: „ხოლო იესუ მოუწოდა მოწაფეთა თვსთა და ჰრქუა: მენყალის ერი ესე, რამეთუ ან ესერა სამი დღე არს, და მელიან მე და არარაჲ აქუს, რამცა ჭამეს; და განტევებად მათი უზმათაჲ არა მინებს, ნუუკუე დაცკვენ გზასა ზედა“ (15,32).

და პირველი რაჲ-იგი სასწაული ქმნა ხუთთა მათ პურთაჲ, ეგრეთვე პირველ მისა უძღურებანი იგი ერისანი განკურნნა, ვითარცა-ესე ანცა ქმნა: რაჟამს განკურნნა ბრმანი და ყრუნი და მკელობელნი და ღრეკილნი, მაშინლა საქმე ესე ან აღმოკითხული აღასრულა. გარნა მაშინ მოწაფეთა ჰრქუეს: „განუტევე ერი ესე, რაჲთა ნარვიდენ და იყიდონ თავისა თვისისა საზრდელი“, <sup>1</sup> ხოლო ან თავადი უფალი მოუწოდს აღსრულებად საქმისა ამის. რამეთუ ერნი იგი კურნებად უძღურებათა მათთა მოსრულ იყვნეს და ვერ იკადრებდეს თხოად პურისა, ხოლო სახიერმან მან და მოწყალემან მეუფემან არა უგულუბელს-ყვნა, არამედ ილუანნა იგინი წყალობით და ჰრქუა მოწაფეთა: „მენყალის ერი ესე, რამეთუ ან ესერა სამი დღე არს, და მელიან მე და არარაჲ აქუს, რამცა ჭამეს; და განტევებად მათი უზმათაჲ არა მინებს, ნუუკუე დაცკვენ გზასა ზედა“.

ამისთვის არა პირველსა მას დღესა, არცა მეორესა ქმნა სასწაული ესე, არამედ ოდეს სრულიად მოაკლდა საზრდელი, რაჲთა მათცა უმეტესითა სიხარულითა შეიწყნარონ, და ვერვინ თქუას, თუ იყო პური ერსა მას შორის. რამეთუ უმრავლესნი შორიელნიცა იყვნეს, ამისთვის თქუა: „ნუუკუე დაცკვენ გზასა ზედა“. ხოლო რაჲსათვის მოუწოდა მოწაფეთა და მიუთხრა საქმე ესე? რაჲთა მოაწესნოს მათ ზემოქმნილი იგი სასწაული, და ჰრქუან მას, ვითარმედ: უფალო, უკუეთუ არა გნებავს უზმათა განტევებად მათი, ბრძანე კუალად განმრავლებად პურთაჲ ამათ, და განაძღენ იგინი. გარნა მათ არცა ესრეთ გულსწამა-ყვეს მიზეზი კითხვისაჲ მის, რაჲთამცა აჩუენეს სარწმუნოებაჲ ჯეროანი და მჭურვალე. ამისთვისცა უკუანაძსკნელ აყუედრა მათ უფალმან და ჰრქუა: „რაჲსა ჰზრახავთ გულთა თქუენთა, მცირედმორწმუნენო, რამეთუ პური არა გაქუს?“ <sup>2</sup> ხოლო მარკოზ უმეტესსაცა ყუედრებასა ნარმოიტყვს, რამეთუ მრავალი ქმნა პირველსა მას პურთა განყოფასა დაუფინყებლობისათვის მათისა: ჴელითა მათითა განუყო ერსა პური იგი და მათვე ტვრთვად უბრძანნა გოდორნი იგი ნეშტისანი, გარნა მას ყოველსა ზედა ჯერეთ არა აქუნდა სრულებად. ამისთვისცა იტყვს მახარებელი:

სახარებაჲ: „ჰრქუეს მას მოწაფეთა მათ: ვინაჲ არს ჩუენდა უდაბნოსა ზედა პური ესოდენი, ვითარმცა განძლა ერი ესე? ჰრქუა მათ იესუ:

<sup>1</sup> მათ. 14,15.

<sup>2</sup> მათ. 16,8.

რავდენი პური გაქუს აქა? ხოლო მათ ჰრქუეს მას: შკდი პური და მცირედ თევზი. და უბრძანა ერსა მას დასხდომად ქუეყანასა ზედა. და მოილო შკდი იგი პური და თევზნი, ჰმადლობდა, განტეხა და მისცემდა მონაფეთა, და მონაფენი მისცემდეს ერსა მას. ჭამეს ყოველთა და განძღეს; და აღიღეს ნეშტი იგი ნამუსრევი შკდი სფურიდი სავსე. ხოლო რომელთა ჭამეს, იყვნეს ოთხ ათას მამანი ხოლო, თვნიერ ყრმებისა და დედებისა“ (15,33-38).

თ ა რ გ მ ა ნ ი: იგინი უძღურითა გონებითა წესისაებრ კაცობრივისა ესრეთ იტყოდეს, ხოლო სასნაული იგი სიტყუათა მათგან უეჭუელ იქმნებოდა. რადთა ვერვინ თქუას, ვითარცა ზემო ვიტყოდე, ვითარმედ დაბათაგან მახლობელთა მოიხუნეს პურნი იგი, ამისთვის უდაბნობასა მის ადგილისასა ავსენებენ. რამეთუ ორნივე ესე სასნაულნი ამის პირისათვის უდაბნოთა ზედა იქმნეს.

ხოლო იხილნა რად უფალმან, ვითარმედ ვერ გულისვმის-ყოფით მიუგეს, არამედ ვითარცა შეუძლებელი რადმე წინაუყვეს უდაბნობად ადგილისად მის და ერისა სიმრავლე და პურთა მათ სიმცირე, ვითარცა პირველ (გარნა მაშინ სამართლად უცხო-უჩნდა ხუთითა პურითა გამოზრდად მათი, რამეთუ არღა ეხილვა ესევეთარი სასნაული, ხოლო ან ჯერ-იყო ვსენებად მის საკვრველებისა მოსლვად და არა ესრეთ განკვრვებით თქუმად, თუ: „ვინად არს ჩუენდა ესოდენი პური, ვითარმცა განძღა ერი ესე?“); გარნა იხილნა რად უფალმან, ვითარმედ ვერ აღივსენეს პირველქმნული იგი სასნაული, აღასრულა მეორეცა ესე, მსგავსი პირველისად, და უბრძანა ერსა მას დასხდომად ქუეყანასა ზედა და ყოველივე აღასრულა მსგავსად პირველისა მის სასნაულისა. ხოლო თქუენ, ვითარცა ესე იხილეთ, ვითარმედ ვერღა მიწვენულ იყვნეს სრულსა მას გულისვმის-ყოფასა, ეგრეთვე იხილეთ ჭემარიტებისა მათისა სიმადლე და ბრწყინვალეობად, ვითარ იგინივე იყვნეს ამის ყოვლისა აღმწერელ, და რომელი რადმე არნ საბრალობელ მათა, არა დაჰვარვენ, ვითარცა-ესე ან წინამდებარე სიტყუად. რამეთუ არა მცირედ საბრალობელ იყო მათთვის, რომელ ახლად ქმნილი იგი სასნაული ესრეთ დაივინყეს; და კუალად ესეცა განიცადეთ, ვითარ ყოვლადვე ნაკლულევანად აქუნდა საჭმარი ჭამადისად და იწროებით, რამეთუ შეურაცხეყო სრულიად ჯორციელი შუებად. ხოლო უფალმან მცირედითა მითცა პურითა განაძღო ერი იგი, ვითარცა პირველ. გარნა ესე ხოლო იქმნა განყოფილება, რომელ მუნ ათორმეტი გოდორი აღიღეს სავსე ნეშტითა მით ნამუსრევითა და აქა – შკდი სფურიდი. ვითარ უკუე ერი იგი მაშინ უმეტეს იყო და ნეშტი ესე ან უმცირეს იქმნა? ამისთვის, რადთა არა სწორებად მან რიცხვსამან და სრულიად განუყოფელობამან სასნაულთამან დავინყებად ყოს საქმისად მის. ამისთვის მაშინ ათორმეტი გოდორი აღიღეს, რიცხვსაებრ ათორმეტთა მოციქულთადასა, და აქა – შკდი სფურიდი, რიცხვსაებრ შკდთა მათ პურთადასა. რამეთუ თითოეული პური კმა-ეყო უმეტეს ხუთას სამე-

ოცდაათერთმეტისა კაცისასა, თვნიერ დედებისა და ყრმებისა, და აღივსო ნეშტითა სფურიდი ერთი, ვიდრელა შვდთა მათ პურთა ნამუსრევი შვდივე სფურიდი იყო. რაფთა გამოაჩინოს მიუთხრობელი იგი ძალი მისი და სიადვილე ჳელმწიფებისად მის, ვითარმედ ჳელ-ენიფების მას ესრეთ და ეგრეთ აღსრულებად სასნაულთა მათ. ამისთვისცა ფრიადითა ნესიერებითა მაშინ აღივსო ათორმეტი გოდორი, არცა დააკლდა, არცა შეემატა, და აქა კუალად შვდი სფურიდი დაუკლებელად და შეუმატებელად. და ნუუკუე სფურიდნიცა იგი მათ გოდორთასა უფროს იყვნეს, რამეთუ ესეცა ეგების ყოფად, და ყოვლისაგანვე ღმრთეებისა და მეუფებისა მისისა ძალი ბრწყინავს.

ხოლო მაშინცა და ანცა, ვითარცა აღასრულა სასნაული იგი, მეყსეულად განეშორა ერსა მას, ვინაფთგან სხვსა არცა ერთისა სასნაული-სათვს ესრეთ გულსმოდგინედ მისდევდეს მას, ვითარცა სასნაულისა ამის-თვის პურთაფსა; და არა ხოლო მისდევდეს, არამედ წარყვანებადცა ენება, რაფთამცა ყვეს იგი მეფე, ვითარცა იოვანე იტყვს. ამისთვის განეშორა მათ, რაფთა არავინ შევიდეს იჭუად, თუ ერისა განდგომილებასა იქმს. და არცა თუ ჳმელით წარვიდა, არამედ ნავითა, რაფთა დაეყენენ იგინი შედგომად მისა, ვითარცა ესერა მახარებელი იტყვს:

**ს ა ხ რ ე ბ ა დ :** „და განუტევა ერი იგი და აღვიდა იესუ ნავსა და მოვიდა საზღვართა მაგდალასათა. და მოუწდეს მას ფარისეველნი და სადუკეველნი, გამოსცდიდეს მას, რაფთა სასნაული ზეცით უჩუენოს მათ. ხოლო თავადმან მიუგო და ჰრქუა მათ: შე-რაფ-მწუხრდის, სთქუთ: ყუდრო იყოს, რამეთუ წითს ცაფ; და განთიად სთქუთ: ზამთარი იყოს, რამეთუ კსინავს მწუხარედ ცაფ. ორგულნო, პირი სამე ცისად იცით ცნობად, ხოლო სასნაულნი ჟამთანი ვერ ძალ-გიც გულისწმის-ყოფად. ნათესავი ბოროტი და მემრუ-შე სასნაულსა ეძიებს, და სასნაული არა ეცეს მას, გარნა სასნაული იონა წინაფსწარმეტყუელისად. და დაუტევნა იგინი და წარვიდა“ (15,39-16,4).

**თ ა რ გ მ ა ნ ი :** ხოლო მარკოზ ესრეთ იტყვს, ვითარმედ: მოუწდეს რაფ და გამოეძიებდეს ფარისეველნი იგი და სასნაულსა ეძიებდეს, „სულთ-ითქუნა სულითა თვსითა და თქუა: რაფ არს ნათესავი ესე, რამეთუ ეძიებს სასნაულსა?“<sup>1</sup> დაღაცათუ საქმე მათი ფრიადისა რისხვისა ღირს იყო, რამეთუ გამოუცდელსა მას გამოსცდიდეს, გარნა სახიერი იგი და კაცთმოყუარე არა განრისხნებოდა, არამედ სწყალობდა წარწყმედილებასა მას მათსა, რომელ ესრეთ უკურნებელ იყო სენი მათი. რამეთუ ესოდენტა ძლიერება-თა შემდგომად გამო-ვე-სცდიდეს მას და არა თუ სარწმუნოებისათვს ეძიებდეს სასნაულსა, არამედ რაფთა პოონ მიზეზი ბრალისად მის ზედა. ხოლო უკუეთუმცა სარწმუნოებით მოსრულ იყვნეს, უჩუენამცა, გარნა ვინაფთგან

<sup>1</sup> მარკ. 8,12.

იცოდა, ვითარმედ ზაკუვად იყო გულსა მათსა, ამისთვის ორგულად სახელსდვა მათ სხუასა ადგილსა, რამეთუ სხუასა იტყოდეს და სხუად იყო გულსა მათსა. ხოლო ვითარსა-მე სასწაულსა ეძიებდეს ზეცით? დაყენებასა მზისასა, ანუ შეცვალებასა მთოვარისასა, ანუ ელვათა და მენის-ტეხათა მოყვანებად და სხუასა ესევითარსა. და თავადმან მიუგო: „პირი სამე ცისად იცით ცნობად, ხოლო სასწაულნი ჟამთანი ვერ ძალ-გიც გულისწმის-ყოფად“.

იხილეთ სიტყვობაჲ ესე მონყალისა მის და სახიერისად? ვითარცა ზემო ჰრქუა, ვითარმედ: „სასწაული არა გეცეს თქუენ“, არა ესრეთ ყო აქა, არამედ მიზეზიცა მიუთხრა, თუ რადსათს არა უჩუენებს სასწაულსა.

ხოლო ძალი სიტყვსა მის, რომელ მიუგო, ესე არს: ეტყვს მათ, ვითარმედ: არა უწყითა, ვითარცა-იგი პირსა ცისასა სხუად სახე ჩანს ჟამსა ზამთრისასა და სხუად ჟამსა ყუდროებისა და ჰაერკეთილობისასა, და იხილიან რად კაცთა მკსინვარებაჲ ზამთრისად და მჭუნვარებაჲ ჰაერისად, არა ეძიებდინ ზაფხულსა; არცა მყუდროებასა და ჰაერკეთილობასა შინა ზაფხულისასა ეძიებდინ ზამთარსა, არამედ იციან, ვითარმედ თითოეულისა ამათგანისა ჟამი და საქმე განწესებულ არს. ეგრეთვე საქმეთა ამათ ჩემთაჲ ჯერ-არს გულისწმის-ყოფად, რამეთუ სხუად არს ჟამი ესე აწინდელისა ამის მოსლვისა ჩემისად და სხუად არს მეორისა მის მოსლვისად. ან ამათ სასწაულთა ჯერ-არს ქმნად ქუეყანასა ზედა, ხოლო სასწაულნი მზისა და მთოარისა და ვარსკულავთანი და სხუანი იგი საკვრველნი და ნიშნი ცათა შინა გამოჩინებდინ მის ჟამისათს დამარხულ არიან.

ან ვითარცა მკურნალი სახიერი მოვედ, მაშინ ვითარცა მსაჯული ცხოელთა და მკუდართად მოსლვად ვარ; ან მოძიებად მოვედ შეცთომილთა, მაშინ განკითხვად მომავალ ვარ; ან მიფარულად მოვედ, მაშინ დიდითა განცხადებულებითა ვიხილვო, და წარიგრაგნოს ცაჲ, ვითარცა ქსელი ეტრატისად, მზე დაბნელდეს, და მთოვარემან არა გამოსცეს ნათელი თვისი. მაშინ ძალნი ცათანი შეძრწუნდენ, და მიემსგავსოს განცხადებულებაჲ მოსლვისა ჩემისად ელვასა, რომელი გამოჩნდის კიდითგან ცისადთ და ჩანს ვიდრე კიდემდე მისა.

ხოლო ან არა არს ჟამი ესევითართა მათ სასწაულთაჲ, რამეთუ მოსრულ ვარ ვნებათა თავს-დებად და სიკუდილისა, რადთა ვიწსნე კაცნი მძლავრებისაგან სიკუდილისა, და მას აღვასრულებ წინადაწარმეტყუელებასა, რომელ იტყვს, ვითარმედ: „არა ჯდებოდის, არცა ღალადებდეს, არცა ესმეს უბანთა ზედა ჯმად მისი“.<sup>1</sup> და კუალად სხუად წინადაწარმეტყუელი ღალადებს: „გარდამოვდეს, ვითარცა წვმად სანმისსა ზედა“,<sup>2</sup> რამეთუ მდუმრიად და სიმშკდით მოსლვასა ჩემსა მოასწავებს.

ხოლო უკუეთუ ფარაოჲ ზედა და სხუათა მათ წარმართთა ზედა ქმნილთა მათ სასწაულთა იწსენებთ და იტყვთ, თუ რად არა ესევითარ-

<sup>1</sup> ესაია 42,2.

<sup>2</sup> ფსალმ. 71,6.

სა ვიქმ ან, გულისწმა-ყავთ, რამეთუ მაშინ ბრძოლისაგან ხილულთა მათ მტერთადასა ჯერ-იყო წსნად ერისად მის, და საწმარ იყვნეს ესევეთარნი იგი სასნაულნი, ხოლო ან უხილავისა მის მძლავრისაგან მოსრულ ვარ წსნად კაცთა, და არა საწმარ არს ესევეთართა სასნაულთა საქმე. და კუალად ესეცა გულისწმა-ყავთ: ვითარ გიჩუენნე უმრავლესნი სასნაულნი, რომელთა-ეგე აღსრულებულნი ესე არა გრწმანან? რომელნი, უკუეთუმცა არა ესრეთ უგულისწმო იყვენით, ფრიად უზემთაეს არიან პირველქმნილთასა. რამეთუ რადმცა ესწორებოდა სასნაული მიტევებასა ცოდვათასა და აღდგინებასა მკუდართასა და განსხმასა ეშმაკათასა და მიცემასა ნათლისასა შობითგან ბრმათა და სხვსა ყოვლისავე სენისა და ცისად-ცისად გუემულეებისა განკურნებასა? ესევეთარი იყო ძალი მაშინ თქუმულთა მათ სიტყუათა უფლისათა.

ხოლო თქუნენ იხილეთ გულფიცხელობად იგი მათი, ვითარ ესერა ორგზის ესმა, ვითარმედ: „არა ეცეს ნათესავსა ამას სასნაული, გარნა სასნაული იონა წინადასწარმეტყუელისადა“; არცა თუ ინებეს კითხვად, თუ რად არს სიტყუად ეგე, ვითარ მოგუეცეს სასნაული იონადასი? რამეთუ, ვითარცა ვთქუ, არა თუ წადიერებითა სწავლისადათა ეძიებდეს სასნაულთა ანუ ჰკითხვიდეს რასმე, არამედ ბრალისა რადსმე პოვნად მოსწრაფე იყვნეს მის ზედა. ამისთვისცა, იხილა რად გულფიცხელობად მათი, დაუტევენა იგინი და წარვიდა.

**ს ა ხ ა რ ე ბ ა დ :** „და მოვიდეს მოწაფენი მისნი მიერ წილ და დაავიწყდა პური მიღებად. ხოლო იესუ ჰრქუა მათ: იხილეთ და ეკრძალენით ცომისა მისგან ფარისეველთადასა და სადუკეველთადასა. ხოლო იგინი ზრახვიდეს გულსა თვსსა და იტყოდეს, ვითარმედ: პური არა მოვიღეთ. გულისწმა-ყო იესუ და ჰრქუა მათ: რადსა ჰზრახავთ გულთა თქუნთა, მცირედმორწმუნენო, რამეთუ პური არა გაქუს? არა გიცნობიეს, არცა მოიწსენეთა ხუთთა მათ პურთა და ხუთ ათასთა მათ, და რავდენი გოდორი აღიღეთ? არცა შვდთა მათ პურთა და ოთხ ათასთა მათ, და რავდენი სფურიდი აღიღეთ? ვითარ არა გიცნობიეს, ვითარმედ არა პურისათვს გარქუ თქუნენ: ეკრძალენით ცომისაგან ფარისეველთადასა და სადუკეველთადასა? მაშინ გულისწმა-ყვეს, რამეთუ არა ჰრქუა მათ კრძალვად ცომისაგან, არამედ მოძღურებისაგან ფარისეველთადასა და სადუკეველთადასა“ (16,5-12).

**თ ა რ გ მ ა ნ ი :** ენება მოწსენებად მათდა სასნაულისა მის და ყუედრებად დაავიწყებისათვს. ამისთვის მთასა მას ზედა არა აყუედრა, რამეთუ ერი მრავალი იყო, და თვსაგან ენება უფალსა ყუედრებად მათდა. ხოლო აქა არა ჰრქუა: ეკრძალენით მოძღურებისაგან ფარისეველთადასა, არამედ: „ცომისაგან ფარისეველთადასა“, რადთა ამით მიზეზითა შემოიღოს სიტყუად იგი ყუედრებისადა. ამისთვის სხუადცა შესძინა სასნაული და ესრეთ ამხილა დაავიწყებისათვს და უგულისწმოებისა, რამეთუ გულისზრახვანი მათნი მი-

უთხრნა, ვითარ იგონებდეს და იტყოდეს, ვითარმედ: „პური არა მოვიღეთ“. რამეთუ ჯერეთ ჩუეულებითა მით ებრაელთადათა შეპყრობილ იყვნეს და რიღობად იგი ჭამადთა აქუნდა. ამის ყოვლისათჳს უკუე ესრეთ აყუედრა მათ და, ვითარცა მარკოზ გუაუნყებს, უმეტესადცა, რამეთუ იტყვს, ვითარმედ: „ჰრქუა მათ: რაჲსა ჰზრახავთ გულთა თქუენთა, მცირედმორნმუნენო, რამეთუ პური არა გაქუს? არლა გიცნობიეს, არცა მოიწსენეთ, რამეთუ განფიცებულნი გულნი გქონან? თუალ გასხენ და არა ხედავთ, ყურ გასხენ და არა გესმის, არცა გიცნობიეს, არცა მოიწსენეთ? ოდეს ხუთი პური განვტეხე“<sup>1</sup> და შემდგომი ამისი.

იხილეა შერისხვაჲ ესე ფიცხელი? რომელ-ესე სხუასა ადგილსა არასა-და იპოების სახარებასა შინა ესე ვითარი შერისხვაჲ.

რაჲსათჳს-მე უკუე ყო ესრეთ? ამისთჳს, რაჲთა სრულიად ჭამადთათჳს ებრაული გულისსიტყუად მათგან აღმოფხურას. რამეთუ მაშინ, ოდეს მის პირისათჳს იტყოდა და ჰრქუა პეტრე: „გამოგვთარგმანე ჩუენ იგავი ესე“, მიუგო უფალმან: „თქუენცა უგულისწმოვე ხართა? და არა გიცნობიეს...“<sup>2</sup> ხოლო ან ფრიადითა მხილებითა აყუედრა, რამეთუ არა თუ მარადის სიტყუატკბილობად კეთილ არს, არამედ ჟამსა თჳსსა შერისხვაჲცა ჯერ-არს. რამეთუ ვითარცა კადნიერებასა მისცემდა მათ, ეგრეთვე ჟამსა შინა შეჰრისხნისცა, რაჲთა ორკერძოვე ცხორებაჲ მათი განაგოს. იხილეთ უკუე, რავედნი კეთილი უყო შერისხვამან მან, რამეთუ მეყსეულად, ვითარცა მძინარე, ესრეთ განაღჳა გონებაჲ მათი, ვითარცა იტყვს მახარებელი, ვითარმედ: „მაშინ გულისწმა-ყვეს, რამეთუ არა ჰრქუა მათ კრძალვად ცომისა-გან, არამედ მოძღურებისაგან ფარისეველთაჲსა და სადუკეველთაჲსა“. და ებრაულისა მისგან ზმნისა და ჭამადთა ცუდად კრძალვისა განაშორნა და ურწმუნოებისა გულისსიტყუად ყოველივე აღმოფხურა მათგან, რაჲთა არა ეშინოდის ნაკლულევანებისაგან, არამედ ესვიდენ სახიერსა მას უფალსა და მომცემელსა ყოვლისა კეთილისასა.

## სწავლად 68

**ვითარმედ არა ჯერ-არს შიში შეცვალებისათჳს საქმეთა ამის ცხორებისათა, არამედ ესე ხოლო შეკრძალვად, რაჲთა სათნოებაჲ შეუცვალებელად გუაქუნდეს**

და ან ჩუენცა, ძმანო, ნუ ყოვლადვე სიტყუატკბილობითა ვფუფუნებთ მორჩილობასა შინა ჩუენსა რწმუნებულთა ღმრთისა მიერ, არამედ ოდეს ვიხილნეთ მიდრეკილნი უნესოებისა მიმართ და სიტკბოებით ვერ განვკურნნეთ, შერისხვაჲცა და მხილებაჲ ნუ გუეკდიმებინ, ვითარცა მო-

<sup>1</sup> მარკ. 8, 17-19.

<sup>2</sup> მათ. 15, 16-17.



ციქული იტყვს: „ამხილე, შეჰრისხენ და ნუგეშინის-ეც“<sup>1</sup>; ოდენ ორივე ნებისაებრ და მცნებისა ღმრთისა იქმნებოდენ. ნუცა კუალად ჩუენ უხუცესთა და უზეშთაესთაგან ჩუენტა ვენუკევთ ყოვლადვე სიტყუატკბილობით ლიქნასა, არამედ ოდეს შერისხვად მოინიოს, იგიცა მადლობით შევიწყნაროთ, რამეთუ სულთა ჩუენტა ორკერძოვე ესე წამალი ეწმარების. ამისთვსცა ღმერთი სოფელსა ამას ესრეთ განაგებს: ოდესმე ამით ჯერითა და ოდესმე სხვთა მით წესითა; და არცა კეთილნი ამის საწუთროდსანი არიან შეუცვალებელ, არცა მწუხარებანი, არამედ ვითარცა-იგი ოდესმე დღე არნ და ოდესმე ღამე, ოდესმე ზაფხული და ოდესმე ზამთარი, ეგრეთვე ჩუენ შორის ოდესმე სიხარული არნ და ოდესმე მწუხარებად, ოდესმე სნეზა და ოდესმე სიმრთელე. ან უკუე ნუ გკკვრს, უძღურებად თუ და სნეულებად შეგუემთხვოს, ვითარცა-იგი ოდეს მრთელ ვიყვნეთ, არა გკკვრს; ნუ მწუხარე ვართ, ოდეს გუელმოდის და შთავვარდეთ განსაცდელთა, ვითარცა-იგი არა მწუხარე ვართ ჟამსა სიხარულისა და განმარჯუებისასა, არამედ ორსავე წესსა მადლობით შევიწყნარებდეთ: სიმრთელისა და სნეულებისასა, სიხარულისა და მწუხარებისასა, რამეთუ ორივე ესე წესითა მით და ჩუეულებითა ბუნებითთა იქმნებიან განგებისაებრ ღმრთისა, და რად გიკვრს, კაცო, უკუეთუ შენ ზედა ესრეთ იქმნებიან საქმენი ესე?

იხილე, რამეთუ წმიდათაცა ზედა ეგრეთვე აღესრულა, და უკუეთუ გნებავს, გამოიძიე თითოეულისა წმიდათაგანისა ცხორებად და ესრეთ ჰპოო. არა ვიტყვ უმრავლესთა მათ, რომელთა მოქალაქობად ამის საწუთროდსად უმეტესი ჭირითა და ღუანლითა აღასრულეს, არამედ იგინი ვთქუნეთ, რომელნი საგონებელ არიან, თუ სხუათასა უმეტესი მიეცა აქავე შუებად და განსუენებად. ვთქუათ აბრაჰამისთვს. ისმინე, დაწყებასა მეზრ ღმრთისმსახურებისა მისისასა რად-იგი ღმერთმან ამცნო მას: „გამოვედ ქუეყანისაგან შენისა და ნათესავისაგან შენისა და სახლისაგან მამისა შენისა და მოვედ ქუეყანასა, რომელი მე გიჩუენო შენ“.<sup>2</sup> არა შესანუხებელ იყო სიტყუად ესე კაცისათვს ესევითარისა? არამედ დაურთო ნუგეშინის-ცემადცა: „გყო შენ ნათესავად დიდადო“.<sup>3</sup> ხოლო გამო-რად-ვიდა მიერ ქუეყანით და მოვიდა, ვინადცა უბრძანა ღმერთმან, მრავალნი ჭირნი და მწუხარებანი შეემთხვნეს, სიყმილნი და მიმოსლვანი, არამედ ნუგეშინის-ცემანიცა მარადის მიეცემოდეს ღმრთისა მიერ: ოდესმე წყლულებად იგი ფარაოდსი და შიში ღმრთისა მიერ მის ზედა მოწვენული, და კუალად გამოსლვად მისი ეგკპტით პატივითა და სიმდიდრითა დიდითა. და შემდგომითი შემდგომად ყოველივე ცხორებად მისი ამით სახითა აღესრულა, ოდესმე განსაცდელითა და ოდესმე ნუგეშინის-ცემითა.

ეგრეთვე სხუათა მათ მამათმთავართად, ეგრეთვე წმიდათა მოციქულთად, და უფროსადლა მათი ცხორებად უმრავლესი ჭირითა აღეს-

<sup>1</sup> 2 ტიმ. 4,2.    <sup>2</sup> დაბ. 12,1-2.    <sup>3</sup> დაბ. 12,2.

რულებოდა და განსაცდელითა, არამედ აქუნდა ღმრთისამიერი ნუგეშინის-ცემად, ვითარცა პავლე იტყვს: „კურთხეულ არს ღმერთი და მამად უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი, მამად მონყალებათად და ღმერთი ყოვლისა ნუგეშინის-ცემისად, რომელი ნუგეშინის-მცემს ჩუენ ყოველთა შინა ჭირთა ჩუენთა, რადთა შეუძლოთ ჩუენცა ნუგეშინის-ცემად ყოველთა მათ ჭირვეულთა“.<sup>1</sup>

ხოლო შენ, კაცო, რაჟამს შეგემთხვოს მცირე რაღმე განსაცდელი, იწყი დრტუნვად, ვითარმცა ყოველნი ჟამნი შენნი განსაცდელსა მას შინა გარდაგეჴადნეს, და მრავალთა მათ კეთილთა და ნუგეშინის-ცემათა ღმრთისათა, რომელნი მოუცემიან შენდა სიყრმით შენითგან, უმაღლო იქმნი და მოვიწყე; რამეთუ ესე საქმე არს კაცთა უგუნურთა და უგულისჴმოთად, რომელთა-ესე გუნებავს, რადთამცა დღითი-დღე სიხარულსა და განცხრომასა შინა ვიყვენით. ამისთვისცა მცირედი თუ მწუხარებად მოინიოს, ყოველივე დავივიწყით და შევჴრაცხნით თავნი ჩუენნი, ვითარმცა სამარადისოსა მწუხარებასა შინა ვიყოფოდეთ, და არა გულისჴმა-ვჴყოფთ, ვითარმედ არა შესაძლებელ არს კაცისა მარადის მწუხარებასა შინა ყოფად. რამეთუ ესრეთ არს ცხორებად ესე სანუთროდსად: არცა ესევეითარი სადა იპოების საქმე, რადთამცა მარადის სიხარულსა შინა იყო და არასადამცა შეემთხვა მწუხარებად; არცა ესე შესაძლებელ არს, რადთამცა ყოვლადვე მწუხარებასა შინა ვინ იყო და არასადამცა პოა ნუგეშინის-ცემად. და უკუეთუ გუნებავს, გამოვიძიოთ ორივე ესე საქმე, რადთა სცნათ, ვითარმედ არცა თჴნიერ მწუხარებისა ვინ დაშთების, არცა თჴნიერ ნუგეშინის-ცემისა.

გულისჴმა-ყავთ კაცი, ფრიად მდიდარი და დიდძალისა ნაქონებისა უფალი, და სხუად კაცი, მუშაკი მარადლე დამაშურალი, რომელი ოფლითა პირისა მისისადთა ჭამნ მდღევარსა მას პურსა. ან უკუე იხილეთ მდიდრისა მის და დიდებულისა ცხორებად, უკუეთუ არა მწუხარებითა სავსე არს: ოდესმე სწადინ უმეტესისა დიდებისა მიმთხუევად და ვერ უძლის და მწუხარე არნ; ოდესმე მონანი მისნი იპოვნიან წინააღმდგომ ნებისა მისისა და უნესოებისა მოქმედ, და მწუხარე არნ; ოდესმე სხუათა მიერ თანამოჴასაკეთა მისთა შეემთხვის წუნობად და შეწუხნის; ოდესმე შეასმინიან მეფისა მიმართ, და შიშითა განილევის. სხუათა ემტერებინ, სხუათად შურნ, სხუათა უჴდებინ და კუალად შეემთხვის ზღვევად, ანუ წარპარვად, ანუ უნაყოფოებად. ესე ყოველი და მსგავსი ამათი მწუხარებისა მომატყუებელ არს და სიხარულისა დამჴსნელ.

ვთქუათ უკუე მუშაკისა მისცა გლახაკისა ცხორებად, აღვსებული ნუგეშინის-ცემითა: თავისუფალ არს ყოველთა მათ ზემონერილთა მწუხარებათაგან, არა ეძიებს პატივთა და დიდებათა, რადთამცა გამარცხებისა მისთვის მწუხარე იყო; უკუეთუ ვინმე დაინუნოს ანუ შეურაცხ-ყოს, არარად

<sup>1</sup> 2 კორ. 1,3-4.

შეპრაცხის, რამეთუ არა აქუნ თავი თვისი უმეტეს სხუათასა; არა ეშინინ წარწყმედისათვის საფასეთაჲსა ანუ შესმენისათვის; სიხარულით ჭამნ მდღე-ვარსა მას საზრდელსა თვისსა; რამეთუ არა ესრეთ მოხარულ არნ მდიდარი იგი, რაჟამს იშუებნ თითოფერთა სანოაგითა და სუამნ ღვნოსა მას თასურსა, ვითარ გლახაკი იგი მოხარულ არს, რაჟამს დამაშურალი დაჯდის წყაროსა ზედა გრილსა და ჭამნ პურსა თვისსა მადლობით და სუამნ სასუმელსა მას უშურველსა.

ხოლო უკუეთუ თქუმული ესე სახე არა კმა არს შენდა, მოედ, უალრესიცა სახე გიჩუენო: შევამსგავსოთ ურთიერთას მეფე და ერთი ვინმე პყრობილთაგანი, და იხილო პყრობილი იგი მრავალგზის სიხარულსა შინა, ვითარ ულმობელად იმღერინ, იცინინ და განსცხრებინ, და მეფე შეწუხებული და შეურვებული და შეპყრობილი ზრუნვათაგან და შიშთა და მოსურნე სიკუდილისა, ვიდრელა ცხორებისა მის დიდებულისაჲ.

კეთილად უკუე ვთქუ და ჭემმარიტად, ვითარმედ არა არს ცხორებაჲ ამის სანუთროსაჲ თვნიერ მწუხარებისა, რაოდენცა დიდებულ და სახარულევან საგონებელ იყოს; არცა კულად იპოების თვნიერ ნუგეშინის-ცემისა, რაოდენცა საჭირო და ძნელოვან შერაცხილ იყოს.

ხოლო რომელ-იგი არა ერთ არს გონებაჲ ყოველთაჲ, არამედ რომელსამე უხარის ფრიად და რომელიმე მწუხარე არს ფრიად, ესე არა ბუნებისაგან არს საქმეთაჲსა, არამედ გონებისაგან კაცთაჲსა, რამეთუ რომელიმე სულმოკლე არს და რომელიმე სულგრძელ. სულმოკლე იგი ზედადსზედა მწუხარე არნ და სულგრძელი იგი მხიარულ. რამეთუ უკუეთუ გუენებოს ზედადსზედა სიხარული მრავალი, ვპოოთ მიზეზი; და ყოვლისა პირველად, უკუეთუ სათნოებაჲ შევიტკობოთ, არარაჲ იყოს შემანუხებელ ჩუენდა. ესე სასოებითა კეთილითა ადავსებს მომგებელთა მისთა და ღმრთისა საყუარელ-ჰყოფს და კაცთა სანადელ და მარადის სიხარულსა მიანიჭებს. რამეთუ დაღაცათუ საქმე სათნოებისაჲ საჭირველ არს, არამედ გონებასა მას მოქმედთა მისთასა ახარებს და განუსუენებს უალრეს სიტყვსა, და არარაჲ არს სანადელთაგან ამის სანუთროსათა შემსგავსებულ სიტკობებასა მას, რომელი არს გულსა შინა მუშაკთა მათ სათნოებისათა, არარაჲ არს უმტკიცეს და უძლიერეს გონებისა, რომელი არა დასჯილ არს ცოდვთაგან, არამედ მოხარულ არნ კეთილთა მიერ საქმეთა. და უკუეთუ გნებაჲს, ჰკითხე კაცსა მოხუცებულსა, გინა თუ რომელი მიახლებულ არნ სიკუდილად, მოაწსენენ საშუებელნი ამის სანუთროსანი და სიხარულნი და განცხრომანი: ტაბლათა შუენიერთა დაგებანი, სამოსელთა ბრწყინვალეთა შემოსანი, ეტლთა ზედა ჰუნეთა ოქროაღვრედთა მწედრობანი და სხუანი ყოველნივე სანუთროსა ამის უცნებანი. მოაწსენენ ქველისსაქმენიცა და სათნოებანი, რომელნი სადა ექმნენ, და ჰკითხე, თუ რომელსა ზედა მოქადულ არს და მოხარულ, და იხილო იგი პირველსა მას ზედა ყოველსავე უფროსად სირცხვლეული და მონანული, ხოლო მეორესა მას ზედა – მო-

ხარული, უკუეთუ რად აქუნ ესევეთარი. ეგრეთვე ეზეკია, ოდეს-იგი მი-  
ეახლა სიკუდილად, არა მოიწესნა დიდებად თვისი და საშუებელნი მეფობისა  
მისისანი, არამედ სიმართლე თვისი, და იტყოდა: „მოიწესნე უფალო, ვითარ-  
იგი ვიდოდე წინაშე შენსა ჭეშმარიტებითა და გულითა სრულითა და სათ-  
ნობება წინაშე შენსა ვყავ“.<sup>1</sup> იხილე პავლეცა, ოდეს ცნა მოახლება აღსას-  
რულისა თვისისა, რასა ზედა იქადოდა: „ღუანლი კეთილი მომიღუანებეს,  
სრბად აღმისრულებიეს, სარწმუნობად დამიმარხავს“.<sup>2</sup> რამეთუ ჭეშმარი-  
ტად ოდეს მოინიოს ჟამი იგი აღსრულებისა, ყოველივე სოფელი და საქ-  
მენი მისნი ვითარცა არარანი გამოჩნდებიან, და სათნობანი ხოლო არიან  
ნუგეშინისსაცემელ სულისა მის, რამეთუ შუებისათვის და განცხრომისა და  
სხუათა მათთვის საქმეთა სანუთროხსათა სიტყვს-მიცემად თანაგუაც, ხო-  
ლო კეთილთა საქმეთათვის სასყიდელსა მოველით მოღებად.

არა ჰხედავთა, დღესა მას სიკუდილისასა ვითარ შეაინრებენ და შეაშ-  
ფოთებენ სულსა ცოდვანი? ხოლო მწარესა მას ჟამსა შინა მოვიდის წსე-  
ნებად კეთილთა საქმეთად და ნუგეშინის-სცის შეშფოთებულსა მას სულსა,  
ვითარცა-რად ღელვაგუემულსა ენიის მყუდროებად შუენიერი. უკუეთუ არა  
გუაქუნდენ საქმენი კეთილნი, # შიში იგი, რომელი მაშინ გუენიოს ჩუენ!  
რამეთუ დაღაცათუ ან არა ვიწსენებთ შიშსა მას მაშინ მოწვენადსა, არა-  
მედ უეჭუელად მოწვენად არს, და თანანარსლვად არა ეგების. ამისთვისცა  
მრავალნი ჟამსა მას ხილვათა საშინელთა ხედვენ და პირთა შესაძრწუნე-  
ბელთა, რომელნი არაოდეს ეხილნიან, ვიდრელა შიშისა მისგან და ზარისა  
შეშფოთნიან და საშინელად მიმოიხედვიდიან, რაჟამს სული გუამსა შინა  
იმაღვინ და განსლვად არა ჰნებავნ წორცთაგან, და ხილვასა მას მოსრულ-  
თა ანგელოზთასა ვერ თავს-იდებს. რამეთუ ვიხილნით თუ კაცნი მრისხა-  
ნენი და მახვლწუდილნი, შევშინდით; ვითარ არამცა შევშინდით და შევ-  
ძრწუნდით, ოდეს ვიხილნეთ ანგელოზნი, ძალითა სასტიკითა მოსრულნი  
ჩუენ ზედა, რაჟამს-იგი განიყვანებოდის სული ჩუენი იძულებით ჩუენგან  
და გოდებდეს ფრიად, უსარგებლოდ და ცუდად, ვითარცა-იგი მდიდარსა  
მას შეემთხვა? ან უკუე, საყუარელნი, ამას ყოველსა ვინურთიდეთ და შიში  
ჟამისად მის მარადის ჩუენ თანა იყავნ, რადთა არა უცნაურად გუენიოს და  
ფრიად ვინანდეთ სინანულსა მას უსარგებლოსა.

ხოლო მარადის თუ შიში იგი გულთა ჩუენთა იყოს, მრავალთა ბოროტ-  
თაგან გკვსნეს ჩუენ, და განმზადებულნი მივემთხვნეთ მას, რადთა უჭირვე-  
ლად განვიდეთ ამიერ და განვერნეთ საუკუნეთა მათგან სატანჯველთა და  
კეთილთა მათ წარუვალთა ღირს ვიქმნეთ მადლითა და კაცთმოყუარებითა  
უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რომლისადა არს დიდებად თანა მამით  
და სულით წმიდითურთ ან და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

<sup>1</sup> 4 მეფ. 20,3.

<sup>2</sup> 2 ტიმ. 4,7.

## თავი 6

სიტყუაჲ ესე: „მო-რად-ვიდა იესუ ადგილთა მათ კესარია ფილიპესთა, ჰკითხვიდა მოწაფეთა თვსთა და ჰრქუა: რად თქვან კაცთა ძისა კაცისა ყოფად?“ (16,13).

რადსათვს თქუა სახელიცა აღმაშენებელისაჲ ქალაქისა მის? ამის-თვს, რამეთუ არს სხუადცა კესარიაჲ, რომელსა ეწოდების სტრატონისაჲ, ხოლო ან უფალი კესარიასა მას მეორესა მივიდოდა. ამისთვს თქუა კესარია ფილიპესი. რამეთუ ენება რად უფალსა კითხვად მოწაფეთა თავისა თვსისათვს, შორს განიყვანნა ჰურიათაგან, რადთა ადგილითცა და გონებით განეშორნენ მათგან და ეგრეთ მიუთხრან კეთილი იგი აღსაარებაჲ. და რადსათვს პირველადვე არა ჰკითხა, თუ: „თქუენ ვინ გგონიე?“ არამედ ესრეთ ჰრქუა: „რად თქვან ჩემთვს კაცთა?“ ესე ამისთვს, რადთა პირველად სხუათაჲ მათ უგულისწმოებად გამოჩნდეს და მერმე მეორედითა კითხვითა აღიყვანნეს იგინი მაღალსა მას გულისწმის-ყოფასა. ამისთვს არა წინაუყო სიტყუაჲ ესე დასაბამსა ქადაგებისა თვსისასა, არამედ შემდგომად მრავალთა მათ სასწაულთა და მრავალთა მათ სწავლათა, რომელნი მიუთხრნა და თვსი იგი მამისა თანა ერთობად გულისწმა-უყო, მერმელა კითხვად ესე წინაუყო. და არა ჰრქუა, თუ: რად თქვან ჩემთვს მწიგნობართა და ფარისეველთა? არამედ ერისა მის მრავლისა სიტყუაჲ ჰკითხა: „რად თქვანო ჩემთვს კაცთა?“ რამეთუ დაღაცათუ მათიცა გულისსიტყუაჲ ჭეშმარიტისა მის გულისწმის-ყოფისაგან ფრიად შორს იყო, არამედ უკეთურებითა არა სავსე იყო, ხოლო მწიგნობართაჲ მათ და ფარისეველთაჲ აღვსებულ იყო ყოვლითა ბოროტითა. ხოლო გულისწმა-ყავთ ესეცა, თუ რადხომ სათნო იყო მისდა განგებულებასა მას განკაცებისა მისისასა აღსაარებად ყოველთა მიერ. ამისთვს აქაცა ღმრთეებისა მისისა აღსაარებასა ასწავებდა და ესრეთ თქუა: „რად თქვან ჩემთვს კაცთა ძისა კაცისა ყოფად?“ ვითარცა სხუასა ადგილსა იტყოდა: „არავინ აღვიდა ზეცას, გარნა რომელი-იგი ზეცით გარდამოვდა – ძე კაცისაჲ“<sup>1</sup> გუამოგნებით შეერთებასა მას ღმრთეებისა და კაცებისასა მოასწავებდა, რომელი ორთა მათგან ბუნებათა ერთი გუამი იქმნა, შეურევნელობითა ორთა მათ ბუნებათაჲთა, ეგრეთვე აქა ძედ კაცისა თავსა თვსსა უწოდა ამის ესევითარისა ჯერისათვს.

ხოლო მიუგეს რად მოწაფეთა და ჰრქუეს, ვითარმედ: „რომელთამე იოვანე ნათლისმცემელი, რომელთამე ელია, და სხუათა იერემია გინა ერთი წინაღსწარმეტყუელთაგანი“<sup>2</sup> და ცთომილნი იგი გულისსიტყუანი მათნი გამოაცხადნეს (რომელნი-იგი ხედვიდეს რად სასწაულთა მათ უაღრეს ბუნებისათა, კაცსავე ჰგონებდეს ყოფად, აღდგომილსა მკუდრეთით, ვი-

<sup>1</sup> იოან. 3,13.

<sup>2</sup> მათ. 16,14.

თარცა ოდესმე ჰეროდეცა იტყოდა), მაშინ უკუე უფალმან ესევეითარნი იგი სიტყუანი არაღირსად იჩინნა; ამისთვსცა ჰრქუა მონაფეთა: „თქუენ ვინ გგონიე მე?“<sup>1</sup> რომელნი-ეგე მარადის ჩემ თანა ხართ და საქმეთა ჩემთა ხედავთ და სიტყუანი ჩემნი გესმიან. ან უკუე გულისწმა-ყავთ საქმე ესე: ოდეს სხუათა კაცთა სიტყუანი ჰკითხნა, ყოველთა მიუგეს, ხოლო ოდეს მათნი გულისსიტყუანი ჰკითხნა, მაშინ უმწურვალესი იგი ყოველთად პეტრე, თავი კრებულისა მის მოციქულთადასა, პირ ექმნა ყოველთა და ყოველთა მაგიერ ღალატ-ყო და თქუა:

**ს ა ხ ა რ ე ბ ა დ :** „შენ ხარ ქრისტე, ძე ღმრთისა ცხოელისად. მიუგო იესუ და ჰრქუა მას: ნეტარ ხარ შენ, სიმონ, ბარ იონა, რამეთუ ჴორცთა და სისხლთა არა გამოგიცხადეს, არამედ მამამან ჩემმან ზეცათამან“ (16,16-17).

თ ა რ გ მ ა ნ ი: ამისა პირველცა, ოდეს-იგი იგუემებოდეს ნავითა ღელვათა შინა და მოვიდა მათა იესუ და ღელვანი იგი დააცხრენა, მოუწდეს მონაფენი და თაყუანის-სცეს და ეტყოდეს: „ჭემმარიტად ძე ღმრთისად ხარ შენ“, და არა მისცა მათ ნეტარება; და კუალად ნათანაელ ჰრქუა: „რაბი, შენ ხარ ძე ღმრთისად, შენ ხარ მეუფე ისრაჴლისად“,<sup>2</sup> და არარაჴ ნეტარებაჴ მისცა, არამედ უფროსად, ვითარცა ვერ სრულსა გულისწმის-ყოფასა მოსრულსა, აყუედრა და ჰრქუა: „რამეთუ გარქუ შენ, ვითარმედ: გიხილე ქუეშე ღელუსა, გრნამს; უფროსი ამისა იხილო“.<sup>3</sup>

რადსათვს უკუე მათცა ესევე სიტყუად ჰრქუეს და ვერ მიიღეს ნეტარებაჴ ესევეითარი, ხოლო პეტრეს ესრეთ დიდებული მიანიჭა ნეტარებაჴ? ესე ამისთვს, რამეთუ მათ დაღაცათუ ძედ ღმრთისა სახელ-სდვეს, არამედ ვითარცა მრავალთა ნმიდათა სახელ-ედვა ძედ ღმრთისა, მადლითა მისმიერიტა და არა ბუნებით, ეგრეთ მათ გულისწმა-ყვეს, უაღრეს სხუათა ყოველთასა მინვეწულად მადლსა მას ძეობისა ღმრთისასა, ეგრეთვე ნათანაელცა, და ვერ მისწუთეს გულისწმის-ყოფად ჭემმარიტსა მას ძეობასა მისსა და ბუნებისა მისგან და არსებისა მამისა შობასა. ხოლო ან პეტრე ბუნებითა მით არსებისადთა და შობითა მით დაუსაბამოდთა ძედ ღმრთისა აღიარა და სახელ-სდვა მას, ამისთვს ღირს იქმნა ნეტარებასა სრულსა. და პირველთქუმულთა მათ არარაჴ ესევეითარი მიუგო უფალმან, ხოლო ამას ჰრქუა, ვითარმედ: „ჴორცთა და სისხლთა არა გამოგიცხადეს შენ“. ესე იგი არს: არარაჴთა კაცობრივითა სიბრძნითა, ანუ მეცნიერებითა, ანუ სხუთა რადთმე ჴორციელითა ღონითა უძლე გულისწმის-ყოფად საიდუმლოსა ამას, არამედ მამამან ჩემმან ზეცათამან გამოგიცხადა. გულისწმა-გკყო, თუ ვინაჴ მოილო პეტრე სწავლაჴ ესე, რადთა ვცნათ, ვითარმედ დაღაცათუ პირმან პეტრესმან აღმოთქუა სიტყუად ესე ღმრთისმეტყუელებისად, არამედ მამამან მიუთხრა სულსა მისსა და მან აღალო პირი მისი და აღმოათ-

<sup>1</sup> მათ. 16,15.

<sup>2</sup> იოან. 1,49.

<sup>3</sup> იოან. 1,50.

ქუმია სიტყუად ესე. და გულისწმა-ვყოთ, ვითარმედ არა კაცობრივი საქმე არს, არამედ საღმრთოდ, მეცნიერებად და ჭეშმარიტებად სარწმუნოებისა ჩუენისად. ჰხედავა, ვითარ გამოაცხადებს მამად ძესა და ძე მამასა? ვითარცა თავადმან ბრძანა, ვითარმედ: „არავინ იცის ძე, გარნა მამამან; არცა მამად ვინ იცის, გარნა ძემან; და რომლისაჲ უნდეს ძესა გამოცხადების, გამოუცხადოს“.<sup>1</sup>

არა შესაძლებელ არს უკუე სხვსა ვისგანმე ცნობად ძისა, გარნა მამისა მიერ, არცა მამისა შესაძლებელ არს სხვსა ვისგანმე ცნობად, გარნა ძისა მიერ, მადლითა მით სულისა წმიდისაჲთა, რაჲთა ესრეთ საცნაურ იქმნას ერთობად მათი. ხოლო ვინაჲთგან ნეტარებად იგი მისცა პეტრეს და აუნყა, ვითარმედ არა კაცობრივ, არამედ მამისა მიერ გამოეცხადა მას საიდუმლოდ იგი და ბარ იონა სახელ-სდვა (რომელ-ესე იოვანე განცხადებულადრე თქუა, ვითარმედ: „შენ ხარ სიმონ, ძე იონაჲსი, შენ გენოდოს კეფა, რომელ ითარგმანების: კლდე“,<sup>2</sup> რამეთუ ბარ იონა ძე იონაჲსი გამოითარგმანების), და მეყსეულად შესძინა:

**ს ა ხ ა რ ე ბ ა დ :** „რამეთუ შენ ხარ კლდე, და ამას კლდესა ზედა აღვაშენო ეკლესიაჲ ჩემი, და ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდიან მას“ (16,18).

თ ა რ გ მ ა ნ ი: ესე იგი არს: ვინაჲთგან ღირს იქმენ მოღებად მამისა მიერ გულისწმის-ყოფად ესევეითარი და მქადაგე მე, ჭეშმარიტი ძე ღმრთისაჲ, ღირს-გყო შენ სიმტკიცესა სარწმუნოებისასა და საფუძველად ეკლესიისა გყო. „და ამას კლდესა ზედა აღვაშენო ეკლესიაჲ ჩემი“. რომელსა კლდესა? ესე იგი არს, ამას ესევეითარსა აღსაარებასა, ამას სარწმუნოებასა ზედა, რომელი ან აღიარე, დაემტკიცოს ეკლესიაჲ ჩემი, და „ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდიან მას“. ესე იგი არს: ვერ რომელმან ღონემან ანუ ბრძოლამან ეშმაკისამან შეუძლოს ამის აღსაარებისა და ამის სარწმუნოებისა, რომელი ან ჰქადაგე, განქარვებად, არამედ ამას ზედა ეგოს ეკლესიაჲ ჩემი უკუნისამდე, ვითარცა კლდესა შეურყეველსა.

**ს ა ხ ა რ ე ბ ა დ :** „და მიგცნე შენ კლიტენი სასუფეველისა ცათაჲსანი“ (16,19).

თ ა რ გ მ ა ნ ი: რად არს ესე, თუ: „მიგცნე შენ კლიტენი სასუფეველისა ცათაჲსანი“? ესე სიტყუად სწორებასა მას თვსსა მამისა თანა გამოაჩინებს. ვინაჲთგან ჰრქუა, ვითარმედ: „მამამან ჩემმან გამოგიცხადა შენ“, ან თვსსაცა აუნყებს ჴელმწიფებასა, ვითარმცა ეტყოდა, ვითარმედ: მამამან მოგცა გულისწმის-ყოფად ჩემი; „და მე მიგცნე კლიტენი სასუფეველისანი, რაჲთა რომელი შეჰკრა ქუეყანასა ზედა, კრულ იყოს იგი ცათა შინა; და რომელი განჰჴსნა ქუეყანასა ზედა, ჴსნილ იყოს იგი ცათა შინა“.<sup>3</sup>

<sup>1</sup> მათ. 11,27; ლუკ. 10,22.

<sup>2</sup> იოან. 1,42.

<sup>3</sup> მათ. 16,17,19.

ჰხედავა ჴელმწიფებასა ამას? ჰხედავა ერთობასა ამას მამისა თანა? არა ჰრქუა, თუ: მამამან მოგცეს, ანუ თუ მამასა ვევედრო, არამედ: „მე მიგცნეო კლიტენი სასუფეველისანი“, რათა რომელი განჰჴსნა ქუეყანასა ზედა, იყოს იგი ცათა შინა ფლობილ შესლვად სასუფეველსა, და რომელი შეჰჴრა ქუეყანასა ზედა, იყოს იგი ცათა შინა დაშჯილ და კრულებასა შინა სამარადისოსა. ვინათგან უკუე ესოდენი ყოველსავე ზედა აქუს ჴელმწიფებად და ყოველივე, რაოდენი ენებოს, მიანიჭებს, ვითარ სხუასა ადგილსა თქუა, ვითარმედ: „დაჯდომად მარჯუენით ჩემსა და მარცხენით არა არს ჩემი მიცემად“?<sup>1</sup> კლიტეთა სასუფეველისათა და ესოდენისა ამის ჴელმწიფებისა მიცემად უფალ არს და მარჯულ თჴსა გინა მარცხლ დაჯდომისა მიცემად არა ჴელ-ენიფებისა?

გულისჴმა-ჴყავთა, ვითარმედ სიტყუად იგი სხჴსა განგებულებისათჴს ითქუა და არა თუმცა ამისთჴს, თუ ვერ ჴელ-ენიფებოდა, რამეთუ ყოველივე ძალ-უც და ყოვლისავე უფალ არს ბუნებითა მით ღმრთეებისათა მხოლოდშობილი ძე ღმრთისა.

რამეთუ აჴა ესერა აღიყვანებს გონებასა პეტრესსა და სხუათა მათ მონაფეთასა მაღალსა მას გულისჴმის-ყოფასა, რათა ცნან ჴემმარიტისა მის ძისა ღმრთისა ჴელმწიფებად ორთა ამათ ბრძანებათა მიერ, რომელ-ესე მისცა მონაფესა მას, ჴელმწიფებად ცოდვათა მიტევებისა. რამეთუ ამას მოასწავებს, თუ: „რომელი განჰჴსნე ქუეყანასა ზედა“, რომელ-ესე მხოლოდსა ღმრთისა საქმე არს. და კუალად, შეურყეველად დაცვაჲ ეკლესიისაჲ ბრძოლათა მათ შინა ყოვლისა სოფლისათა და აღსაარებისა მის მართლისა უძლეველად დამტკიცებაჲ. ამათ ორთავე აღთქუმათა მიერ თჴსისა ჴელმწიფებისა გულისჴმის-ყოფად მიანიჭა. რამეთუ მამამან მოსცა პეტრეს გამოცხადებაჲ ძისა თჴსისაჲ, რათა აღიაროს იგი ჴემმარიტად ძედ ღმრთისა ცხოელისა; ხოლო ძემან გულისჴმა-უყო მამისამიერი გამოცხადებაჲ და მისცნა კლიტენი სასუფეველისანი კაცსა მოკუდავსა, და ჴელმწიფებად იგი შეკრვისა და განჴსნისაჲ, და დააფუძნა ეკლესიაჲ კლდესა მას ზედა ჴემმარიტისა აღსაარებისასა, და ეკლესიაჲ კიდეთაგან ქუეყანისათა კიდედმედ მისა განჴმარტა და ბრძანა, ვითარმედ: „ცანი და ქუეყანაჲ ნარჴდენ, და სიტყუანი ჩემნი არასადა ნარჴდენ“.<sup>2</sup> და „ყოველივე მის მიერ იქმნა, და თჴნიერ მისა არცა ერთი რაჲ იქმნა“.<sup>3</sup> რაჲ არს უმეტეს ამის სწორებისა და ამის ერთობისა, ჴემმარიტისა და სრულისა?

ჰრცხუენოდენ უკუე და კდემებოდენ და დაიყვნედ პირნი იგი ურცხუნონი, რომელნი იკადრებენ დაკნინებად დიდებასა მას მხოლოდშობილისა ძისა ღმრთისასა, რამეთუ იხილეთ ამას მეზრ ადგილსა თანასწორი მამისა ჴელმწიფებად ძისაჲ:

<sup>1</sup> მათ. 20,23.

<sup>2</sup> მათ. 24,35.

<sup>3</sup> იოან. 1,3.



„მე გეტყვ შენ: შენ ხარ კლდე, და ამას კლდესა ზედა აღვაშენო ეკლესიამ ჩემი. და მე მიგცნე შენ კლიტენი სასუფეველისანი; და რომელი შეჰკრა ქუეყანასა ზედა, კრულ იყოს იგი ცათა შინა; და რომელი განჰჰსნე ქუეყანასა ზედა, წსნილ იყოს იგი ცათა შინა“.

იხილეთ უფლებად ესე და წელმნიებება? გრწმენინ უკუეთუ და ადიდებდი ძესა, თანასწორსა მამისა და სულისა წმიდისა თანაარსსა.

**სახარება: „მაშინ ამცნო მონაფეთა თვსთა, რადთა არა გამოაცხადონ, ვითარმედ იგი არს ქრისტე“ (16,20).**

თარგმანი: რადათვს ამცნო ესრეთ? რამეთუ ჯერ-იყო პირველ აღსრულებად ჯუარ-ცუმისად და სხუათა მათ ცხოელსმყოფელთა ვნებათა მისთად, რადთა არღარად იყოს შემაშფოთებელ გონებასა მორწმუნეთა მისთასა, და ესრეთ ქადაგებისა მისისა მოციქულთა მიერ განფენად.

რამეთუ წუთერთ არა გამოეჩინა სრულიად ძლიერება თვისი. ამისთვის მაშინ განაგო ქადაგებად სახელი მისი, ოდეს ჭეშმარიტებად საქმეთად გამოჩინებულ იყოს და ძალი დიდებულებათად მათ თანაენამებოდის ქადაგებასა მოციქულთასა. ხოლო ან ამცნო, რადთა არა გამოაცხადონ, ვითარმედ იგი არს ქრისტე; რამეთუ უკუეთუმცა ექადაგა და ვიეთნიმე მოეყვანეს სარწმუნოებად, შემოვიდოდა შორის საქმე იგი ჯუარ-ცუმისად და ვნებათად, და შეირყიამცა სარწმუნოებად მათი. რამეთუ უკუეთუ მონაფენი, რომელთა ესოდენნი სასწაულნი მისნი ეხილნეს, სმენისაგან ხოლო დაბრკოლდეს, და თვთ მებრ პეტრე, თავი იგი მოციქულთად, გულისწმა-ყავთ, რადმცა შეემთხვა, უკუეთუმცა მრავალნი იყვნეს მორწმუნენი და ჰრწმენამცა, თუ ესე არს ძე ღმრთისად, და მერმე იხილესმცა იგი ჯუარსა ზედა დამოკიდებული და საიდუმლოესა მის ძალი არამცა უწყოდეს, არცა მადლიმცა მოელო სულისა წმიდისად. უკუეთუ მონაფეთა ეტყოდა: „ფრიადლა მაქუს სიტყუად თქუენდა, არამედ არღარა ძალ-გიც ტკრთვად ან“;<sup>1</sup> რადენ უფროესად სხუად იგი ერი დაიწსნამცა, უკუეთუმცა პირველ ჯეროვნისა მის ჟამისა საიდუმლოდ ესე დიდი გამოცხადებულ იყო მათდა. ამის ჯერი-სათვს ამცნო არა ქადაგებად მისა წუთერთ, და რადთა სცნათ, თუ რაოდენ უკუანადასკნელ შემდგომად ჯუარ-ცუმისა და აღდგომისა უმჯობეს იყო ქადაგებად, თვთ პეტრე მოციქულისაგან გულისწმა-ყავ[თ].

რამეთუ ესე პეტრე, რომელი შემდგომად ესოდენთა სასწაულთა ხილვისა და ესოდენთა საიდუმლოთა სწავლისა ესრეთ უძღურ იპოვა, ვიდრელა შიშისათვს უნდოესა მწევლისა ერთისა უარის-ყოფად ქრისტესა შთავარდა; ვინადთგან საიდუმლოდ ჯუარ-ცუმისად აღესრულა და აღდგომისა მადლი კეთილად იხილა, ესრეთ მტკიცედ იპყრა სწავლად იგი სულისად, ვიდრელა უახოვნესად ლომისა ზედამიუწვდებოდა კრებულსა მას ჰურიათა-

<sup>1</sup> იოან. 16,12.

სა და არარად შეერაცხა სატანჯველნი და სიკუდილი, არამედ უშიშად ქადაგებდა შორის ჰურიათა და წარმართთა და მიმოდასდებდა სწავლასა მას ღმრთისმსახურებისასა. ხოლო პირველ ჯუარ-ცუმისა მრავალსა არცა მიუთხრობდა მათ უფალი, ვითარცა თქუა, ვითარმედ: „ფრიადლა მაქუს სიტყუად თქუენდა, არამედ არლა ძალ-გიც ტვრთვად ან“. და კუალად მრავალი სიტყუად მისი ვერ გულისწმა-ყვიან მონაფეთა. ხოლო ვინაფეთან აღდგა, მაშინ გულისწმა-ყვენეს სიტყუანი იგი. ვინაფეთან უკუე მოძღუართა მათ სოფლისათა პირველ ჯუარ-ცუმისა ვერ ეძლო გულისწმის-ყოფად ყოვლისავე, სამართლად ამცნო არა ქადაგებად ყოველთა მიმართ, ვითარმედ იგი არს ქრისტი, ვიდრემდე აღდგეს იგი მკუდრეთით.

**ს ა ხ ა რ ე ბ ა დ:** „მიერთგან ინყო იესუ უწყებად მონაფეთა თვსთა, ვითარმედ ჯერ-არს მისა იერუსალჴმდ აღსლვად და ფრიად ვნებად მღდელთ-მოძღუართაგან და მნიგნობართა და მოხუცებულთა ერისათა, მოკლვად და მესამესა დღესა აღდგომად“ (16,21).

თ ა რ გ მ ა ნ ი: „მიერთგან ინყო იესუ უწყებად“. – ესე იგი არს, ვინაფეთან მაღალი ესე გულისწმის-ყოფად ასწავა მათ და განამტკიცნა გულნი მათნი სარწმუნოებად, ვითარმედ იგი არს ჭეშმარიტად ძე ღმრთისად; ვინაფეთან წარმართთაცა წყალობისა დაწყებად იყო, მიერთგან ინყო მონაფეთა უწყებად, ვითარმედ ჯერ-არს მისა ვნებად ცხორებისათვს კაცთაჲსა. არამედ იგინი ჯერეთ ვერვე გულისწმა-ჰყოფდეს, რამეთუ იყო სიტყუად იგი მათგან დაფარულ, და ვერ უწყოდეს საიდუმლოდ იგი აღდგომისა მისისაჲ. ამისთვს უფალმან განაგრცელა სიტყუად იგი და მიუთხრა, ვითარმედ: „ჯერ-არს მისა აღსლვად იერუსალჴმდ და ფრიად ვნებად მღდელთმოძღუართაგან და მნიგნობართა, მოკლვად და მესამესა დღესა აღდგომად“, რაჲთა განულოს გონება მათი, და გულისწმა-ყონ სიტყუად მისი. არამედ ეგრეთცა დაფარულ იყო სიტყუად იგი მათგან, და ვერ გულისწმა-ჰყოფდეს და კითხვად ეშინოდა, თუ რაჲ არს სიტყუად იგი, და ოდეს ყოფად არს ესე საიდუმლოდ, რამეთუ მათ უმჯობესად უჩნდა არა სიკუდილი მისი ყოვლადვე, და აღდგომისა იგი სიტყუად არა იცოდეს.

ხოლო იგინი რაჲ ესრეთ განკვრვებულ იყვენეს, კუალად ყოველთა უმჯურვალესმან პეტრე თვსაგან იკადრა ამის სიტყუსა გამოძიებად, ვითარცა იტყუს მახარებელი:

**ს ა ხ ა რ ე ბ ა დ:** „და მოუწდა მას პეტრე და ინყო ბრალობად მისა და ჰრქუა: შენდობა იყავნ შენდა, უფალო, არა იყოს ეგრე. ხოლო თავადი მიექცა პეტრეს და ჰრქუა: წარვედ ჩემგან, სატანა! საცთურ ჩემდა ხარ, რამეთუ არა ჰზრახავ ღმრთისასა, არამედ კაცთასა“ (16,22-23).

თ ა რ გ მ ა ნ ი: რაჲ არს საქმე ესე? რომელსა მაღალი იგი საიდუმლოდ გამოეცხადა, რომელი ნეტარებასა მას ღირს იქმნა, ესრეთ მწრაფლ მოუძ-

ლურდა იგი და შეშინდა ვნებისა მისთვის? გარნა არა საკვრველ არს ესე, რამეთუ არა მოელო გამოცხადებად ამის ჯერისათვის. რადთა სცნა, ვითარმედ იგიცა, რომელ პირველ თქუა, არა თავით თვისით თქუა, არამედ ზეგარდამოვთა გამოცხადებითა, ამისთვისცა, რაჟამს მოვიდა შორის სიტყუად ესე, რომლისათვის არა მოელო გამოცხადებად, იხილე, ვითარ შეურვებულ იქმნა და ვერ გულისწმა-ჰყოფდა სიტყუასა მას; რამეთუ ესე იცოდა, ვითარმედ ძე ღმრთისად არს, ხოლო თუ რად არს საიდუმლოდ იგი ჯუარ-ცუმისა და აღდგომისად, არღა საცნაურ იყო მისდა, არამედ დაფარულ იყო მისგან და სხუათა მათგან სიტყუად იგი.

ხოლო უფალმან ინება ჩუენებად მისდა, ვითარმედ ნეფსით თვისით მივალს ვნებად. ამისთვის შეჰრისხნა პეტრეს და სატანა უწოდა, რომელ გამოითარგმანების: წინააღმდგომ. „წარვედო ჩემგან, სატანა!“ რამეთუ უწყოდა, ვითარმედ მანცა და სხუათაცა მწუხარებით შეიწყნარეს სიტყუად ესე და შიში შეუჭდა მათ ფრიადი, რომელი-ესე უმეტესად ბრძოლად იყო წინააღმდგომისად, რამეთუ ძნელ იყო მისდა ვნებად ქრისტესი. ამისთვის შეჰრისხნა მას უფალმან ძნელად, რადთა განიოტოს მისმიერი შიში გულთაგან მონაფეთაჲსა. ესრეთ უკუე გამოაცხადა დაფარულიცა გულისა მისისად: „არა ჰზრახავ ღმრთისასა, არამედ კაცთასაო“. ვინათგან იგი კაცობრივითა გულისსიტყუთა გამოეძიებდა საქმესა მას და ამისთვის ჰგონებდა, ვითარმედ უჯერო არს და საყუედრელ საქმე იგი ვნებისა მისისად, ეტყვს უფალი, ვითარმედ: არა თუ ვნებად ჩემი უჯერო არს, არამედ შენი გულისსიტყუად არს ჯორციელ. ხოლო განიშორო თუ კაცობრივნი გულისსიტყუანი და საღმრთოდ გულისწმა-ჰყო, სცნა, თუ რაოდენ ჯეროან და შუენიერ არს საქმე ესე. შენ იტყვ, თუ: „ნუ იყოფინ ესე“, ხოლო მე გეტყვ, ვითარმედ: ეგე გულისსიტყუად საეშმაკოდ არს, რადთამცა ჯუარ-ცუმად ჩემი არა სათნო-გიჩნდა. ესრეთ დაანყნარა გონებად პეტრესი და განაგდო მისგან შიში და უმეტრებად. ვითარცა-იგი იოვანე აყენებდა რად მისგან ნათლის-ღებად, ჰრქუა მას: „ესრეთ შეჰგავსო ჩუენდა“;<sup>1</sup> და კუალად, აყენებდა რად პეტრე დაბანად ფერწთა, ჰრქუა მას: „უკუეთუ არა დაგბანნე ფერწნი, არა გაქუს ნანილი ჩემ თანა“.<sup>2</sup> ეგრეთვე აქა სიფიცხითა მით შერისხვისადთა დაანყნარა შიში იგი და ურვად, რომელი შეუჭდა პეტრეს ვნებისათვის უფლისა.

ისმენდედ ყოველნი, რომელთა სირცხვლ-უჩნს ვნებად იგი ქრისტეს ჯუარ-ცუმისად! უკუეთუ თავსა მას მოციქულთასა პირველ ცნობადმდე საიდუმლოდსა მის ესრეთ ემხილა და ესმა: „წარვედ ჩემგან, სატანა! რამეთუ არა ჰზრახავ ღმრთისასა, არამედ კაცთასა“, რად-მე იყოს მათდა, რომელნი შემდგომად ესოდენისა მის გამოცხადებისა საქმეთაჲსა შეურაცხ-ჰყოფენ საიდუმლოსა მას ჯუარისასა?

<sup>1</sup> მათ. 3,15.

<sup>2</sup> იოან. 13,8.

## სწავლად ნდ

### რადთა ვიქადოდით ჯუარ-ცუმისათვს ქრისტესისა და საცოდ ჩუენდა გუაქუნდეს ჯუარი ნმიდად მისი; და სახიერებისათვს უფლისა

ნუმცა ვის უკუე სირცხვლ-უჩნს მიზეზი იგი ცხორებისა ჩუენისა და თავი ყოველთა კეთილთა, რომლისა მიერ ცხოველ ვართ, ესე იგი არს ჯუარი ქრისტესი; არამედ ვითარცა გვრგვნი ბრწყინვალე გუაქუნდინ იგი, რამეთუ ყოველი ცხორება ჩუენი მის მიერ იქმნების. უკუეთუ ვინ ნათელიღებდეს, ჯუარი წინაუძღვს; უკუეთუ ტაბლად იგი საიდუმლოთა დაეგებოდის, ჯუარი თანაიქცევს; უკუეთუ კურთხევად მღდელობისა და აღესრულებოდის, ჯუარი თავსა ზედა გამოისახვის; და ყოველსა საქმესა თანა ცხორებისა ჩუენისასა შეერთებულ არს, ყოვლისავე კეთილისა წინამძღუარ არს. ამისთვისცა სახლთა შინა და კართა ზედა და პირსა ზედა ჩუენსა და გულსა და გონებასა შინა ყოვლითა მოსწრაფებითა გამოვსახავთ, რამეთუ აზნაურებისა ჩუენისა და ჩუენდა მომართ წყალობისა ღმრთისა სასწაული არს ჯუარი.

„ვითარცა ცხოვარი კლვად მიიგუარა“,<sup>1</sup> იტყვს წინააღმართმეტყუელი, რომელ-ესე ჯუარ-ცუმასა მოასწავებს. რად არს უკუე უმეტეს ამისა სახე წყალობისა, რამეთუ ჩუენთვის, ვითარცა ცხოვარი, კლვად მიიგუარა ჯუარსა ზედა. ამისთვის გამოვსახავთ სახესა მას ჯუარისასა ჩუენ ზედა, რადთა, გამოვსახვიდეთ რად, მოვიწესნოთ ცხოელსმყოფელი იგი ვნება, რომელი ჩუენთვის ჯორცითა თავს-იდვა უფალმან.

ან უკუე, გამოჰსახვიდე რად, კაცო, სახესა ჯუარისასა პირსა შენსა, მოიწესნე ყოველივე იგი საქმე ჯუარ-ცუმისა და მოსპე შენგან გულისწყრომად და ყოველნივე ვნებანი, განათავისუფლე სული შენი მონებისაგან ცოდვათაჲსა და მერმე კადნიერებით გამოსახე შენ ზედა სასწაული ჯუარისა, და დაგიცვას შენ ყოვლისაგან ბოროტისა.

ამას აზნაურებასა გუასწავებს ნეტარი პავლე. ამისთვის, აწესნა რად ჯუარი და სისხლი იგი პატიოსანი, ესრეთ ღაღატ-ყო: „სასყიდლითა სყიდულ ხართ პატიოსნითა; ნუ იქმნებით მონა კაცთა“.<sup>2</sup> ვითარმცა იტყოდა, ვითარმედ: გულისწმა-ყავ, მორწმუნეო, სასყიდელი იგი შენთვის მიცემული, რომელ არს ჯუარ-ცუმად ქრისტესი და პატიოსანი სისხლი მისი, და ნუღარა თავს-იდებ მონებად საქმეთა კაცობრივთა, ნუცა მორჩილებად სოფლისა მპყრობელსა მას ბნელისასა. რამეთუ არა თითითა ხოლო ჯერ-არს გამოსახვად ჯუარისა, არამედ პირველად გონებითა და სარწმუნოებითა და წამებითა საქმეთადა, და ესრეთ თითითაცა. ესევე-თართა თუ გამოსახვითა გამოჰსახო სასწაული ჯუარისა პირსა შენსა, ვერვინ მოგეახლოს არანმიდათა ეშმაკთაგანი, ჰხედვიდენ რად მახვლსა

<sup>1</sup> ესაია 53,7.

<sup>2</sup> 1 კორ. 7,23.

მას მკლველსა მათსა, ხედვიდენ რად ლახუარსა მას, რომლითა განიგურინმნეს გულნი მათნი უკეთურნი, ხედვიდენ რად ნიშსა მას, რომლითა ყოველი ძალი მათი დაჰჰსნა ქრისტემან, რომლითა მოაკუდინა ვეშაპი იგი გულარძნილი.

ნუმცა ვის უკუე სირცხვლ-ურნს დიდი ესე კეთილი, რადთა არა ქრისტემანცა არცხვნოს მას, რაჟამს მოვიდეს დიდებითა თვსითა, და სასნაული ჯუარისად ჩნდეს წინაშე მისა უბრწყინვალეს მზისა. რამეთუ მომავალ არს მაშინ ჯუარი სახილველად ყოვლისა სოფლისა, რადთა იხილონ ყოველთა ურწმუნოთა და სირცხვლეულ იქმნენ.

ამის პატიოსნისა ჯუარისა სასნაულმან მამათა ჩუენთა ზე და ჩუენ ზეცა აურაცხელნი აღასრულნა საკვრველებანი და აღასრულებს. რადენნი კარნი ჳშულნი განახუნა, რადენნი წამალნი სასიკუდინენი განაქარვნა, რადენნი ნაკბენნი მჰეცთა წამლიანთანი განკურნნა. რამეთუ ვინადთგან ბჭენი ჯოჯოხეთისანი შემეუსრნა და კამარანი ცათანი განახუნა და კარნი სამოთხისანი შესავალ-ყვნა და ძარლუნი ეშმაკისანი მოჰკუეთნა, რად საკვრველ არს, უკუეთუ წამალთა მაკუდინებელთა და მჰეცთა წამლენთა და სხუათა ესევითართა მძლე ექმნა?

ესე პატიოსანი ჯუარი შევიტკბოთ სულთა შინა ჩუენთა, რამეთუ ამან აცხოვნა სოფელი და საცთური განიოტა, ჭეშმარიტებად დაამტკიცა, ქუეყანად ზეცისათა შეაერთა და კაცნი ანგელოზ-ყვნა. ამის მიერ ეშმაკნი შეურაცხ იქმნეს, სიკუდილი ძილსა მიემსგავსა, ამის მიერ ყოველნი მბრძოლნი ჩუენნი დაეცნეს და დაითრგუნნეს.

უკუეთუ ვინმე გრქუას: ჯუარცუმულსა თაყუანის-სცემა? არქუ მას ბრწყინვალითა ჳმითა და პირითა სიხარულისადათა: ჰე, თაყუანის-ვსცემ და არასადა დავსცხრე თაყუანის-ცემად. უკუეთუ გეცინოდის, შენ ცრემლოდე მისთვის, რამეთუ სიცოფისაგან ბორგს; და ჰმადლობდი უფალსა, რომელმან ესევითარნი კეთილნი მოგუმადლნა, რომელთა ცნობადცა ვერვის ჳელენიფების ბილნთა და შეგინებულთაგან, თვნიერ რომელთა გულნი წმიდა იყვნენ და გონებანი მარტივ, და მოეცეს მათ ზეგარდამო გამოცხადებად. ამისთვის იცინის იგი ვინმე ცოფი, რამეთუ მშვნვიერი კაცი ვერ შეინწყნარებს სულიერსა.

ჩჩვლმანცა ყრმამან, იხილის რად დიდი რადმე და სრული საქმე, განიცინის, რამეთუ არა იცინ, რასა ხედავს. ეგრეთვე წარმართნი მსგავს არიან ყრმათა უგუნურთა, და უფროდლა ფრიად უუგუნურეს მათსა არიან, რამეთუ ჰასაკსა შინა სრულსა ცნობად ვერ შეიმოსეს. ამისთვის არა ღირს არიან წყალობისა.

ხოლო ჩუენ ბრწყინვალითა ჳმითა ვლადებდეთ წინაშე წარმართთა და ყოვლისა სოფლისა და ვიტყოდით კადნიერად, ვითარმედ: სიქადულ ჩუენდა არს ჯუარი ქრისტესი და თავ ყოველთა კეთილთა და გვრგვან ძლევისა და სამკაულ სიკეთისა მის საუკუნოდსა.

მსუროდა, უკუეთუმცა ძალ-მედვა, პავლეს თანა ლაღადებად: „რომლისათჳს სოფელი ჩემდა ჯუარცუმულ არს, და მე – სოფლისა“,<sup>1</sup> გარნა ვერ ძალ-მიც ამისა თქუმად, რამეთუ თითოსახეთა ვნებათაგან შეპყრობილ ვარ. რამეთუ ესე სიტყუად მათ შუენის, რომელთა უარ-უყოფიან სრულიად საქმენი სოფლისანი და მოუკუდინებიან თავნი თჳსნი ყოველთაგან ვნებათა მისთა.

ამისთჳს გამცნებ თქუენ, ძმანო, და პირველ თქუენსა თავსა ჩემსა ვეტყვ: ჯუარს-ვაცუნეთ და მოვაკუდინნეთ თავნი ჩუენნი სოფლისაგან და ნუმცა რად გუაქუს ზიარებად საქმეთა თანა ქუეყანისათა, ცუდთა მათ და წარმავალთა, არამედ მამულისა მის მიმართ ზეცათაჲსა გუსუროდენ და დიდებისა მის წარუვალისა და კეთილთა მათ მიუთხრობელთა, რამეთუ მწედარნი ვართ მეუფისა მის ზეცათაჲსა და საჭურველი სულიერი გუმოსიეს. რაჲსათჳს უკუე აღვირჩევთ საქმესა ვაჭართა და ღვნისმოფარდულთასა, უფროჲსლა მატლთა და ქუემძრომელთა ჭიათასა, და ვიქცევით თიჯასა შინა და მწკრესა ღორთაებრ? ჯერ-იყო ჩუენდა, რადთამცა ზეცას ვიყვენით საქმითა და გონებითა, სადა-იგი არს მეუფე ჩუენი ქრისტე, რამეთუ სადაცა მეუფე არს, მუნ იყვნიან ერთგულნიცა მწედარნი.

დაღაცათუ მეფე ესე ქუეყანისაჲ არა თავს-იდებს, რადთამცა ყოველნი მწედარნი მისნი წინაშე პირსა მისსა დგეს და მახლობელად მისა იქცეოდეს, არამედ მეუფესა მას ზეცათასა ჰნებაჲს, რადთა ყოველნი მახლობელად საყდარსა მას სამეუფოსა იყვნენ. თქუას ვინმე, ვითარმედ: რომელნი-ესე ქუეყანასა ზედა ვიქცევით, ვითარ ჴელ-გუენიფოს მახლობელად საყდრისა მის საღმრთოჲსა დგომად?

ჴე, შესაძლებელ არს ესე, რამეთუ პავლეცა ქუეყანასა ზედა იქცეოდა და მუნ იყო, სადა სერაბინნი არიან და ქერაბინნი, და უმეტეს მათსაცა მიეახლებოდა ქრისტესა, რამეთუ არარად საქმეთაგანი ქუეყანისათა შემძლებელ იყო მოწყუედად გონებისა მისისა ქრისტესგან, არამედ მარადის მოუწყუედელ და განუშორებელ იყო მისგან.

ან უკუე ჩუენცა თუ გუენებოს, ძალ-გვც ესრეთ ყოფად, რამეთუ უკუეთუმცა ადგილითა შორს იყო ჩუენგან მეუფე ჩუენი, სამართლადმცა ძნელ გიჩნდა მიახლება მისი, ჳ კაცო. ხოლო ვინათგან ყოველგან არს და ყოველივე აღუვისიეს დიდებითა თჳსითა და მახლობელ არს მოშიშთა მისთა, რაჲსათჳსლა შეუძლებელ გიჩნს მახლობელობაჲ მისი? არა გესმისა წინაჲსწარმეტყუელისაჲ, რასა იტყვს? „არა შემემშინოს მე ბოროტისაგან, რამეთუ შენ, უფალი, ჩემ თანა ხარ“.<sup>2</sup> და თავადი უფალი იტყვს სხჳსა წინაჲსწარმეტყუელისა მიერ: „ღმერთი მახლობელი მე ვარ და არა ღმერთი შორიელი“.<sup>3</sup>

<sup>1</sup> გალ. 6,14.    <sup>2</sup> ფსალმ. 22,4.    <sup>3</sup> იერ. 23,23.

საცნაურ არს უკუე, ვითარცა-იგი ცოდვანი განგუაშორებენ მისგან, ეგრეთვე სიმართლენი მიგუაახლებენ მისა. ვითარცა ეტყვს ესაია მოქმედ-თა მათ სიმართლისათა, ვითარმედ: „დიდებად ღმრთისად გარემოგადგეს შენ. მაშინ ჰლალადებდე, და ღმერთმან ისმინოს შენი და ვიდრე სიტყუად-მდე შენდა გრქუას: აქა ვარ“.<sup>1</sup> რომელმან მამამან ესრეთ მოსწრაფებით ის-მინოს შვილთა თვსთად? რომელმან დედამან ესრეთ განმზადებულად გან-ჰმარტინის სასმენელნი თვსნი სმენად სიტყუასა ნაშობთა მისთასა, რადთა უწოდონ რად, მეყსეულადმცა ჴმა-სცა? ხოლო ღმერთი მარადის მზა არს და მოელის, ვინ-ძი ხადოს მას მონათა მისთაგანმან, და არაოდეს ჴყოვ-ნის სმენად მათა, რომელნი ჯეროვნად ხადიან მას. ამისთვის იტყვს: „ვიდრე სიტყუადმდე შენდა გრქუას: აქა ვარ“.

ან უკუე, საყუარელნო, ვხადოდიოთ მას, ვითარცა-იგი მას ჰნებავს. ვი-თარ უკუე ჰნებავს, ესეცა ესაია წარმოგვთხრა: „განიწსენ ყოველი კრუ-ლებად სიცრუისად, განხეთქე გულარძნილება მძლავრებით ვაჭრობისად, განუტევენ ჰყრობილნი მიტევებით და ყოველივე ჴელითწერილი სიცრუ-ისად განხეთქე. ეც მშიერთა პური შენი და გლახაკნი უსადგურონი შეიყ-ვანენ სახედ შენდა. იხილო თუ შიშუელი, შემოსე იგი, და თვსი ნათესავი-სა შენისად არა უგულებელს-ჴყო. მაშინ წარგემართოს მსთუად ნათელი შენი, და ლხინებად შენი ადრე აღმოსცენდეს, და ვიდოდის წინაშე შენსა სიმართლე შენი, და დიდებად იგი ღმრთისად გარემოგადგეს შენ. მაშინ ჰლალადებდე, და ღმერთმან ისმინოს შენი და ვიდრე სიტყუადმდე შენდა გრქუას: აქა ვარ“.<sup>2</sup>

იტყვან ვინმე მცონართა და უდებთაგანნი, ვითარმედ: ესე ყოველი ვინ უძლოს აღსრულებად? ხოლო მე ვიტყვ: ვისმცა არა ეძლო ამათ სწავ-ლათა აღსრულებად? ანუ რად ძნელი თქუმულ არს ამას შინა? რამეთუ ესოდენ ადვილ არიან სიტყუანი ესე და შესაძლებელ, ვიდრელა მრავალ-თა ფრიად უმეტესი გარდაჰმატეს და უზეშთაესი აღასრულეს: არა ჴელის-წერილნი ხოლო სიცრუისანი განხეთქენს, არამედ ყოვლისაგანვე საქმისა სოფლიოდა შიშუელ იქმნენს; არა სახლად ხოლო შეიყვანენს უსადგურონი და სცეს პური ნამეტნავისაგან ტაბლათა მათთადა, არამედ შურებოდესცა ოფლითა პირთა მათთადა და ნაშრომისა მის მათისაგან ზრდიდეს გლახაკთა და კეთილსა უყოფდეს არა ხოლო თუ მეგობართა და თვსთა, არამედ მტერთაცა.

ან უკუე რად სიძნელე არს თქუმულთა ამათ შინა? არა თქუა, თუ: ნი-აღჴედ ზღუათა მრავალთა და გარდავლენ მთანი მაღალნი, გამოკუეთენ კლდენი მყარნი, გარდაიწადენ უჭმელად დღენი მრავალნი, შეიმოსე ძაძად, დანევეკალთა ზედა. არარად თქუა ესე ვითარი, არამედ თქუა: „განიწსენ კრუ-ლებად სიცრუისად“. ესე იგი არს, განაგდენ გულისაგან შენისა საკრველნი

<sup>1</sup> ესაია 58, 8-9.

<sup>2</sup> ესაია 58, 6-9.

ძკრის-ვსენებისა და ზაკუვისანი. „განხეთქე ყოველივე ჯელისწერილი სიც-რუისაჲ“. რაჲ არს ამისა უადვილესი? „განუტევენ ჰყრობილნი მიტევებით, ეც მშიერსა პური შენი და გლახაკნი უსადგურონი შეიყვანენ სახედ შენდა“. რაჲ სიძნელე არს ამას შინა? ხოლო ძნელ თუ გიჩნს, იხილე მისაგებელიცა და ადვილად აღგიჩნდეს. რამეთუ ვითარცა მეფენი ქუეყანისანი მწედართა შე-რაჲ-ავლენდენ ბრძოლად, ნიჭთა და პატივთა წინაუყოფენ, უნდოთა და წარმავალთა, რამეთუ ესოდენ ჯელ-ენიფების, ეგრეთვე ქრისტემან ჯმითა წინაჲსწარმეტყუელისაჲთა წინაჲთვე უჩუენნა მოლუანეთა თჳსთა ნიჭნი იგი დიდებულნი. და გულისჯმა-ყავ თითოეულად:

„მაშინ წარგემართოსო მსთუად ნათელი შენი“. გულისჯმა-ყავ თითო-ფერებაჲ ამის ნიჭისაჲ. არა თქუა, თუ: გამოჩნდეს ნათელი შენი, არამედ „წარგემართოსო“. უმეტესსა მას განმარჯუებასა და ბრწყინვალებასა მის ნათლისასა მოასწავებს, და ვითარმედ იგი თავადი თანაშემწე არს და წარ-მმართველ მისა.

„მაშინ წარგემართოს მსთუად ნათელი შენი“. რაჲ არს, თუ „მსთუად“? ესე იგი არს, ვითარცა ნაყოფთათჳს ვიტყვო მსთუად, რომელი-იგი პირველ განწესებულისა მის ჟამისა დამწიფდის, ეგრეთვე აქა; რამეთუ წეს არს შემ-დგომად მრავალთა ჭირთა და განსაცდელთა მიწევნად კაცისა ესევეითარსა მას ბრწყინვალებასა.

ან იტყვს, ვითარმედ: პირველ განწესებულთა მათ ჭირთა და განსაც-დელთასა მიიწიო ადვილად ბრწყინვალებასა მას დიდებულსა და სული-ერსა და წარგემართოს მსთუად ნათელი შენი. ხოლო რომელსა ნათელსა იტყვს, ანუ რაჲ-მე არს ნათელი იგი? არა თუ ამას ხილულსა ნათელსა მოასწავებს, არამედ უაღრესსა მას და ზეცისასა, რომელი-იგი გკრუენებს ანგელოზთა და მთავარანგელოზთა, ქერობინთა და სერობინთა, მთავ-რობათა და ჯელმწიფებათა, საყდართა და უფლებათა და ყოველსა მას ზეცისა მწედრობასა, ტაძართა მათ სამეუფოთა, საყოფელთა მათ საუკუ-ნეთა.

რამეთუ უკუეთუ ნათელსა მას ღირს იქმნა, განსთავისუფლდე ცეცხლი-სა მისგან გეჰენისა, და მატლისა მისგან წამლენისა, და ღრჭენისაგან კბილთაჲსა, და საკრველთა მათგან განუჯსნელთა, და ჭირისა მისგან ფრია-დისა და იხილნე სიხარულით განწყობილნი იგი ზემონერილთა მათ მწედრო-ბათანი. და მიიწიო, სადა-იგი არა არს საღმობაჲ, არცა მწუხარებაჲ, არცა სულ-თქუმაჲ; სადა-იგი არს ფრიადი სიხარული, მშკდობაჲ და სიყუარული, შუებაჲ და განათლებაჲ და ცხორებაჲ საუკუნე, და დიდებაჲ გამოუთქუმე-ლი, და შუენიერებაჲ მიუთხრობელი, და ნათელი პირისა ღმრთისაჲ; სადა-იგი არიან კეთილნი, „რომელნი თუალმან არა იხილა, და ყურსა არა ესმა, და გულსა კაცისასა არა მოუწდა“;<sup>1</sup> სადა-იგი არს სასძლოჲ სულიერი, და

<sup>1</sup> 1 კორ. 2,9.



ქორწილი ზეცისად, და ბრძენნი იგი ქალწულნი ლამპრითა ბრწყინვალითა, და ყოველნი, რომელთა ჰმოსიეს სამოსელი საქორწინე; სადა-იგი არიან სავანენი საუკუნენი და საუნჯენი მეუფისანი და იერუსალჴმი ზეცისად.

იხილენა ნიჭთა ამათ სიმრავლენი, ვითარ ყოველნი ესევეთარითა სიტყუთა გამოსახნა წინადასწარმეტყუელისა მიერ უფალმან? ეგრეთვე შემდგომთა მათ სიტყუათა, უკუეთუ ძალი გამოვიძიოთ თითოეულისა სიტყუსა, ფრიადი ვპოოთ სიმდიდრე და ძალი გამოუთქუმელი.

ან უკუე, ვინაფთგან ესე ყოველნი კეთილნი სიყუარულითა და კეთილის-ყოფითა მოყუსისაფთა აღგუთქუა უფალმან, ნუმცა უდებ ვიქმნებით, გევედრები, არამედ ყოვლით კერძო ვისწრაფოთ მცნებათა უფლისათა, კეთილთა ამათ და ადვილთა, აღსრულებად. დაღაცათუმცა ცეცხლი წინამდებარე იყო და მახვლნი ლესულნი, არავე ჯერ-იყო ჩუენდა რიდობად თავთა თვსთა, რაფთამცა მივემთხვენით სასუფეველსა ცათასა და კეთილთა მათ დაუსრულებელთა, რომელთა ღირსმცა ვართ ყოველნი მკვდრ-ყოფად მადლითა და კაცთმოყუარებითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რომლისად არს დიდება და სიმტკიცე თანა მამით და სულით წმიდითურთ ან და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

## თავი 6

სიტყუად ესე: „მაშინ ჰრქუა იესუ მონაფეთა თვსთა: რომელსა ჰნებავს შემდგომად ჩემდა მოსლვად, უარ-ყავნ თავი თვისი და აღიღენ ჯუარი თვისი და შემომიდეგინ მე“ (16,24).

მაშინ, ოდეს-იგი ჰრქუა მას პეტრე: „შენდობა იყავნ შენდა, უფალო, არა იყოს ეგრე“,<sup>1</sup> და შეჰრისხნა მას უფალმან, არა კმა-ყო შერისხვითა მით ხოლო, არამედ ინება უმეტესითა სიმტკიცითა გამოჩინებად სარგებელი იგი, რომელი მისისა მის ვნებისაგან ყოფად იყო; თქუა ესრეთ, ვითარმედ: შენ მეტყვ მე, მ პეტრე: შენდობა იყავნ შენდა, არა იყოს ეგრე; ხოლო მე გეტყვ, ვითარმედ: არა ხოლო თუ ესე სავენებელ არს შენდა და ყოველ-თათვს და წარსანყმედელ, უკუეთუ ჩემი ჯუარ-ცუმად არა აღესრულოს, არამედ უკუეთუ შენცა არა განმზადებულ იყო მარადის სიკუდილად, ვერ-ვე ჳელ-გენიფების ცხორებასა საუკუნოსა შესლვად.

რამეთუ ენება მათდა გულისჳმის-ყოფად, რაფთა არა უღირსად მისა და შეურაცხებად ჰგონებდენ ჯუარ-ცუმასა. ამისთვს, ვითარცა იოვანეს თავსა ნერილ არს, ჰრქუა, ვითარმედ: „უკუეთუ არა მარცუალი იფქლისა და ვარდეს ქუეყანასა და მოკუდეს, იგი ხოლო ეგოს; უკუეთუ მოკუდეს, მრავალი ნაყოფი გამოიღოს“.<sup>2</sup> ხოლო აქა უმეტესისა დამტკიცებისათვს, არა ხოლო თავისა თვისათვს იტყვს, თუ ჯერ-არს ჯუარ-ცუმად და სიკუდილი, არამედ მათცა ამასვე ანუევეს და გულისჳმა-უყოფს, ვითარმედ უკუეთუ არა მზა იყვენ სიკუდილად, არა კეთილ არს ესე მათთვს. ამისთვს იტყვს: „რომელსა ჰნებავს შემდგომად ჩემსა მოსლვად“. ჰხედავა, ვითარ ნეფსითსა ეძიებს მისლვასა? არა თქუა, თუ: გნებავს თუ გინა არა, ესე თანაგაც თავს-დებად, არამედ: „რომელსა ჰნებავსო შემდგომად ჩემსა მოსლვად“. არა ვაიძულებ, არცა უნებლებით მოვიზიდავ, არამედ კაცად-კაცადი უფალ მიქმნიეს ნებისა თვისისა; ამისთვს ვიტყვ: „რომელსა ჰნებავს“. რამეთუ კეთილისა მიმართ მოუწოდ, არა თუ სატანჯველთა მიმართ და განსაცდელთა, რაფთამცა ვაიძულებდი. კეთილისა მიმართ მოუწოდ, საუკუნოფსა და წარუვალისა, ამისთვსცა მას უწოდ, რომელსა ენებოს. რამეთუ ნუ ჰგონებთ, თუ ესე არსო შემდგომად ჩემსა მოსლვად, რომელსა ან იქმთ, მონაფენო ჩემნო, და შემოდგომილ ხართ ჩემდა; სხუანი უმეტესნი შრომანი და ჭირნი ჯერ-არიან თქუენდა მოთმინებად, რომელთაცა გნებავს სრულიად შედგომად ჩემდა.

და შენ, პეტრე, ნუ მოელი ამისთვს ხოლო გკრგვსნა, რომელ-ესე ან ძედ ღმრთისა აღმიარე, ვითარმცა ესე ოდენ კმა იყო შენდა ცხორებად, და ჰგონებდმცა, თუ ყოველივე აღგისრულებიეს, რაფ-იგი ჯერ-იყო შენდა ქმნად.

<sup>1</sup> მათ.16,22.

<sup>2</sup> იოან. 12,24.

რამეთუ შემძლებელ ვარ, ვითარცა ძე ღმრთისაჲ, რადთამცა ყოვლადვე არა მოუშუენ მოსლვად შენ ზედა განსაცდელთა და ჭირთა სოფელსა ამას შინა, არამედ არა მნებავს ესე შენისავე უმჯობესისათჳს, რადთა გამოჩნდეს შენიცა ნაყოფიერებაჲ და სიკეთე გონებისაჲ, და იპოო გამოცდილ ჭეშმარიტებით. რამეთუ რომელნიცა უმეტესად მიყუარან, მათიცა მნებავს, რადთა უმეტესად თავით თჳსით აჩუენონ სიქველე და ახოვნებაჲ, და არა იყოს ყოველი საქმე მათი ჩემისა ხოლო მადლისა და შენევისაგან, არამედ მათიცა სიკეთე საცნაურ იქმნეს. ხოლო სიტყუად ესე დალაცათუ მათა მიმართ იყო, არამედ ყოველნივე კაცნი შორის შემოიყვანნა და ყოველთა მიმართ თქუა: რომელსა ჰნებავსო, გინა მამაკაცსა, გინა დედაკაცსა, მდიდარსა ანუ გლახასა, მთავართა და შეურაცხთა, ყოველსავე კაცსა, რომელსა ჰნებავს შემდგომად ჩემსა მოსლვად, ამით წესითა მოვიდოდენ, ვითარცა ვთქუ.

და ჩანს სიტყუად ესე, თუ ერთ არს, არამედ სამი სახე აქუს: „უარ-ყავნო თავი თჳსი და აღიღენ ჯუარი თჳსი და შემომიდეგინ მე“. აჰა ესერა სამი სახე შემოილო. და ორნი იგი მახლობელ არიან ურთიერთას, ხოლო მესამე ესე თჳსაგან განჩინებულ არს.

ვიხილოთ უკუე პირველად, თუ რად არს უარ-ყოფად თავისა თჳსისაჲ. ვისნაოთ, თუ რად არს უარ-ყოფად სხვსაჲ, და მერმე ვცნათ, თუ რად არს უარ-ყოფად თავისა თჳსისაჲ. რად არს უკუე უარ-ყოფად სხვსაჲ?

რომელმან უარ-ყოს გინა თუ მოყუასი, გინა თუ მონაჲ, გინა თუ თჳსთაგანი ვინმე, მიერთგან გინა თუ იხილოს იგი დილეგსა შინა, ანუ თუ ტანჯვასა, ანუ თუ სიყმილსა, ანუ რომელსაცა ჭირსა შინა, არარად ელმინ მისთჳს, არცა შეენევიან, რამეთუ ერთგზის უცხოქმნილ არნ მისგან და არცა ერთილა აქუნ მისთჳს ზრუნვაჲ. ეგრეთ უკუე გუამცნებს უფალი ყოფად ჩუენდა ჳორცთა მიმართ ჩუენტა, რადთა არა ვჰრიდებდეთ მათ, არცა გუენყალოდინ, გინა თუ სდევიდენ ვიეთნიმე, გინა თუ იტანჯებოდინ, გინა თუ დაიწუებოდინ, ანუ თუ რადცა რად შეემთხუეოდის, არა ვჰრიდებდეთ. რამეთუ ოდეს ესრეთ ურიდად ვექცეოდით და უწყალოდ, იგი არს ჭეშმარიტი რიდობაჲ და წყალობაჲ. ვითარცა მშობელნი მაშინ გამოჩნდიან ჭეშმარიტად მწყალობელ შვილთა თჳსთა, ოდეს სწავლისათჳს და წურთისა კეთილისა არა ჰრიდებდენ. ეგრეთვე ქრისტე გვბრძანებს ჩუენ.

და არა თქუა: ნუ ჰრიდებნ თავსა თჳსსა, არამედ უმეტესი და უმტკიცესი სიტყუად განაჩინა: „უარ-ყავნო თავი თჳსი“. ესე იგი არს: ნუმცა რად აქუს ზიარებაჲ ჳორცთა მიმართ თჳსთა, არამედ მიეცინ ღუანლად და ჭირად და ტანჯვად. და ესრეთ იყავნ იგი, ვითარმცა სხუასა ვისმე ელმოდა და არა ჳორცთა მისთა, რამეთუ ესე არს უარ-ყოფად.

„და აღიღენ ჯუარი თჳსი“. ესე მისგან იქმნების, უარ-ყოფისაგან თავისა თჳსისა იქმნების აღებაჲ ჯუარისა. რამეთუ ესე სიტყუად თქუა, რადთა არა ჰგონებდე, თუ უარ-ყოფად თავისა თჳსისაჲ ვიდრე მოთმინებადმდე

სიტყუათა შეურაცხებისა და ყუედრებისათა ჯერ-არს. ამისთვის გუასწავა, თუ სადამდე ჯერ-არს უარ-ყოფად თავისა თვისისად, ესე იგი არს, სიკუდილადმდე, და სიკუდილად შეურაცხად და საჭიროდ.

და არა თქუა: უარ-ყავნ თავი თვისი ვიდრე სიკუდილადმდე, არამედ: „უარ-ყავნო თავი თვისი და აღილენ ჯუარი თვისი“. ესე იგი არს, სიკუდილი იგი შეურაცხი თავს-იდევინო გუემითა და ტანჯვითა; და არა თუ ერთგვის ანუ ორგვის, არამედ ყოველთა დღეთა ცხორებისა ჩუენისათა გკვმს ესრეთ ყოფად, რამეთუ სამარადისოდ გვბრძანებს ამის სიკუდილისა ტვრთვად ჩუენ ზედა.

ვითარ არს სამარადისოდ ტვრთვად სიკუდილისა მის? ესე იგი არს, რადთა ვითარცა კაცი რომელი დამსჭუალულ არნ ძელსა ზედა, ვერღარა წელ-ენიფებინ ცოდვად, ეგრეთ უცხო ვიქმნეთ ჩუენ ცოდვათაგან და მზა ვიყვნეთ მარადლე სიკუდილად სახელისათვს უფლისა, ვითარცა იტყვს მოციქული, ვითარმედ: „ეგრეთცა თქუენ შეჰრაცხენით თავნი თქუენნი მკუდრად ცოდვისათვს და ცხოვლად ღმრთისა ქრისტე იესუს მიერ“.<sup>1</sup> ეგრეთ გვღირს, ვიდრელა ცხორებასა ამას შინა ვიყვნეთ, მოკუდინებად თავთა ჩუენთად ცოდვისაგან და მერმე მზად-ყოფად სიკუდილად ქრისტესთვის, ოდესცა მოიწიოს ჟამი მისთვის სიკუდილისა ვითართაცა სახითა.

რამეთუ ვინაფთვან მრავალთა შეურაცხ-ყვენეს საფასენი და შუეებად და დიდებად ამის სოფლისად, ხოლო სიკუდილისა შეურაცხებად ვერ უძლეს, არამედ შეშინდეს მისგან, ამისთვის იტყვს უფალი, ვითარმედ: მე ესრეთ მნებავს, რადთა მოლუანენი ჩემნი ვიდრე სიკუდილადმდე და დათხევადმდე სისხლისა მწნდებოდინ ჩემთვის, დალაცათუ სიკუდილი მოიწიოს მათ ზედა, და სიკუდილი შეურაცხი და ყოველთა მიერ საყუედრელი. და ვითარცა ძკრისმოქმედნი მოსწყდებოდინ, ყოველივე მოითმინონ ახოვნად და ესრეთ სიხარულით შემომიდგენ მე.

რამეთუ არიან მრავალნი ჭირსა და ძკრის-ხილვასა და ტანჯვასა შინა, გარნა არა შეუდგან ქრისტესა, ოდეს ტანჯვად იგი არა მისთვის იყოს. რამეთუ ავაზაკთა და მპარავთა და გრძნებისა მოქმედთა მრავალი ძკრი და მრავალი ტანჯვად შეემთხუევის, არამედ არა აქუს ნაწილი ამას სიტყუასა თანა.

ხოლო რადთა არა ჰგონებდე, თუ ემა არს ძკრის-ხილვად ოდენ, ამისთვის შესძინა და გუასწავა წესი იგი ძკრის-ხილვისად, თუ ვითარსახედ ჯერ-არს. ესე იგი არს, რადთა ღუანლი იგი და ძკრის-ხილვად შედგომითა უფლისადთა იყოს, რადთა მისთვის გვენებოდის ყოველივე, რადთა სხუანიცა სათნობანი გაქუნდენ, რამეთუ ამას მოასწავებს სიტყუად იგი, თუ: „შემომიდგენ მე“. რადთა არა ახოვნებად ხოლო ღუანლთა შინა აქუნდეს მოლუანესა მას ღმრთისმსახურებისასა, არამედ სინმიდეცა და სიმდაბლე და სიყუარული

<sup>1</sup> რომ. 6,11.

და ყოველივე სათნოებად, რამეთუ ესე არს ჯეროვანი შედგომა უფლისად: ერთად, რადთა სათნოებანი მოიგნეს, და მეორედ, რადთა ძკრის-ხილვად და ჭირი ქრისტესთს შეემთხუოდის. რამეთუ არიან მრავალნი, რომელნი ეშმაკისადა შედგომილ არიან, და ფრიადი ღუანლი შეემთხუევის, და მისთს დასდებენ სულთა.

ხოლო ჩუენ ქრისტესთს მოვითმენთ და უფროდსლა თავთა ჩუენთათს და ცხორებისა ჩუენისათს. მათ აქაცა ევენების და მუნცა, ხოლო ჩუენ ორკერძოვე სარგებელ გუეყოფის: აქა სინმიდით მოქალაქობად, და მუნ ცხორებად საუკუნოდ.

ვითარ უკუე არა ფრიადისა უგუნურებისა საქმე არს, რომელ არცა თუ ესოდენსა ვაჩუენებთ ახოვნებასა ქრისტესთს, რავდენსა იგინი ნარწყმედისათს. და ჩუენ გუქონან აღთქუმანი საუკუნეთა მათ კეთილთანი და თანაშემნედ გუაქუს ქრისტე, ხოლო მათ არარად ესევეითარი აქუს ყოვლადვე, და ეგრეთცა ვიპოებით ჩუენ უდებ და დაწსნილ.

ვისმინოთ უკუე ბრძანებად უფლისად და ყოვლითა გულითა შეუდგეთ მას, ვითარცა იტყვს: „რომელსა ჰნებავს შემდგომად ჩემსა მოსლვად, უარყავნ თავი თვისი და აღიღენ ჯუარი თვისი და შემომიდეგინ მე“.

ესე სწავლად ზემოცა თქუა, ოდეს-იგი ეტყოდა: „აჰა მიგავლინებ თქუენ, ვითარცა ცხოართა შორის მგელთა“,<sup>1</sup> და შემდგომი ამისი. არამედ ან უმეტესად უბრძანა და სრულებისა გზად უჩუენა, რამეთუ მაშინ სიკუდილი ხოლო მიუთხრა, რომელი შემთხუევად იყო მათდა სახელისა მისისათს, ხოლო აქა ჯუარიცა აწსენა, და ჯუარი სამარადისოდ. „აღიღენო ჯუარი თვისი“, ესე იგი არს, მარადის ვნებანი ქრისტესნი ეტკრთნედ თავსა შორის თვისსაო. და ჯუარცუმულ იყავნ ახოვნებითა მით გონებისადთა, რომელსაცა სწადის მონაფე-ყოფად უფლისა.

რამეთუ ესე წესი არს სწავლათა უფლისათად, რადთა არა ყოველივე სისრულისა საზომი პირველითგან ასწაოს, არამედ მცირედ-მცირედ აღიყვანნეს სიმაღლესა სრულებისასა. ვისმინოთ უკუე შემდგომიცა სიტყუად, ვითარ წარმოიტყვს მისაგებელსა მასცა ახოვნებისასა და განსაცდელსა მასცა დაწსნილთა და უდებთასა.

**ს ა ხ ა რ ე ბ ა ა :** „უკუეთუ ვისმე უნდეს სული თვისი განრინებად, წარინწყმიდოს იგი; და რომელმან წარინწყმიდოს სული თვისი ჩემთს, მან პოოს იგი. რად სარგებელ ეყოს კაცსა, უკუეთუ სოფელი ყოველი შეიძინოს და სული თვისი იზღვიოს? ანუ რად მისცეს კაცმან ნაცვალად სულისა თვისისა?“ (16,25-26).

თ ა რ გ მ ა ნ ი : ხოლო სიტყუად ესე, რომელსა იტყვს, ესევეითარი არს, ვითარმედ: არა თუ უწყალოებისა თქუენისათს გეტყვ ესრეთ, არამედ

<sup>1</sup> მათ. 10,16.

რომელ-იგი ფრიად მეწყალით და მიყუართ. რამეთუ მამასაცა რომელი უყუარნ შვილი, სწავლინ და კეთილსა ზედა აიძულებზ. უკუეთუ არა ესრეთ იქმოდის, უფროდსა სძულს მას შვილი იგი და არა უყუარს. და ერისთავმან უკუეთუ ჟამსა ბრძოლისასა მჭედარნი თჳსნი შეაყენნეს სახლსა, დაუგოს ტაბლად და ასუმიდეს ღვნოსა სიმთრვალედ, იგი არა მოყუარე არს მათი, არამედ წარმწყმედელი, რამეთუ მოვიდიან მბრძოლნი და პოვნიან იგინი განუშხადებელად, და არასადათ გამოჩნდის ახოვნება მათი.

ამისთვისცა, რაჲთა არა ესევეითარი შეგემთხვოს თქუენ, ჯერ-არს სამარადისოდსა სიკუდილისა მიმართ განწყობად თქუენი, რამეთუ ანცა ბრძოლად ეგულეზის მოსლვად სასტიკი. ნუმცა ვინ უკუე მონაფეთა ჩემთაგანი უდებებით იქცევის, არამედ განვედინ ბრძოლად; უკუეთუ ბრძოლასა მას შინა მისცეს სული თჳსი სიკუდილად, და იგიცა, რომელი ყოველთა უპატიოსნეს არს მისა, ჩემისა სიყუარულისათჳს წარინწყმიდოს და ჴელთა სიკუდილისათა მისცეს, მაშინლა აცხოვნოს იგი სრულიად.

რამეთუ უკუეთუ ბრძოლათა მათ შინა სოფლიოთა რომელი განმზადებულ იყოს უშიშებით ბრძოლად და არა ჰრიდებდეს სიკუდილსა, იგი არს ქებულ უფროდს ყოველთა და უცთომელ (და რაჲ არს მისი იგი საქმე? შე-რაჲ-ვიდეს განწყობილსა მას მბრძოლთასა და მოკუდეს, ძალ-უცა მეფესა კუალად აღდგინებაჲ მისი, რომლისათჳს ღუანლი იგი აღესრულა? ნუ იყოფინ! და ეგრეთცა საქებელვე არს და სანადელ ყოველთა მიერ ახოვნებაჲ მისი და სიკუდილისაგან უშიშობაჲ), რავდენ უკუე უმეტესად სულიერსა ამას მჭედრობასა შინა, სადა-ესე სასოებაჲ აღდგომისაჲ უტყუელი არს. რომელმან მისცეს სული თჳსი სიკუდილად, მან ჭეშმარიტად აცხოვნოს იგი, რამეთუ უაღრესსა მას სანატრელსა ცხოვრებასა შეიყვანოს.

ხოლო ვინაჲთგან თქუა: „რომელსა უნდეს სული თჳსი განრინებაჲ, წარინწყმიდოს იგი; და რომელმან წარინწყმიდოს სული თჳსი ჩემთჳს, ამან პოოს იგი“; და მუნ ცხოვრებაჲ თქუა და წარწყმედაჲ, და აქა – ცხოვრებაჲ და წარწყმედაჲ; რაჲთა არავინ ჰგონებდეს, თუ სწორ არს ესე ცხოვრებაჲ და იგი, და ესე წარწყმედაჲ და იგი, არამედ გულისჴმა-ყოს, ვითარმედ ესოდენი განყოფილებაჲ არს მის ცხოვრებისაჲ და წარმავალისა ამის ცხოვრებისაჲ, რაოდენ განყოფილ არს ცხოვრებაჲ სიკუდილისაგან, ამისთვის წინააღმდგომისა ამის კერძისაგან საცნაურ-ჰყოფს ამას და იტყვს: „რაჲ სარგებელ ეყოს კაცსა, უკუეთუ ყოველი სოფელი შეიძინოს და სული თჳსი იზღვიოს?“ ჰხედავა, თუ ვითარ უჯეროდ იგი და უნესოდ ცხოვრებაჲ უძრეს არს ყოვლისა წარწყმედისა და უკურნებელ? რამეთუ არღარაჲ იპოების გამომჴსნელ მისა, შთავარდეს რაჲ წარწყმედასა. რამეთუ ნუ ჰგონებ, თუ რომელი სიკუდილსა ესევეითარსა განერეს, მან განარინა სული თჳსი; არამედ თქუ ესეცა, თუ განრომასა მას თანა სიკუდილისასა

ყოველიცა სოფელი შეიძინოს, რად უკუე სარგებელ ეყოს ამის ყოვლისაგან, ვინაფთგან საუკუნოსა წარსანწყმედელსა მიეცეს? რამეთუ უკუეთუ იხილნე მონანი შენნი შუეებასა შინა და განსუენებასა და შენ სიყმილითა მოსწყდებოდი, იყომცა რადა სარგებელ შენდა სახელი უფლებისად? ნუ იყოფინ! ეგრეთვე არს სული; ოდეს ჴორცნი შუეებასა და განცხრომასა შინა იყვენ და იგი თანამდებ იყოს საუკუნოფსა მის წარწყმედისა და მას მოელოდის, რად სარგებელ არს მისდა? ამისთვისცა იტყვს, ვითარმედ: „რად მისცეს კაცმან ნაცვალად სულისა თვისისა?“ არა თუ სხუად სული აქუს, თუმცა იგი მისცა. რამეთუ საფასენი თუ წარწყმიდნეს, კუალად სხუანი იპოებიან, გინა თუ სახლი, გინა თუ საცხოარი, ანუ თუ სხუად რადმე, ყოვლისა ნაცვალნი იპოების. ხოლო სული თვისი თუ წარწყმიდოს, სხუად სული არა ეპოების, რადთამცა მისცა ცხოვნებული. დაღაცათუ ყოველი სოფელი აქუნდეს, დაღაცათუ მეფე იყოს ყოვლისა ქუეყანისად, ვერ ჴელ-ენიფების სულისა ერთისა მოგებად, დაღაცათუ ჴელმნიფებად აქუნდეს ყოვლისა სოფლისა მიცემად. და რად საკრველ არს, უკუეთუ სულისათვის ესრეთ ვიტყვ, ვინაფთგან ჴორცთათვისცა ესრეთვე არს? რამეთუ დაღაცათუ ყოვლისა სოფლისა მეფე ვინ იყოს და აქუნდეს გუამი ბუნებით უძღური და სენიანი, ვერ ძალ-უც სხვსა მრთელისა გუამისა მოგებად, დაღაცათუ მრავალნი გუამნი და ქალაქნი და ქუეყანანი მისცნეს სასყიდლად. ეგრეთვე სულისათვის გულისწმა-ყავ, და უფროფს ყოვლისა – სულისათვის.

ამისთვის უგულებელს-ყავ ყოველივე და სული თვისი ილუანე, კაცო, რადთა არა მოიგო იგი კნინსა ამას ჟამსა და საუკუნოდ წარსწყმიდო; რამეთუ რომელმან ჰრიდოს მას ქრისტესთვის მიცემად სიკუდილდ, მან საუკუნოდ წარწყმიდოს, ხოლო რომელმან წარწყმიდოს იგი ამას სანუთროსა, ესე იგი არს, არა ჰრიდოს სიკუდილდ მიცემად სახელისათვის ქრისტესისა, მან პოოს იგი სასუფეველსა ცათასა.

და ამის სიტყვსა განმარტებად ვრცელადრე ზემოთა მათ სიტყუათა შინა მითქუამს, არამედ ან ამას ვიტყვ: გულისწმის-ყოფით ყურად-იღეთ კაცად-კაცადმან სიტყუანი უფლისანი და ეკრძალენით წარწყმედასა სულისასა, რამეთუ არად სარგებელ არს სიმდიდრე სოფლისად და დიდებად კაცობრივი და შუებად ჴორცთად, უკუეთუ სული წარწყმედილ იყოს და ბევრეულთა ბოროტთაგან შებლალულ.

ამისთვისცა იტყვს უფალი: „რად მისცეს კაცმან ნაცვალად სულისა თვისისა?“ ჭემმარიტად არარად იპოების ნაცვალად მისა.

ან უკუე, მორწმუნენო, იგი შევიკრძალოთ, იგი ვილუანოთ, მისი ცხობებად საძიებელ იყავნ ჩუენდა, და მისისა წარწყმედისაგან განრინებად ყოვლითავე ღონის-ძიებითა მოვიპოოთ. რამეთუ განმზადებულ არს მოლუანეთათვის ღმრთისმსახურებისათა სასუფეველი ცათად და ნიჭნი იგი მიუთხრობელნი, ვითარ-იგი ცოდვილთათვისცა განწესებულ არს მისაგებე-

ლი. ამისთვის უფალმან ვინაფთვან სიტყუანი ესე საშინელნი წარმოთქუნა, მერმე შემდგომითა ამით სიტყვთა ნუგეშინის-სცემს მოლუანეთა თვსთა და იტყვს:

**სახარება:** „რამეთუ მოსლვად არს ძე კაცისად დიდებითა მამისა თვისსაათა ანგელოზთა მისთა თანა, და მაშინ მიაგოს კაცად-კაცადსა საქმეთა მათთაებრ“ (16,27).

თარგმანი: ჰხედავა, ვითარ ერთ არს დიდებად მამისა და ძისად, რამეთუ არა თქუა, თუ: მოსლვად არს ესევეთართა დიდებითა, ვითარი მამისად არს, რადთამცა შეცვალეზად რადმე ვინ უძლო მოგონებად, არამედ: მოსლვად არსო დიდებითა მამისაათა, რომელ-ესე სრულიადსა მას და განუყოფელსა ერთობასა აჩუენებს, ყოვლადვე შეუცვალეზელსა. ხოლო ვინაფთვან დიდებად ერთ არს, ეგრეთვე ბუნებად ერთ არს; ერთი ძალი, ერთი არსებად, ერთი დიდებად, ერთი ბუნებად მამისა და ძისა და სულისა წმიდისად.

რადსათვს უკუე გეშინისო, ზ პეტრე, სიტყვსა ამისგან, თუ: ჯერ-არს ჩემდა ვნებად და სიკუდილი? გულისწმა-ყავ, რამეთუ მოსლვად ვარ მიუთხრობელითა მით და კაცთაგან მოუგონებელითა დიდებითა. მაშინ მიხილო მე და განჰკვრდე, – იტყვს უფალი, – მაშინ თქუენცა იდიდნეთ დიდებითა საუკუნოათა და ჩემ თანა იხარებდეთ. რამეთუ არა თუ საქმე თქუენი ამას სანუთროსა თანა განქარვეზად არს, არამედ ფრიად უალრესსა და უკუდავსა და საუკუნესა დიდებასა მიმავალ ხართ, ოდესიგი მოვიდე დიდებითა მით მამისაათა და მივაგებდე კაცად-კაცადსა საქმეთა მათთაებრ.

## სწავლად ნი

**ქებად მონაზონთად, რომელნი მარადის გლოასა შინა არიან და ჳსენებასა საუკუნოასა სასჯელისასა**

ხოლო ამათ სიტყუათა იტყოდა უფალი არა ამისთვის ხოლო, რადთა მოაწსენოს ცოდვილთა სატანჯველი, არამედ უფროდსად, რადთა მოაწსენოს მართალთა ნიჭნი იგი და გვრგვნი საუკუნონი და ახაროს გულსა მოლუანეთასა ჳსენებითა კეთილთა მათ წარუვალთაათა. ხოლო მე ვძრნი, ოდეს სიტყუანი ესე მესმოდინ, რამეთუ არა მათგანი ვარ, რომელნი გვრგვთა მოელიან, არამედ რომელნი სატანჯველთა ღირს არიან. ამისთვის ვძრნი და მეშინის და ვჰგონებ, თუ სხუანიცა მრავალნი არიან ზიარ ჩემდა შიშისა ამის და ძრწოლისა და ურვისა. რამეთუ ვინმცა იყო ან ჩუენგანი, რომელსა ესმენსმცა სიტყუანი ესე და შევიდამცა გონებასა თვსსა და მოიწსენნა საქმენი თვსნი და არამცა შეშინდა და შეძრწუნდა და გულისწმა-ყო, ვითარმედ



ჭემმარიტად ჩუენდა უფროხსად საჯმარ არს შემოსად ძაძისად და მარხვად ფრიადი, ვიდრელა მაშინ ერისა მის ნინეველთაჲსა; რამეთუ არა არს ქადაგებაჲ ესე დაქცევისათჳს ქალაქისა ერთისა და სიკუდილისათჳს ბუნებით თანანადებისა, არამედ სატანჯველთათჳს საუკუნეთა და ცეცხლისათჳს უშრეტისა. ამისთჳსცა ვაქებ მონაზონთა მათ, განშორებულთა სოფლისა ამისგან და დამკვდრებულთა უდაბნოთა შინა და მათთა და ჴურელთა ქუეყანისათა, ვაქებ მათ ყოვლისავე მისთჳს საღმრთოჲსა მოქალაქობისა მათისა და, უფროხსად, რომელ მარადის გლოასა შინა არიან და ჴსენებასა საუკუნოჲსა მის სასჯელისასა, და რომელ სიტყუაჲ ესე დაუფინყებულად პირთა შინა მათთა არს.

და რად ვთქუა სხუათა მათთჳს ჟამთა, ოდეს ლოცვასა შინა იყვნენ, გინა თუ ნურთასა გონებისასა? რამეთუ იგი ჟამნი ყოველნივე გლოითა და ტირილითა აღესრულებიან მათ მიერ; გარნა იგი მეზრ ვაჴსენო ჟამი, ოდეს სერობად დასხდენ და საზრდელი მიიღონ. რამეთუ მათ შორის სამხრობაჲ და სადილობაჲ არაოდეს არს, არამედ ყოვლადვე სერობაჲ ოდენ, რამეთუ იციან, ვითარმედ გლოისა და მარხვისაჲ არს ჟამი ესე. ამისთჳს ყოვლადვე იმარხვენ მნუხრადმდე, გარეშე მათსა, რომელნი ორ-ორით და სამ-სამით და შკდეულით იმარხვენ; გარნა განწესებული იგი და განჩინებული ყოველთა ჩუეულებაჲ ვთქუა. რაჟამს ჟამსა სერობისასა საზრდელი მიიღონ და აღდგენ, მეყსეულად გალობასა მადლობისასა შესწირვენ ღმრთისა და ამათ სიტყუათა მარადის აჴსენებენ, რომელნი ან აღმოვიკითხნით სახარებისაგან.

და უკუეთუ გნებაჲს სმენაჲ გალობისაჲ მის, რაჲთა თქუენცა ისნაოთ და იტყოდეთ, მე ყოველივე წარმოგიტხრა თქუენ; რამეთუ ესევეითართა სიტყუთა შეწყობილ არს გალობაჲ იგი წმიდაჲ:

„კურთხეულ ხარ შენ, ღმერთო, რომელმან გამომზარდე მე სიყრმით ჩემითგან, რომელმან მოსცი საზრდელი ყოველსა ჴორციელსა. აღავსენ სიხარულითა და მხიარულებითა გულნი ჩუენნი, რაჲთა ყოველსა შინა მარადის ყოველივე უნაკლულოდ გუაქუნდეს და ვჴმატებდეთ ყოველსა ზედა საქმესა კეთილსა ქრისტეს იესუს მხერ, უფლისა ჩუენისა, რომლისა თანა შენდა დიდებაჲ, პატივი და სიმტკიცე სულით წმიდითურთ უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

დიდებაჲ შენდა, უფალო, დიდებაჲ შენდა, წმიდაო, დიდებაჲ შენდა, მეუფეო, რამეთუ მოგუცენ ჩუენ ჴამადნი საზრდელად და განსამტკიცებულად. გევედრებით შენ, აღმავსენ ჩუენ სულითა წმიდითა, რაჲთა ვიპოვნეთ წინაშე შენსა სათნო და არა სირცხვლელულ, ოდეს-იგი მიაგებდე კაცად-კაცადსა საქმეთა მათთაებრ“.

ღირს არს უკუე ყოვლისავე ამის გალობისა ქებაჲ და საკრველებაჲ ძალსა ზედა მცირეთა მათ სიტყუათასა. ხოლო უფროჲს ყოვლისა აღსასრული მისი განსაკრვებელ არს და სავესე სარგებელითა.

რამეთუ ვინათგან ტაბლად და ჭამადი დაამძიმებს გონებასა, ამისთვის ვითარცა აღვსა რასმე ძლიერსა წინაუყოფენ გონებათა თვსთა სიტყუასა ამას, რათა ჟამსა ამას განსუენებისასა ჟამი იგი სასჯელისად მოაწესნონ მას. რამეთუ იციან, რად-იგი შეემთხვა ისრაჴლსა ჭამისაგან, ვინათგან არა აქუნდა წესებად მის ჟამისად, ვითარცა წერილ არს: „ჭამა იაკობ, განძლა. და შესტრიობდა საყუარელი იგი“;<sup>1</sup> ამისთვისცა მოსე იტყოდა: „რაჟამს სჭამო და განძლე, მოიწსენე უფალი ღმერთი შენი“.<sup>2</sup> რამეთუ მათ ჭამეს რად და განძლეს, მაშინ საქმენი იგი უმჯულოებისანი აღასრულნეს.

იხილე უკუე შენცა, კაცო, ნუუკუე ესევითარი რადმე შეგემთხვოს. დაღაცათუ არა ქვათა და ძელთა უზორო, არცა კერპთა ოქროსა და ვეცხლისათა დაუკლა ცხოარი და ზროხად, არამედ ეკრძაღე, ნუუკუე გულისწყრომასა უზორო, ნუუკუე გულისთქუმასა სიძვისასა მსხუერპლად მისცე ცხორებად სულისა შენისად, გინა თუ სხუათა მათ მრავალფერთა ვნებათა ჰმსახურო. ამისთვისცა მოლუანენი იგი და მუშაკნი სათნოებისანი ესევითართა მათ კაპანთაგან და საფრჴეთა ძრწიან და ჟამსა მას ტაბლისასა, უფროსადღა ვთქუა, თუ მარხვისასა (რამეთუ ტაბლად მათი მარხვაღე არს), საშინელსა მას სასჯელსა და დღესა მას მეორედ მოსლვისასა აწესნებენ და შიშითა მით სულთა თვსთა განაკრძაღებენ. ხოლო უკუეთუ მათდა საწმარ არს წესებად მის დღისად, რომელნი მარხვითა და ლოცვითა და მღკაძრებითა და შემოსითა ძაძისაღათა და წმელსა ზედა წოლითა და სხვთა ბევრეულითა ღუანლითა შეჭურვილ არიან, რად ვთქუა ჩუენთვის, რომელნი-ესე ტაბლათა დავაგებთ ბევრეულითა სანოაგითა საესეთა, და უფროსღა ვთქუა, თუ ბევრეულითა სულისა ვნებითა, და არცა დავებისა ჟამსა, არცა აკრებისა აღვასრულებთ ლოცვასა ანუ მადლობასა. ამისთვის გამცნებ, საყუარელნო, რათა გალობადცა იგი სულიერი კაცად-კაცადმან ისნაოთ და წესებად საღმრთოთა მათ სიტყუათად და საშინელისა მის დღისად გულსა შინა თქუენსა დაიდვათ და ფრიადიცა შუებად და განცხრომად მოიწყვდოთ, რათა წესი იგი და მსგავსებად ანგელოზთა მობაძავთად მათ სახლთა შინა თქუენთა აღესრულებოდის. კაცად-კაცადი უკუე, აღდგეს რად ტაბლისაგან, ამათ სიტყუათა იტყოდენ გულისწმის-ყოფით: „კურთხეულ ხარ შენ, ღმერთო“. რამეთუ ესე მოციქულისა მიერ განწესებულ არს, რომელი იტყვს: „ყოველსავე, რასაცა ვიქმოდით სიტყვთ გინა საქმით, სახელითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა ვიქმოდით და ვჰმადლობდეთ ღმერთსა და მამასა მის მიერ“.<sup>3</sup>

ხოლო მადლობად იგი არა მის ოდენ დღისათვის აღესრულების, რომელსა შინა ვიყვნეთ, არამედ ყოვლისავე ცხორებისა ჩუენისათვის, რამეთუ ესრეთ იტყვს გალობად იგი: „რომელმან გამომზარდე მე სიყრმით ჩემითგან“.

<sup>1</sup> 2 სჯ. 32,15.

<sup>2</sup> 2 სჯ. 6; 11-12; 8,10.

<sup>3</sup> კოლ. 3,17.

და ესეცა სწავლად არს ფრიადისა გულისჴმის-ყოფისად, ვითარმცა იტყოდა, ვითარმედ: არა ჯერ-არს ზრუნვად, ვინაფთგან ღმერთი არს მზრდელი და მოლუანე ჩუენდა. უკუეთუმცა მეფემან უქადა ვის მარადლე სამეუფოთა საგანძურთაგან მიცემად საზრდელისა, არამცა უზრუნველ იყოა იგი მინდობითა სიტყუასა მას მეფისასა? რავდენ უფროესად ჩუენ გვლირს უზრუნველობად, რომელთა-ესე ღმერთი მოგუცემს დღითი-დღედსა საზრდელსა. რამეთუ ამისთჳს მოლუანენი იგი ესრეთ გალობენ, რაფთა თავთაცა თჳსთა და მონაფეთაცა მოძღურებისა მათისათა ასწონ დატევებად ყოვლისავე სოფლიოფსა ზრუნვისა. და რაფთა სცნათ, ვითარმედ არა თავთა თჳსთათჳს ხოლო შესწირვენ მადლობასა მას, არამედ ყოვლისა სოფლისათჳს, ამისთჳს იტყჳან: „რომელმან მოსცი საზრდელი ყოველსა ჴორციელსა“.

იხილეა მადლობითა ამით ვითარ მცნებასაცა სიყუარულისასა აღასრულებენ და ზრუნვისაცა სიმძიმესა განაგდებენ და ასწავებენ თავთა თჳსთა, ვითარმედ რომელ-იგი ყოველსა ჴორციელსა ზრდის, ვითარმცა არა გამოზარდნა, რომელნი-იგი მისა შევედრებულ არიან და ზრუნვათაგან სოფლისათა განშორებულ არიან?

ვითარცა-იგი უფალი ბრძანებს, ვითარმედ: „მიხედენით ფრინველთა ცისათა და შროშანთა ველისათა“. <sup>1</sup> უკუეთუ მათ ილუნის ღმერთი, არა უფროესად თქუენ გილუანნესა?

ისმინეთ უკუე შემდგომიცა სიტყუად გალობისად მის: „აღავსენო სიხარულითა და მხიარულებითა გულნი ჩუენნი“. რომელსა-მე სიხარულსა იტყჳან? ნუუკუე ჴორციელსა ამას და სოფლიოსა ითხოენა? ნუ იყოფინ! რამეთუ უკუეთუმცა ამისა სურვიელ იყვენეს, არამცა დაეტევა სოფელი და აღსრულ იყვენეს მათთა და უდაბნოთა და შეემოსა ძაძად; არამედ მას სიხარულსა ითხოვენ, რომელსა არცა ერთი აქუს ზიარებად სოფელსა ამას თანა – სიხარულსა მას ანგელოზთასა, სიხარულსა ზეცისასა. და არა ესრეთ ლიტონად ითხოენ მას, არამედ ფრიადითა სიმტკიცითა, რამეთუ არა იტყჳან, თუ: მოგუეც, არამედ: „აღავსენო გულნი ჩუენნი“, რამეთუ ნაყოფი სულისად არს სიყუარული, სიხარული, მშჳდობად.

ვინაფთგან ცოდვამან მწუხარებად შემოილო გულად კაცთა, ამისთჳს ევედრებიან, რაფთა სიხარული იგი სიმართლისად დაენერგოს გულთა მათთა, რამეთუ თჳნიერ სიმართლისა ჭეშმარიტი სიხარული არა იქმნების.

„რაფთა ყოველსა შინა მარადის ყოველი უნაკლულოდ გუაქუნდეს და ვჴმატებდეთ ყოველსა ზედა საქმესა კეთილსა“.

გულისჴმა-ყავთ, ვითარ სიტყუასა მას სახარებისასა აღასრულებენ, რომელი იტყჳს, ვითარმედ: „ჴური ჩუენი არსობისად მომეც ჩუენ დღეს“.<sup>2</sup> ეგრეთვე მის სიტყჳსაებრ ითხოენ ბუნებითსა საჴმარსა ჴორცთასა, და ამასცა სულიერისავე წესისათჳს ითხოენ. ამისთჳსცა იტყჳან: „რაფთა ვჴმა-

<sup>1</sup> შდრ. მათ. 6, 26, 28.      <sup>2</sup> მათ. 6, 11.

ტებდეთო ყოველსა ზედა საქმესა კეთილსა“. ესე იგი არს, რადთა არა მას ხოლო ვიქმოდით, რომელი თანაგუა ცქმნად, არამედ უმეტესსაცა; რამეთუ ამას მოასწავებს სიტყუად იგი, თუ: „ვჰმატებდეთ“.

იხილე გალობად კაცთა წმიდათაჲ. ღმრთისაგან ითხოენ საწმარსა ბუნებითსა ზომით, ხოლო თავთა თვსთაჲ ჰნებავს, რადთა გარდამატებულად აღასრულებდენ ყოველსა კეთილისა საქმესა. ესე საქმე არს ჭემმარიტთა მონათა ღმრთისათაჲ, ესე გულისსიტყუად არს მოლუანეთა სრულთაჲ.

მერმე კუალად მოაწსენებენ თავთა თვსთა უძღურებასა მას კაცობრივსა, და ვითარმედ თვნიერ ზეგარდამოხსა შეწენისა ვერცა ერთისა კეთილისა შემძლებელ არიან ქმნად. ამისთვის თქუან რაჲ: „რადთა ვჰმატებდეთ ყოველსა ზედა საქმესა კეთილსა“, მეყსეულად დაურთვენ: „ქრისტეს იესუს მიერ, უფლისა ჩუენისა, რომლისა თანა შენდა დიდებაჲ, პატივი და სიმტკიცე სულით წმიდითურთ უკუნითი უკუნისამდე, ამენ“.

სწორად დაწყებისა ჰყოფენ აღსასრულსა და კუალად მასვე პირსა მადლობისასა იწყებენ, ვითარცა პავლეცა იქმს მრავალგზის; რამეთუ დაწყებასა ებისტოლისასა ესრეთ თქუა გალატელთა მიმართ: „ნებითა ღმრთისა და მამისაჲთა, რომლისაჲ არს დიდებაჲ უკუნითი უკუნისამდე, ამენ“.<sup>1</sup>

და მეყსეულად მასვე პირსა იწყო, რომლისათვის იტყოდა.

და კუალად ჰრომაელთა მიმართ მისწერს: „ჰმსახურესო დაბადებულთა და არა დამბადებულსა, რომელი-იგი არს კურთხეულ უკუნისამდე, ამენ“.<sup>2</sup>

და არა აღასრულა ამას ზედა ებისტოლე იგი, არამედ კუალად იწყო მასვე პირსა.

ამისა მსგავსად ღმრთისმოყუარენიცა იგი იქმან, რამეთუ შეწირონ რაჲ მადლობაჲ იგი და დიდებაჲ წმიდისა სამებისაჲ, კუალად იტყვან: „დიდებაჲ შენდა, უფალო, დიდებაჲ შენდა, წმიდაო, დიდებაჲ შენდა, მეუფეო, რამეთუ მოგუცენ ჩუენ ჭამადნი საზრდელად და განსამტკიცებელად“; რამეთუ არა დიდთა ხოლო საქმეთათვის, არამედ მცირეთათვისცა ჯერ-არს მადლობაჲ. ამისთვის ნეტარნიცა იგი ჰმადლობენ მოცემისა მისთვის ჭამადთაჲსა, რადთა არცხვნიონ ნვალებასა მას მანიქველთასა, რომელნი ცხორებასა ამას ბოროტად სახელ-სდებენ. და რადთა ფრიადისა მის მარხვისათვის ვერვინ თქუას, თუ ჭამადნი ღმრთისა მიერ მოცემულნი საძაგელად შეურაცხიან მსგავსად ვიეთმე მწვალებელთა, ამისთვის მადლობისა ამის მიერ გამოაჩინებენ, ვითარმედ არა სიძაგულითა ღმრთისა მიერ დაბადებულთა ჭამადთაჲთა განყენებულ არიან მათგან, არამედ წესისა მისთვის მარხვისა. ხოლო შეწირონ რაჲ მადლობაჲ მიცემულთა მათთვის კეთილთა, არა კმა-ჰყოფენ მას ოდენ, არამედ უმეტესსა და უზემ-

<sup>1</sup> გალ. 1,4-5.      <sup>2</sup> რომ. 1,25.

თაქსა ეძიებენ და იტყვიან: „აღმავსენ ჩუენ სულითა წმიდითა“. რამეთუ არცა შესაძლებელ არს წარმართებაჲ კეთილსა შინა, რომელი არა აღივსოს მადლითა მით სულისა წმიდისაჲთა და შეწეწიითა ქრისტესითა. ამისთვისცა, ვითარცა-იგი თქუეს რად, თუ: „ვჰმატდეთ ყოველსა ზედა საქმესა კეთილსა“, შესძინეს: „ქრისტეს იესუს მიერ, უფლისა ჩუენისა“, ეგრეთვე აქა იტყვიან: „აღმავსენ ჩუენ სულითა წმიდითა, რადთა ვიპოვნეთ წინაშე შენსა სათნო და არა სირცხვლეულ, ოდეს-იგი მიაგებდე კაცად-კაცადსა საქმეთა მათთაებრ“.

არა იტყვიან: რადთა არა ვიტანჯნეთ, არამედ: რადთა არა სირცხვლეულ ვიქმნეთო. რამეთუ ესე ფრიად უსაშინელესად უჩნს, ვიდრეღა გეჰქინიად იგი ცეცხლისაჲ, ფრიად უმწარესად შეურაცხიეს სირცხვლი იგი და გამოვრდომად პირისაგან ღმრთისა და დიდებისა მისგან სანატრელისა. ამისთვის ორივე ავსენეს: სირცხვლიცა და მისაგებელიცა საქმეთაებრ, „რადთა ვიპოვნეთო წინაშე შენსა სათნო და არა სირცხვლეულ, ოდეს-იგი მიაგებდე კაცად-კაცადსა საქმეთა მათთაებრ“.

იხილეა, რაოდენ სარგებელ მეყო ჩუენ გალობისა ამისგან მოქალაქეთა მათ უდაბნოჲსათა, და უფროჲსად ვთქუა, თუ მოქალაქეთა ზეცისათა? რამეთუ ჩუენ უცხო ვართ ცათაგან და მოქალაქენი ქუეყანისანი, ხოლო იგინი უცხო და მწირ არიან ქუეყანასა ზედა და მოქალაქობად აქუს ცათა შინა.

ხოლო შემდგომად ამის გალობისა აღივსებიან ფრიადითა ღმობიერებითა და მჭურვალითა ცრემლითა და ესრეთ დადგებიან ლოცვათა ღამისათა. და შემდგომად დიდისა შრომისა და მრავლისა ცრემლთა დათხევისა მივლენ კაცად-კაცადი ადგილსა განსუენებისა მათისასა და, მცირედ რად მიიძინიან ბუნებისათჳს ჴორცთაჲსა, კუალად აღდგიან და ღამენი დღე ყენიან გალობითა და ლოცვითა.

ამას ესევეითარსა წესსა არა ხოლო თუ მამანი იქმან, არამედ დედანიცა მრავალნი, რომელნი-იგი უძღურებასა მას ბუნებისასა სიმრავლითა მით გულსმოდგინებისაჲთა მძლე ექმნებიან. ან უკუე ჩუენცა შევიკდომოთ ესევეითარისა მის ახოვნებისა და სათნოებისაგან და დავსცხრეთ ამაოებისა ამისგან და შექცევისაგან სანუთროჲსა, აჩრდილთა და სიზმართა უუძღურესისა; დავსცხრეთ შუებათა და ფუფუნებათაგან ჴორციელთა; ვინყოთ ძიებად კეთილთა მათ წარუვალთა და ცხოვრებისა მის დაუსრულებელისა. რამეთუ შესაძლებელ არს, უკუეთუ გუენებოს, სოფელსაცა შინა ბაძვად მეუდაბნოეთაჲ სათნოებითა, ვითარცა-იგი მოციქულთა ზე, რომელთა პირველ შეინყნარეს ქადაგებაჲ მათი, დაღაცათუ ქალაქთა შინა მკვდრ იყვნეს, არამედ სათნოებითა უაღრეს მეუდაბნოეთასა იყვნეს. და წინაღწარმეტყუელთა მრავალთა ცოლ ესუა, ვითარ-იგი ესაიას და ეზეკიელს და დიდსა მას მოსეს, არამედ არა ეცა სათნოებასა მათსა დაბრკოლება ამის ჯერისაგან. ამისთვის ვიტყვი, ვითარმედ: უკუეთუ

მოსწრაფე და ღმრთისმოყუარე ვინ იყოს, შესაძლებელ არს სოფელსაცა შინა წარმართებად სათნოებისად; ხოლო რომელი ხედვიდეს თავსა თვსსა, ვითარმედ სოფელსა შინა ვერ აღასრულებს მცნებათა ღმრთისათა, არამედ ცოდვათა ერევის, ისმინენ მან ზემონწერილი იგი სიტყუად უფლისად, რომელსა იტყვს, ვითარმედ: „რად სარგებელ ეყოს კაცსა, უკუეთუ სოფელი შეიძინოს და სული თვისი იზღვიოს? ანუ რად მისცეს კაცმან ნაცვალად სულისა თვისისა?“<sup>1</sup> ესე სიტყუად გულად შეიღენ და სულისა თვისისა ცხორებად იძიენ.

ჰე, ძმანო, გლოცავ თქუენ, ვჰბაძევდეთ მოქმედთა სათნოებისათა, ვჰმადლობდეთ ღმერთსა მარადის, უგალობდეთ მას დაუცხრომელად, შევიკრძალოთ სინმიდე სულისა და ჯორცთად და სხუანი იგი სათნოებანი, რადთა საუკუნეთა მათ კეთილთა მივემთხვნეთ მადლითა და კაცთმოყუარებითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რომლისა მიერ და რომლისა თანა ღმრთისა და მამისა დიდებად, პატივი და დიდადმუენიერებად ყოვლადნმიდით და ცხოელსმყოფელით სულითურთ ან და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

---

<sup>1</sup> მათ. 16,26.

## თავი 63

ს ი ტ ყ უ ა ე ს ე: **„ამენ გეტყვ თქუნ, რამეთუ: არიან ვინმე აქა მდგომარეთაგანი, რომელთა არა იხილონ გემოდ სიკუდილისად, ვიდრემდე იხილონ ძე კაცისად, მომავალი სუფევითა თვისითა“** (16,28).

ვინადთგან ზემო მრავალი წარმოუთხრა მოწვევადთა მათთვის მათ ზედა განსაცდელთა და სიკუდილისა, და აუწყა მათ თვისცა ვნებად და მრავალი ძნელოვანი მოასწავა შემთხუვევად მათდა, და იყო ყოვლისავე მის საჭიროდსა მოწვევად ამასვე ცხორებასა, ხოლო კეთილნი იგი მის საუკუნოდსანი და ცხორებად სულთად და მოსლვად მისი დიდებითა მამისადათა შემდგომად მრავალთა ჟამთა მოლოდებად იყო, ამისთვის სათნო-იჩინა მეუფემან ჩუენებადცა მათდა ამასვე სოფელსა სახე დიდებისა მის, რომლითა მოსლვად იყო, რაოდენ ძალ-ედვა მათ ხილვად; რათა არცალა ვნებისა მისთვის უფლისა მწუხარე იყვნენ, არცა თვისისა ურჩულოთა მიერ ტანჯვისა და მოკლვისათვლად ელმოდის, და უფროსდა პეტრეს, რომელი დიდად მწუხარე იყო, ესმა რად, ვითარმედ მიცემად არს უფალი ვნებად.

და იხილეთ, ვითარ განანესა საქმე ესე განმგებელმან მან ყოველთამან: ზემო თქუა სასუფეველისათვს და სატანჯველისა, ვითარმედ: „უკუეთუ ვისმე უნდეს სული თვისი განრინებად, წარინყმიდოს იგი; და რომელმან წარინყმიდოს სული თვისი ჩემთვის, ამან პოოს იგი“; და ვითარმედ: „მოსლვად არს ძე კაცისად დიდებითა მამისა თვისისადათა, და მიაგოს კაცად-კაცადსა საქმეთა მათთაებრ“. ამათ უკუე სიტყუათა მიერ მოასწავა სასუფეველიცა და ჯოჯობეთიცა. გარნა ჯოჯობეთისა სახე საქმით არარად უჩუენა, გარნა ხოლო სიტყვთ, იგავითა მით მდიდრისადათა, და რომელსა ემოსა სამოსელი არასაქორწინე, და სხვთა მრავლითა, ხოლო სასუფეველისა სახე ხილულითა თუალითა უჩუენა მათ. ესე ამისთვის: უკუეთუმცა ვინმე იყვნეს ზრქელნი გონებითა და უგულისჯმონი, მათთვის კეთილ იყო და ჯეროან სატანჯველთა სახისა ხილვად, ხოლო ესენი გონიერნი იყვნეს და სულიერნი. ამისთვის სამართალ იყო მათდა ჩუენებად სახე სასუფეველისად, რომელსა მიმავალ იყვნეს, და რამეთუ მისსა მას სახიერებასა კეთილისა ჩუენებად შუენოდა, ვითარცა წყაროსა და მიზეზსა კეთილთასა.

ს ა ხ ა რ ე ბ ა დ: **„და შემდგომად ექუსისა დღისა წარიყვანა იესუ პეტრე და იაკობ და იოვანე, ძმად მისი, და აღიყვანნა იგინი მთასა მაღალსა თვსაგან. და იცვალა მათ წინაშე სხუად ფერად, და განბრწყინდა პირი მისი, ვითარცა მზე. ხოლო სამოსელი მისი სპეტაკ იყო, ვითარცა თოვლი. და ეჩუენნეს მათ მოსე და ელია მის თანა, და თანაზრახვიდეს მას“** (17,1-3).

თ ა რ გ მ ა ნ ი: ხოლო ლუკა რვასა დღესა იტყვს, არა თუ წინააღუდეგების მათეს, არამედ ფრიადცა ეწამების; რამეთუ იგი მასცა დღესა, რო-

მელსა შინა ეტყოდა სიტყუათა მათ, და მასცა, ოდეს-იგი მთად აღვიდა და ფერი იცვალა, თანააღჳრაცხავს, ხოლო მათე შორის გარდასრულთა მათ ხოლო იტყვს. და ორივე ესე ერთ არს.

იხილეთ უკუე, ვითარ მათე განცხადებულად აღსწერს, ვითარმედ სხუანი იგი უფროდს მისსა პატივცემულ იქმნეს. ამას იოვანეცა მრავალ-გზის იქმს, დიდთა მათ ქებათა პეტრესთა ჭეშმარიტებით წარმოიტყვს, რამეთუ შურისა და ზუაობისაგან უცხო იყო კრებული წმიდათა მათ მოციქულთა.

რადსათვს-მე უკუე სამნი იგი ხოლო წარიყვანნა? ესე ამისთვის, რამეთუ უზეშთაესსა საზომსა იყვნეს იგინი. პეტრე მწურვალისა მისთვის სიყუარულისა წარემატა და თავ იქმნა კრებულისა მის მოციქულთადას; და იოვანე ფრიადისა მის სინმიდისა და სიმშჯდისა და სიკეთისათვს სულისა მისისა უფროდს ყოველთა შეყუარებულ იყო. ეგრეთვე იაკობ ფრიადისა სიმწურვალისაგან ჰრქუა, ვითარმედ: ძალ-გვც სუმად სასუმელი იგი,<sup>1</sup> და არა ხოლო თუ თქუა, არამედ აღასრულაცა სიტყუად თვისი და პირველ ყოველთა მოციქულთასა მიიღო სასუმელი ქრისტესთვის სიკუდილისა. რამეთუ ესოდენ ფიცხელ იყო იგი და მძიმე ჰურიათა მიმართ, ვიდრელა ჰეროდე დიდად ნიჭად მიჰმადლა ჰურიათა მოკლვად მისი. ესრეთ უმეტესსა საზომსა იყვნეს სამნი ესე. ამისთვის იგინი მიიყვანნა, რადთა უმეტესად უძლონ ხილვად, რამეთუ ხილვად იგი საზომისაებრ სათნოებისა იქმნებოდა. ამის უკუე ხილვისათვს იყო სიტყუად იგი, ვითარმედ: „არიან ვიეთნიმე აქა მდგომარეთაგანნი, რომელთა არა იხილონ გემოდ სიკუდილისა, ვიდრემდე იხილონ ძე კაცისა, მომავალი დიდებითა თვისითა“. ესე იგი არს, ვიდრემდე იხილონ სახე განცხადებული, თუ ვითარ მეგულების მეორედ მოსლვად.

ხოლო სახელები არა თქუა სამთად მათ, არამედ ესრეთ უცნაურად მიუთხრა, რადთა არარად კაცობრივი შეემთხვოს სხუათა მათ, რამეთუ ყოველნი სურვიელ იყვნეს ხილვად დიდებისა მის. ხოლო უწინარეს ესოდენთა დღეთა ამისთვის თქუა ესე, რადთა განმზადებულ იქმნენ გონებანი მათნი ხილვისა მისთვის და სურვიელ, და არა მოულოდებელად შეემთხვოს და განცვბრდენ.

ხოლო რადსათვს წარმოადგინნა მუნ მოსე და ელია? მრავალი არს ამის საქმისა მიზეზი:

პირველად ამისთვის, ვინაფთგან ერნი იტყოდეს მისთვის, ვითარმედ ელია არს, სხუანი იტყოდეს, იერემია არსო, სხუანი იტყოდეს, ერთი ვინმე არსო წინაღსწარმეტყუელთაგანი. ამისთვის თავნი იგი წინაღსწარმეტყუელთანი წარმოადგინნა, რადთა იხილონ მონაფეთა, თუ რავდენი განყოფილება არს შორის მეუფისა და მონათა, და ცნან, ვითარმედ ჭეშმარიტ იყო სიტყუად იგი პეტრესი, რომელ აღიარა ძედ ღმრთისა ცხოველისად.

<sup>1</sup> შდრ. მათ. 20,22; მარკ. 10,38.



მეორედ ამისთვის, რამეთუ იტყოდეს ჰურიანი, ვითარმედ გარდამავალი არს იგი შჯულისაჲ, და მგმობრად სახელ-სდებდეს და იტყოდეს: „ესე არა არს ღმრთისაგან, რამეთუ შაბათსა არა იმარხავს“;<sup>1</sup> და კუალად ეტყოდეს: „კეთილისა საქმისათვის ქვასა არა დაგკრებთ შენ, არამედ გმობისათვის, და შენ რამეთუ კაცი ხარ და გიყოფიეს თავი შენი ღმერთ“.<sup>2</sup>

ხოლო რადთა გულისწმა-ყონ მონაფეთა და მათ მიერ ყოველთა, ვითარმედ შურისაგან ზრახვიდეს ამას, და ვითარმედ არცა შჯულისა გარდამავალ არს, არცა ცუდად ჰყოფს თავსა თვისსა სწორ ღმრთისა, არამედ ჭეშმარიტად ძე ღმრთისაჲ არს, ამისთვის წარმოადგინა შჯულისმდებელი იგი მოსე და მოშურნე იგი მგმობართა ზედა ელია. რამეთუ არცა, თუმცა შჯულისა გარდამავალ იყო და არამცა მეუფე იყო შჯულისაჲ, წარმოუდგამცა მოსე, ვითარცა მონაჲ, არცა, თუმცა ცუდად იტყოდა თავსა თვისსა ძედ ღმრთისა, წარმოუდგამცა ძწწოლით ელია, მოშურნე იგი ღმრთისმსახურებისათვის.

მესამედ ამისთვის, რადთა ცნან ყოველთა, ვითარმედ იგი არს უფალი ცხოველთა და მკუდართაჲ, და ჳელმწიფებაჲ აქუს ცხორებისა და სიკუდილისაჲ, და მეუფე არს ზეცისა და ქუეყანისაჲ და ქუესკნელთაჲ. ამისთვის პირველვე აღსრულებული იგი და რომელსა არღა ეხილვა გემოჲ სიკუდილისაჲ, შორის წარმოადგინნა.

მეოთხედ ამისთვის, რადთა გამოაჩინოს დიდებაჲ იგი ჯუარისაჲ და ნუგეშინის-სცეს პეტრეს და მისთანათა, შეშინებულთა ვნებისა მისისათვის, ვითარცა იტყვს მახარებელი, ვითარმედ: „ეჩუენნეს მოსე და ელია მის თანა, და თანაზრახვიდეს მას და იტყოდეს განსლვასა მისსა, რომელი ეგულეზოდა აღსრულებად იერუსალჳმს“.<sup>3</sup> ესე იგი არს, მოასწავებდეს ვნებასა მისსა და ჯუარ-ცუმასა, რომელსაცა დიდებაჲ უწოდა.

მეხუთედ ამისთვის, ვინაფთგან თქუა: „რომელსა ჰნებაჲს შემდგომად ჩემდა მოსლვად, უარ-ყაენ თავი თვისი და აღილენ ჯუარი თვისი და შემომიდევინ მე“;<sup>4</sup> წარმოადგინნა ორნი იგი მოლუანენი ღმრთისმსახურებისანი, რომელთა დადვეს თავი თვისი სიკუდილად სიტყვსათვის ღმრთისა და არა ჰრიდეს წარწყმედად სულთა თვისთა ამას სანუთროსა, რადთა მოიგნენ იგინი საუკუნოდ. რამეთუ მოსე წარმდებებით და ურიდად ჰბრძოდა ფარაოს სიტყვსათვის ღმრთისა, და ელია ეგრეთვე – აქაბს დაჳსნად საცთურისა მის კერპთმსახურებისა, და კუალად შეურაცხებაჲ სოფლისაჲ და უპოვარებაჲ ფრიადი მოიგეს ორთავე. რამეთუ არცა რაჲ მოსეს აქუნდა ამის სანუთრომსა, არცა ელიას, გარეშე ხალენისა მის. ამისთვის წარმოადგინნა იგინი, რადთა აუნყოს მოციქულთა, ვითარმედ თანააც ბაძვაჲ სათნოებისა მათისაჲ, და მსგავსად მათსა მოგებად შური საღმერთოჲ, და წინამძღურობაჲ ერისა მორწმუნისაჲ, რადთა იყვნენ მშჳდ, ვითარცა მოსე, და მოშურნე, ვითარცა ელია. რამეთუ გამოაჩინნა რაჲ იგინი დიდებით, ამას ყოველსა

<sup>1</sup> იოან. 9,16.    <sup>2</sup> იოან. 10,33.    <sup>3</sup> შდრ. მათ. 17,3; ლუკ. 9,30-31.    <sup>4</sup> მათ. 16,24; მარკ. 8,34.

მოაწესებდა მონაფეთა; და ამისთვის წარმოადგინა გამობრწყინებულნი იგი ძუელსა შინა, რადთა აუნყოს, ვითარმედ: უკუეთუ მათ აჩრდილსა მას შინა ესოდენი ახოვნებად აჩუენეს და სათნოებად, ფრიად უმეტესი უჭმს ამათ ჩუენებად, გამობრწყინდა რად მზე სიმართლისად და განგუათავისუფლნა მძლავრებისაგან ეშმაკისა და მოჰფინა ნათელი აზნაურებისად კაცთა ზედა.

**ს ა ხ ა რ ე ბ ა დ:** „მიუგო პეტრე და ჰრქუა იესუს: კეთილ არს ჩუენდა აქა ყოფად. გნებავს, ვქმნეთ აქა სამ ტალავარ: ერთი შენდა და ერთი მოსესა და ერთი ელიასა?“ (17,4).

თ ა რ გ მ ა ნ ი: ვინაფთგან პირველ ამისა ასმიოდა, ვითარმედ ჯერ-არს აღსლვად იერუსალჴმდ და ვნებად უფლისად მღდელთმოძღუართაგან და მნიგნობართა და მოხუცებულთა ერისათა, აქუნდა შიში იგი გულსავე თვისსა, დაღაცათუ შეჰრისხნა მას უფალმან და მრავლით კერძო უჩუენა სარგებელი დიდებულისა მის განგებისად, არამედ იგი მწუხარევე იყო და შეძრწუნებულ ვნებისათვს უფლისა. ამისთვის, იხილა რად მთასა მას ზედა ესევეითარი დიდებად, ენება, რადთამცა ყოვლადვე მუნ იყვნეს და არამცა წარვიდეს იერუსალჴმდ. ხოლო დაღაცათუ ცხადად ვერლარა იკადრებდა თქუმად, თუ: ნუ აღვალთ იერუსალჴმდ, არამედ რეცა სხვთა მიზეზითა ეტყვს ამას ესევეითართა გულისსიტყვთა, რადთამცა მარადის მუნ იყვნეს, და არლარამცა აქუნდა შიში მღდელთმოძღუართაგან ანუ ფარისეველთა, არცა იჭვ მოკლვისა მისისად. ამისთვის თქუა: „კეთილ არს ჩუენდა აქა ყოფად“, რამეთუ იხილა მოსე, რომელი ნისლსა შევიდა და ღმრთისა მიმართ ზრახვიდა, და ელია, რომელმან ცეცხლი გარდამოიყვანა ზეცით მთასა მას ზედა და უშჯულონი იგი დანუა, და ენება, რადთამცა მარადის მუნ იყვნეს მათ თანა, და არავისგან აქუნდა შიში.

იხილეა მჭურვალეზად სიყუარულისა მისისად ქრისტეს მიმართ? რამეთუ ნუ ამას გამოეძიებ, თუ რად იტყოდა უჭმარსა სიტყუასა; რამეთუ არლა მოედო მაღალი იგი გულისწმის-ყოფად. არამედ ესე იხილე, თუ რაოდენ ეტყინებოდა მის შორის ცეცხლი ქრისტეს სიყუარულისად; რამეთუ არა თუ თვისისა სიკუდილისაგან ეშინოდა და ამისთვის ესრეთ იტყოდა. ნუ იყოფინ! და იხილე, ოდეს თვისისა თავისათვს მოვიდა სიტყუად, რად-იგი ჰრქუა უფალსა: „სული ჩემი შენთვის დავდვა. დაღაცათუ იყოს სიკუდილი ჩემი შენ თანა, არასადა უარ-გყო შენ“.<sup>1</sup>

და სიტყუად თვისი საქმით დაამტკიცა, რამეთუ მო-რად-ვიდეს ერნი იგი მახვლითა და ნათებითა შეპყრობად იესუსა, არცა შეშინდა, არცა ივლტოდა, არამედ ახოვნად განენყო ბრძოლად ესოდენისა მიმართ ერისა და მახვლი იწადა და სცა მონასა მღდელთმოძღურისასა და წარჰკუეთა ყური

<sup>1</sup> შდრ. იოან. 13,37; მათ. 26,35.

მისი. ესრეთ საცნაურ არს, ვითარმედ არა თუ თვისისა თავისათს აქუნდა შიში, არამედ შეინუებოდა გული მისი მოძღურისა მისთს სახიერისა. ამის-თს იტყოდა: „გნებავს, ვქმნეთ აქა სამ ტალავარ: ერთი შენდა და ერთი მოსესა და ერთი ელიაჲსა?“

რასა იტყვ, # პეტრე? არა უპირატეს მცირეთა დღეთა განჰყავი იგი მონათაგან და აღიარე და სთქუ: „შენ ხარ ქრისტე, ძე ღმრთისა ცხოელისაჲ“?<sup>1</sup> ვითარ უკუე ან კუალად მონათა თანა აღჰრაცხავ მას და ეტყვ: „ვქმნეთ აქა სამ ტალავარ: ერთი შენდა და ერთი მოსესა და ერთი ელიაჲსა“?

ჰხედავთა, ვითარ პირველ ჯუარ-ცუმისა ქრისტესა უძღურ იყვნეს და ვერ მიწთომილ სრულსა გულისჰმის-ყოფასა? რამეთუ დალაცათუ გამოუცხადა მას მამამან, გარნა ვერ უძლო მან სრულიად დამარხვად გულსა თსსა გამოცხადებად იგი, არამედ შიშისაგან და ზარისა შეძრწუნდა არა პირველთქუმულისა ხოლო მიზეზისათს, არამედ საკრველებისაგანცა ხილვისა მის დიდებულისა.

ამისთს მახარებელნი გამოაჩინებენ, ვითარმედ ზარისა მისგან და საკრველებისა შეძრწუნდა გონება მისი, ვითარცა იტყვს მარკოზ, ვითარმედ: „არა იცოდა, რაჲმცა მიუგო, რამეთუ შეშინებულ იყვნეს“;<sup>2</sup> და ლუკა იტყვს, ვითარმედ: „პეტრე და მისთანანი დამძიმებულ იყვნეს ძილითა; ხოლო გან-რაჲ-იღვძეს, იხილეს დიდება მისი და ორნი იგი კაცნი მის თანა მდგომარენი. და ჰრქუა პეტრე იესუს: მოძღუარ, კეთილ არს ჩუენდა აქა ყოფად. ვქმნეთ აქა სამ ტალავარ... რამეთუ არა იცოდა, რასა იტყოდა“.<sup>3</sup>

ხოლო დამძიმებად ძილითა ფრიადსა მას შიშისაგან და ზარისა დასულეებასა მათსა მოასწავებს. რამეთუ ვითარცა თუაღნი დამძიმდებიან და დაბნელდებიან, უკუეთუ მყოარ ჟამ შეადგნეს ვინ მცხინვარებასა მზისასა, ეგრეთვე და ფრიად უმეტესად მაშინ შეემთხვა მათ, რამეთუ ბრწყინვალება იგი დაჰფარვიდა ნათელსა მზისასა და დაუძიმებდა უძღურებასა თუაღთა მათთასა. არა თუ ღამით იყო ხილვად იგი, არამედ დღისი, და ელვარებამან მან დაფარა ბრწყინვალეება მზისაჲ; ვითარმცა უკუე იტვრთეს იგი ჯორციელთა მათ თუაღთა?

ხოლო სიტყვსა მის მიმართ პეტრესა არარაჲ მიუგო უფალმან, არცა მოსე ანუ ელია, არამედ მამამან ზეგარდამო ჳმა-სცა ღრუბლით გამო. რაჲსათს ღრუბლით გამო? რამეთუ ესრეთ განუწესებეს მარადის ღმერთსა ხილვად მისი, ვითარცა იტყვს წინაჲსწარმეტყუელი, ვითარმედ: „ღრუბელი და ნისლი გარემო მისა“,<sup>4</sup> და „რომელმან დასხნა ღრუბელნი აღსავალად მისა“,<sup>5</sup> და „მომავალი ღრუბელთა თანა ცისათა“.<sup>6</sup> და ამაღლებისათს უფლისა იტყვს ლუკა მახარებელი წიგნსა მას მოციქულთასა, ვითარმედ: „ღრუბელმან შეინყნარა იგი თუაღთაგან მათთა“.<sup>7</sup> ხოლო რაჲთა

<sup>1</sup> მათ. 16,16.

<sup>2</sup> მარკ. 9,6.

<sup>3</sup> ლუკ. 9,32-33.

<sup>4</sup> ფსალმ. 96,2.

<sup>5</sup> ფსალმ. 103,3.

<sup>6</sup> დან. 7,13.

<sup>7</sup> საქმე 1,9.

გულსავსე იქმნენ, ვითარმედ ღმრთისა მიერ არს ჴმად იგი, ამისთვის წერილისაებრ ღრუბელი ნათლისად მოჰფინა, ვითარცა იტყვს მახარებელი:

**სახარება:** „და ვითარცა იგი ამას იტყოდა ოდენ, აჰა ესერა ღრუბელი ნათლისად ჰფარვიდა მათ, და ჴმად იყო ღრუბლით გამო და თქუა: ესე არს ძე ჩემი საყუარელი, რომელი მე სათნო-ვიყავ; მაგისი ისმინეთ“ (17,5).

თარგმანი: მთასა მას ზედა სინასა ერუენა რად ღმერთი მოსეს და უნდა, რადთა შიში დასდევას უგულისჴმოთა მათ და გულფიცხელთა ჰური-ათა, ღრუბელი ბნელისად გამოაჩინა, ვითარცა წერილ არს, ვითარმედ: „შევიდა მოსე ნისლსა მას და ღრუბელსა. და ვითარცა კუამლი საჴუმილისად აღვიდოდა ნისლი იგი და ღრუბელი, და ქუხილი იყო და ელვა და ჴმად სასტიკებისად“.<sup>1</sup> და კუალად წინაღსწარმეტყუელი იტყვს რისხვისა მისისათვის, ვითარმედ: „ბნელისა წყალნი ღრუბელთა შინა ჰაერისათა“.<sup>2</sup> ხოლო აქა ვინაფთგან არა შეშინება ენება, არამედ სწავლად მოციქულთა და უწყებად ჭეშმარიტებისა, ამისთვის ღრუბელი ნათლისად ჰფარვიდა. და ძუელსა მას შინა ნისლი იყო და არმური, ხოლო აქა – ნათელი თუალთშეუდგამი და ჴმად სიხარულისად.

პეტრე იტყოდა, ვითარმედ: „ვექმნეთ სამ ტალავარ“, ხოლო ღმერთმან ღრუბელი ნათლისა – ტალავარი ჴელითუქმნელი – მოჰფინა და ძე იგი საყუარელი წამა: „ესე არს ძე ჩემი საყუარელი, რომელი მე სათნო-ვიყავ; მაგისი ისმინეთ“.

ხოლო ჴმად ესე რად ისმა, რადთა არა საგონებელ იქმნას, ნუჴუკუე სხვსა ვისმე მათგანისა იყო ჴმად იგი, არამედ ცნან მონაფეთა, ვითარმედ ქრისტესთვის არს, ამისთვის მოწვენასა მას ჴმისასა მოსე და ელია უჩინო იქმნეს, და უფალი ჩუენი იესუ ქრისტე მხოლოდ იხილვა, და ჴმად იგი ღალადებდა: „ესე არს ძე ჩემი საყუარელი, რომელი მე სათნო-ვიყავ; მაგისი ისმინეთ“. ვინაფთგან პირველცა გამოუცხადა პეტრეს უხილავად მამამან ძე იგი საყუარელი და თანაარსი, ხოლო მას ვითარმცა მიჴვიწყებოდა გამოცხადება იგი, ამისთვის შეშინებულ იყო ვნებისა მისისათვის და ჰგონებდა, თუ უნებელი რადმე შეემთხუევის, ამისთვის ან განცხადებულად, ჴმითა მალლითა, ღრუბლით გამო ნათლისადთ გამოუცხადა სამთავე, თავთა მათ მოციქულთასა, და წამა მამამან ძე იგი თანადაუსაბამოდ და თანაარსი: „ესე არს ძე ჩემი საყუარელი“.

ისმინე, # პეტრე, ჴმად ესე და ნულარა შეშინებულ ხარ. რამეთუ ჯერი-იყო შენდა პირველ ამის ჴმისაცა გულსავსეობად ძალისა მისისათვის და უწყებად, ვითარმედ რომელმან-იგი მრავალნი მკუდარნი აღადგინნა, ჴელენიფების თვისაცა ტაძრისა ჴორცთაფსა აღადგინებად. ხოლო ვინაფთგან ჯერეთ უმეცარ ხარ საიდუმლოფსა მის, ისმინე ჴმად მამისად და უშიშ იყავ.

<sup>1</sup> გამ. 24,18; 19,16,18.

<sup>2</sup> ფსალმ. 17,12.

რამეთუ აჰა ესერა გაუნყა, ვითარმედ „ესე არს ძე მისი საყუარელი“. ვინათგან უკუე ღმერთი ძლიერ არს და უძლეველ, ეგრეთვე ძე მისი თანა-არსი ძლიერ არს და უძლეველ, და ვერ ჴელ-ენიფების სიკუდილსა უფლებად მის ზედა, არცა სავნებელ არს მისდა ვნებად იგი ჴუარისაჲ. რამეთუ უკუეთუმცა სავნებელ იყო, არამცა მისცა მამამან ძე იგი საყუარელი და თანასწორი, რომელი მან სათნო-იყო.

რად არს ესე: „რომელი მე სათნო-ვიყავ“? ესე იგი არს, რომელსა ზედა განსუენებულ ვარ, რომელი ყოვლითურთ სწორ არს ჩემ თანა, და ერთ არს ნებად და განზრახვად მისი ჩემ თანა. რამეთუ ჴემმარიტად ჰგიეს იგი ძედ ყოვლითურთ და ერთ არს მამისა თანა განუყოფელად.

„ესე არს ძე ჩემი საყუარელი, რომელი მე სათნო-ვიყავ; მაგისი ისმინეთ“. უკუეთუ ჴუარ-ცუმად ენებოს, ნუ წინააღუდგებით; უკუეთუ თქუენ გამცნოს სიკუდილისა და ტანჯვისა თავს-დებად სოფელსა შინა, ნუ შეორ-გულდებით; უკუეთუ ახალი წესი და მცნებად განაგოს ყოველსავე ზედა, მაგისი ისმინეთ. არა არს ნებად მისი ჩემგან განყოფილ, არამედ ერთ არს ჩემ თანა შეუცვალელებლად. ამისთვისცა ყოველი სიტყუად მისი, ვითარცა ჩემი, ისმინეთ.

**ს ა ხ რ ე ბ ა დ : „ესმა რად ესე მონაფეთა, დავარდეს პირსა ზედა მათსა და შეეშინა ფრიად. მოუჭდა მათ იესუ, შეახო ჴელი და ჰრქუა: აღდეგით, ნუ გეშინინ! და აღიხილნეს თუალნი მათნი და არავინ იხილეს, გარნა იესუ ხოლო“ (17,6-8).**

თ ა რ გ მ ა ნ ი: იორდანესაცა ზედა ისმა ესევეითარი ჴმად ზეცით, და ერი მრავალი იყო, და არარად ვის ესევეითარი შეემთხვა. და ამისა შემდგომცა, ოდეს-იგი „მოინია მისა ჴმად ზეცით: გადიდე და კუალადცა გადიდო, და ერი იგი... იტყოდეს, ვითარმედ: ქუხილი იყო“,<sup>1</sup> და არარად ესრეთ შეემთხვა, ვითარ უკუე ან, მონაფეთა ესმა რად, დავარდეს პირსა ზედა შეშინებულნი? ესე ამისთვის, რამეთუ მაშინ ჴმად ხოლო ისმა სანამებელად მისისა მის ძეობისა, ხოლო ან განცხადებულად იხილეს დიდებად მისი მონაფეთა, არა თუ რაოდენ იყო (რამეთუ ვინმცა უძლო ხილვად დიდადშუენიერებასა მას დიდებისა მისისასა?), არამედ რაოდენ ძალ-ედვა გონებასა მათსა ტვრთვად, იხილეს ნათელი თუალთშეუდგამი და ცვალებად ფერისა მისისაჲ ბრწყინვალებად გამოუთქუემელად და ელვარებად სამოსელთა მისთაჲ. და ყოვლითურთ დიდებით დიდებულ იყო ხილვად იგი, და იგინი შეძრწუნებულ იყვნეს და ზარგანჯდილ პირველ სმენისაცა ჴმისა მის, ვითარცა სხუად მახარებელი იტყვს, ვითარმედ: „არა იცოდა პეტრე, რამცა მიუგო, რამეთუ შეშინებულ იყვნეს“.<sup>2</sup> ხოლო ვიდრელა იგინი ხილვისა მისგან შეშინებულ იყვნეს, მეყსეულად ღრუბელი იგი ნათლისაჲ აგრილობდა, და ჴმად იგი დი-

<sup>1</sup> იოან. 12,28-29.      <sup>2</sup> მარკ. 9,6.

დებულები მამისად მოინია. მერმე სრულიად შეძრწუნდეს, დავარდეს პირსა ზედა და თაყუანი-სცეს უფალსა.

**სახარება:** „და აღიხილნეს თუალნი მათნი და არავინ იხილეს, გარნა იესუ ხოლო. და გარდამო-რაგ-ვიდოდეს იგინი მიერ მითთ, ამცნო მათ იესუ და ჰრქუა: ნუვის უთხრობთ ხილვასა ამას, ვიდრემდის ძე კაცისად მკუდრეთით აღდგეს“ (17,8-9).

**თარგმანი:** ოდეს შიში იგი და ზარი გარდაემატა ძალსა მათსა, მაშინ სახიერმან მან დაჰჰსნა იგი, „შეახო ჳელი და ჰრქუა: აღდეგით და ნუ გეშინინ!“ და დიდებად იგი ხილვისად მის დაფარა, და იხილეს იგი მხოლოდ სახითა მითვე და წესითა, რომელსა ჩუეულ იყვნეს.

ხოლო ამისთვის უბრძანა, რათა ხილვასა მას არავის აუწყებდენ, ვიდრე აღესრულოს საიდუმლოდ იგი აღდგომისად, რამეთუ უწყოდა, ვითარმედ პირველ ჯუარ-ცუმისა ძნიად შესაწყნარებელ იყვნეს მალაღნი ესე და დიდებულნი სიტყუანი და საქმენი. ხოლო შემდგომად აღდგომისა არღარად იყო დამაყენებელ ქადაგებად, ვითარცა ზემო ვთქუთ ამის ჯერისათჳს. ამისთვისცა არა თქუა, თუ: მარადის ნუვის უთხრობთ ხილვასა ამას, არამედ: „ვიდრემდის ძე კაცისად მკუდრეთით აღდგესო“. რამეთუ იგი იყო ჟამი ჯეროვანი ქადაგებისად, ოდეს-იგი სული წმიდად მოიღეს მოციქულთა და მადლი იგი სასწაულთად თანაშემწედ აქუნდა ქადაგებისა მის, და საქმენი იგი დიდებულნი უმაღლეს ნესტჳსა ჳმობდეს ძალსა მას და ძლიერებასა უფლისასა.

## სწავლაჲ 63

### მეორედ მოსლვისათჳს და ვახშისათჳს

არავინ არს უკუე უსანატრელეს მოციქულთასა და უფროსად სამთა მათ ყოვლადქებულთასა, რომელნი ღრუბელსა მას შინა ნათლისასა ღირს იქმნეს შესლვად მეუფისა თანა; არამედ უკუეთუ გუენებოს, ვინილოთ ჩუენცა ქრისტე, არა ვითარ-იგი მაშინ იხილეს მათ მთასა ზედა, არამედ ფრიად უბრწყინვალესად, დიდებულსა მას მეორედ მოსლვასა მისსა. რამეთუ მაშინ ჰრიდა მონაფეთა და ესოდენ უჩუენა ბრწყინვალეებად თჳსი, რაოდენ ძალ-ედვა მათ ტკრთვად, ხოლო უკუანაჲსკნელ, ოდეს-იგი მოვიდეს დიდებითა მამისადთა არა მოსეს და ელიას თანა ხოლო, არამედ ურიცხუთა მათ მჳედრობათა თანა ანგელოზთასა, მთავარანგელოზთა თანა და ქერაბინთა, ბევრეულთა მათ თანა სერაბინთა და სხუათა მათ დასთა, და არა ღრუბელი აგრილობდეს, არამედ ყოვლითურთ ცანი ძრწოლით განეხუენენ, და დაჯდეს იგი საყდართა დიდებისათა, და ყოველი ბუნებად კაცთად წარდგეს წინაშე მისსა, ვინმცა უძლო მითხრობად ანუ გონებითაცა მიწუთომად მაშინდელსა მას დიდებასა და ბრწყინვალეებასა მისსა? რამეთუ ჳემ-

მარიტად საშინელ არს ჟამი იგი და შესაძრწუნებელ, ოდეს ყოველნი ანგელოზნი და ყოველნი კაცნი წარდგომილ იყვნენ შიშით და განიკითხვიდეს ნათესავსა კაცთასა; და რომელთამე ეტყოდის: „მოედით, კურთხეულნიო მამისა ჩემისანო“,<sup>1</sup> და სხუათა ჰრქუას: „ეჰა მონაო სახიერო და სარწმუნოო! მცირესა ზედა სარწმუნო იქმენ, მრავალსა ზედა დაგადგინო შენ“;<sup>2</sup> და კუალად სხუათა ჰრისხვიდეს და წარავლენდეს ცეცხლად საუკუნოდ, და რომელსამე უწოდდეს მონად ბოროტად, უკეთურად და მედგარად; და სხვსა ნაწილსა ორგან განკუეთდეს და ორგულთა თანა დასდებდეს; სხუათა კუალად უბრძანებდეს შეკრვად ჴელით და ფერჴით და განგდებად ბნელსა მას გარესკნელსა. ვინ არა შეშინდეს და ძრწოდის ჟამისა მისგან?

მაშინ მართალნი გამობრწყინდენ, ვითარცა მზე, და ფრიად უმეტესცა მზისა. არამედ არაა არს ამას სოფელსა უბრწყინვალესი მზისა, ამისთვის მას მოვიღებთ სახედ მაშინდლისა მის მართალთა ბრწყინვალეებისა. რამეთუ მთასა ზედაცა თაბორსა, რომელ თქუა მახარებელმან, ვითარმედ: „განბრწყინდა პირი მისი, ვითარცა მზე“;<sup>3</sup> ამისთვის ესრეთ თქუა, რამეთუ არღარაა პოა სოფლისა საქმეთაგან ხილულთა უბრწყინვალესი მზისა, რადთამცა მას მიამსგავსა სახე იგი. უკუეთუ არა, ესე ცხად არს, თუ რაჲზომ უმეტეს იყო ბრწყინვალეზა იგი ნათელსა მზისასა, რამეთუ აჰა ესერა მცხინვარებისა მისგან მზისა არავინ დავარდების პირსა ზედა, ხოლო მაშინ ესოდენ გარდაემატა ბრწყინვალეზა იგი ნათელსა მზისასა, რომელ ყოვლადვე ვერ იტკრთეს მონაფეთა, არამედ დაცკვეს პირსა ზედა. ჭეშმარიტად უკუე გამობრწყინდენ მართალნი დღესა მას მეორედ მოსლვისასა უმეტეს მზისა, ხოლო ვაჲ ცოდვილთა, რამეთუ დიდი სიბნელე და შიში და ძრწოლაჲ შეედვას მათ, რაჟამს საქმენი მათნი ბოროტნი ემხილებოდინ. მაშინ არად საჴმარ არს მამხილებელთა და მონამეთა წარმოდგინებაჲ, რამეთუ ყოველივე უწყის უცთომელად მსაჯულმან მან საშინელმან. ყოველივე შიშუელ და თავდადრეკილ იყოს წინაშე მისსა; არა არს მუნ მდიდარი და გლახაკი, ძლიერი და უძლური, ბრძენი და უმეცარი, მონაჲ და აზნაური, არამედ ესე წესნი და სახენი დაიწსნებინ, და გამოძიებაჲ საქმეთაჲ თუალუხუთავი იხილვების, და მოქმედნი უშჯულოებისანი სირცხვლეულნი გამოჩნდებიან.

ამისთვის, საყუარელნი, გვედრები: აღვიძუარცუნეთ სამოსელნი ესე ხენეშნი და ცოდვითა შებლალულნი და შევიმოსოთ საჭურველი ნათლისაჲ, რადთა დიდებაჲ უფლისაჲ გამობრწყინდეს ჩუენ ზედა, ჴელ-ვყოთ მცნებათა უფლისათა აღსრულებაჲ, რამეთუ არარაჲ შეუძლებელი უბრძანებიეს, არამედ ყოველნი მცნებანი მისნი ადვილ და შესაძლებელ არიან.

ისმინე, რასა იტყვს წინაღწარმეტყუელი, და სცნა სიადვილე მცნებათა ღმრთისათაჲ: „შე-ლათუ-იდრიკო, ვითარცა გრკალი, ქედი შენი და ძაძაჲ შთაიცუა და ნაცარი დაიფინო, მითცა არავე ჰრქვან მარხვა და დღე სათ-

<sup>1</sup> მათ. 25,34.

<sup>2</sup> მათ. 25,23.

<sup>3</sup> მათ. 17,2.

ნო უფლისა; რამეთუ არა ესევეთარი მარხვად გამოვირჩიე, იტყვს უფალი, არამედ განიწსენ ყოველი კრულებად სიცრუისად და განხეთქე ყოველივე გულარძნილებად ცოდვისად, განუტევენ ჰყრობილნი მიტევებით და ყოველი ჯელისწერილი სიცრუისად განხეთქე“.<sup>1</sup>

იხილე სიბრძნე იგი წინაღსწარმეტყუელისად: წარმოთქუნა პირველად ძნელოვანნი და გამოაჩინა, ვითარმედ არა თუ ჭირსა და შრომასა ეძიებს ღმერთი, არამედ მორჩილებასა მისსა, რამეთუ ადვილად მოგუცემს წყალობასა მისსა, უკუეთუ გუენებოს, და გკრუენებს, ვითარმედ სათნობად ადვილ არს და სუბუქ, ხოლო ცოდვად მძიმე არს და მწარე. ამისთჳს ცოდვასა სახელ-სდვა გულარძნილებად და კრულებად სიცრუისა, და სათნობასა – ჯსნილებად და აზნაურებად.

„განიწსენ ყოველი კრულებად სიცრუისად და განხეთქე ყოველივე გულარძნილებად ცოდვისად“.

ჭემმარიტად, ცოდვად კრულებად არს სულისად და ჯელბორკილი არს მრავალფერად გულარძნილი, რომელი შეაშთობს და აჭირვებს სულსა მას შეკრულსა გულარძნილებითა მისითა.

ან უკუე, მორწმუნენო, განვხეთქნეთ ჩუენგან აპაურნი ცოდვისანი და განვაგდოთ ჩუენგან უღელი მისი, შევიტკობთ სათნობად და მცნებანი უფლისანი შევიყუარნეთ, რამეთუ უღელი მისი ტკბილ არს, და ტკრთი მისი მცირე არს და სუბუქ. ისმინეთ შემდგომიცა სიტყუად წინაღსწარმეტყუელისად: „განუტევენო ჰყრობილნი მიტევებით და ყოველივე ჯელისწერილი სიცრუისად განხეთქე“. ზემო კრულებად სიცრუისა და გულარძნილებად ყოველსავე ცოდვასა უწოდა, ხოლო ან ჯელისწერილნი სიცრუისანი აწსენნა, რომელ არიან ჯელისწერილნი იგი ვახშთა და აღნადგინებთანი, რომელნი-იგი დიდად სავნებელ და წარმწყმედელ არიან სულისა, რადთა გკრუენოს, თუ რაზომ ადვილ და სუბუქ არს კეთილისა საქმე. რამეთუ რად სიძნელე არს არამოჯდა ვახშისად გლახაკისაგან? რად სიმძიმე არს ამას შინა? ჭემმარიტად არცა ერთი, გარნა ვნებად იგი ანგაჰრებისად იქმს ამას ყოველსა.

გულისწმა-ყავ, კაცო, ვითარმედ ამისთჳს მოგეცნეს საფასენი ღმრთისა მიერ, რადთა ნუგეშინის-სცემდე გლახაკთა, არა თუ ამისთჳს, რადთა უმეტესად განამრავლებდე ჭირთა და მწუხარებათა მათთა. რამეთუ ან სახითა ნუგეშინის-ცემისადთა უფროსად აღაორძინებ განსაცდელსა სიგლახაკისა მისისასა, მისცემ საფასესა, რადთა უმეტესად განამრავლო საფასე; მისცემ ოქროსა გინა ვეცხლსა, რადთა მოიგო ოქროდ და ვეცხლი უმეტესი ჭირისა მისგან გლახაკისა მის, რომელმან ივასხა.

ბოროტ არს ვაჭრობად ესე, საძაგელ არს ჯელოვნებად ესე, და ღონე საძულელ არს ესე წინაშე ღმრთისა. მიეც, საყუარელო, ოქროდ შენი და ვეცხლი და მოიყიდე სასუფეველი ცათად. ნუ მცირესა და უნდოსა სავაჭ-

<sup>1</sup> ესაია 58, 5-6.



როსა მოივაჭრებ, ვახშსა და აღნადგინებსა ათეულსა საფასისა შენისასა გინა ხუთეულსა, არამედ ცხორებაჲ იგი უკუდავი მოიგე.

რაჲსათჳს გლახაკ ხარ გონებითა და დავრდომილ? რაჲსათჳს უგუჲნური ვაჭარი ხარ, ფრიადისა მიმცემელი და მცირედისა მომღებელი? საფასისა ნილ წარწყმედადისა სასუფეველი საუკუნოდ მოგეცემის, და შენ არა მოიღებ მას, არამედ მცირედისა აღნადგინებისათჳს მოიშთევი. # ფრიადი ესე სიცოფე! რად დაუტეობ ღმერთსა და კაცობრივთა სარგებელთა სდევ? რაჲსათჳს მდიდარსა მას და განმამდიდრებელსა ყოველთასა თანანარჳდები და გლახაკისა მისგან ეძიებ აღნადგინებსა შენსა და ცუდად აშთობ მას? მდიდარი იგი მეუფე მზა არს მოცემად, ჴელი განუმარტებიეს და წინაგიყოფს ნიჭსა მას დიდებულსა, და შენ თანანარჳდები მას და მისგან გნებაჲს მოღებად, რომელი იძულებითცა მცირედსა მოცემად ვერ შემძლებელ არს.

იგი წადიერ არს მოცემად და ესე მწუხარე არს; იგი ასწილად მოგცემს და ესე ასეულსაცა ვერ შემძლებელ არს; იგი ცხორებასა საუკუნოსა მოგცემს და ესე – წარწყმედასა; იგი თანანადებსა შენსა ქებით და დიდებით მოგცემს და ესე – შფოთით და გინებით.

ან უკუე არა უკუანაესკნელი უგუჲნურებაჲ და სიცოფე არსა დიდთა მათ კეთილთა დატეობაჲ და უნდოთა ამათ და ცუდთა ძიებაჲ? რავდენნი აღნადგინებისათჳს დიდთა განსაცდელთა შთავარდეს, რავდენთა თავნიცა თჳსნი და მოყუასნიცა დააგლახაკნეს, რავდენნი ამის ჯერისათჳს სრულიადსა წარწყმედასა მიეცნეს!

და ნუ ამას იტყჳ, კაცო, თუ გლახაკი იგი წადიერ არს მოცემად აღნადგინებისა, რამეთუ ესე გარდამატებულისა მის ანგაჳრებისა შენისათჳს იქმნების, ვინაჲთგან თჳნიერ ვახშისა არა ავასხებ. ამისთჳს აიძულებს ჭირი გლახაკსა მას წადიერებად აღნადგინებისა მოცემასა და შენისა მისთჳს უსახურობისა მადლიერ არს, არამედ შენ გულისჴმა-ყავ, რაოდენსა ბრალსა ამის საქმისასა წარმოიტყჳან წერილნი ძუელნი და ახალნი.

გარნა იტყჳან ვინმე მევახშეთაგანნი, ამისთჳს მოვიღებო აღნადგინებასა, რაჲთა მივსცე იგი გლახაკთა.

გულსავსე იყავ, კაცო, ვითარმედ ესევეთარი ქველისსაქმე ღმერთსა არა ჰნებაჲს. უმჯობეს არს არამიცემა გლახაკთადა, ვიდრელა ესევეთარისა მონაგებისაგან მიცემაჲ. უკუეთუ აღნადგინებისაგან იქმოდი ქველისსაქმესა, გრქუას შენ ღმერთმან, ვითარმედ: არა ესევეთარი ქველისსაქმე გამოვირჩიე მე. ვახში და აღნადგინები სრულიად განგდებულ არს შჯულისაგან საღმრთოჲსა. და არა ესე ხოლო, არამედ წესისაგანცა პირველთა მათ მეფეთა და მთავართაჲსა საძულელ იყო ესე საქმე.

რამეთუ შჯულსა შინა ჰრომაელთა სამეფოჲსასა ესრეთ განწესებულ არს, რაჲთა მთავართა მათგან, რომელთაცა სკნკლიტოს ეწოდების, რომელიცა იპოოს აღნადგინებისა მიმღებელად, განვარდეს სამთავროჲსაგან

თვისა; ხოლო ან ჩუენცა ვქადაგებთ, ვითარმედ ყოველი მევახშე და აღნადგინებისა მკრებელი განაგებს თავსა თვისსა სასუფეველისაგან ცათაჲსა.

აღნადგინები მსგავს არს ნაშობთა იქედნისათა, რამეთუ ვითარცა იგინი შეშქამენ საშოსა დედისასა, ეგრეთვე ესე შეშქამს სულთა მათ მომგებელთა მისთასა.

ამათ ესევეითართა ჴელისწერილთათჳს თქუა წინაჲსწარმეტყუელმან: „ყოველივე ჴელისწერილი სიცრუისაჲ განხეთქეო“, რამეთუ უფალმან ესრეთ გვბრძანა: „ავასხებდითო, ვინაჲ-იგი არა მოელოდით მოლებასა“.<sup>1</sup> ხოლო შენ, კაცო, არა მას ოდენ ეძიებ, რომელი მიეც, არამედ აღნადგინებისა-ცა მოჴდად იკადრებ გლახაკისაგან და ჰგონებ, თუ ამით ჯერითა საფასეთა შენთა განამრავლებ; არამედ უნყოდე, ვითარმედ საფასისა წილ ცეცხლსა მას უშრეტსა აღატყინებ შენ ზედა.

ამისთჳს გვედრები, საყუარელნო, უცხო-ვეყნეთ თავნი ჩუენნი ამის უჯერობისაგან; მოვიწყდნეთ ბოროტნი ესე ჩუეულებანი, დავამჴუნეთ აღნადგინებნი იგი ანგაჴრებისანი; განვიჴსნათ ყოველი კრულებად სიცრუისაჲ; განვხეთქოთ გულარძილებად ყოვლისავე ცოდვისაჲ; განუტევნეთ პერობილნი მიტევებით და ყოველი ჴელისწერილი სიცრუისაჲ განვხეთქოთ; ვსცეთ მშიერთა პური და გლახაკნი უსადგურონი შევიყვანნეთ სახლად ჩუენდა; ვიხილოთ თუ შიშუელი, შვემოსოთ იგი და თჳსი ნათესავისა ჩუენისაჲ არა უგულებელს-ვეოთ (ესე არიან ყოველნივე სარწმუნოებისა მიერ და წმიდისა ნათლის-ღებისა ძმანი ჩუენნი); მოვიგოთ სიყუარული, სახიერებაჲ, კაცთმოყუარებაჲ, სინმიდე, სიმდაბლე, ლმოზიერებაჲ; უცხო-ვეყნეთ თავნი ჩუენნი ყოვლისავე ცოდვისაგან; შევინანნეთ პირველქმნილნი უშჯულოებანი; მოვიტყეთ ბოროტისაგან და ვქმნათ კეთილი.

ესრეთ თუ ვყოთ, ღირს ვიქმნეთ ჭემმარიტისა მის ვაჴრობისა მოვაჴრებად, ვითარცა იტყჳს მოციქული, ვითარმედ: „ნანდჳლვე არს სარენავ დიდ ღმრთისმსახურებაჲ უნაკლულებით. რამეთუ არარაჲ შემოვიღეთ სოფლად, ჩას, რამეთუ არცა განლებად რაჲ ჴელ-გუენიფების“,<sup>2</sup> გარნა ხოლო საქმენი ჩუენნი, გინა კეთილნი, გინა ბოროტნი.

ან უკუე, ძმანო, კეთილნი საქმენი მოვიგნეთ, რაჲთა კადნიერებით ღირს ვიქმნეთ ხილვად დიდადშუენიერებასა მას უფლისასა, მო-რაჲ-ვიდეს მიუთხრობელითა მით დიდებითა თჳსითა განკითხვად ყოველთა კაცთა, და დავდგეთ მარჯუენით მისა და გუესმას ჴმაჲ იგი კურთხევისაჲ და მივემთხვნეთ მკვდრობასა მას სასუფეველისა ცათაჲსა.

ამას ესევეითარსა კეთილსა ღირსმცა ვართ ყოველნი მიმთხუევეად მადლითა და კაცთმოყუარებითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რომლისაჲ არს დიდებაჲ და სიმტკიცე თანა მამით და სულით წმიდითურთ ან და მარადის და უკუენითი უკუენისამდე, ამენ.

<sup>1</sup> ლუკ. 6,34.

<sup>2</sup> 1 ტიმ. 6,6-7.

## თავი 68

სიტყუად ესე: „და ჰკითხვიდეს მას მონაფენი და ეტყოდეს: ვითარ იტყვან მნიგნობარნი, ვითარმედ: ელიაჲსი ჯერ-არს პირველად მოსლვად?“ (17,10).

სიტყუად ესე საცნაურ იყო ერსა მას შორის ჰურიათასა და მიმოიქადაგებოდა ქრისტესთვისა და ელიაჲსთვის ყოველთა შორის. ამისთვის სამარიტელიცა იგი მეცნიერ იყო სიტყუასა ამას და იტყოდა: „ვიცი, რამეთუ მესია მოვალს, რომელსა ჰრქვან ქრისტე. ოდეს მოვიდეს იგი, მიმოიხრას ჩუენ ყოველი“.<sup>1</sup> და კუალად ჰურიანი ეტყოდეს იოვანეს: „ელია ხარა შენ ანუ წინაჲსწარმეტყუელი იგი?“<sup>2</sup> უწყებულ იყო უკუე სიტყუად ესე ქრისტეს მოსლვისად და ელიაჲსთვისა, ვითარცა ვთქუ, გარნა არა ჯეროვნად გამოითარგმანებოდა მნიგნობართა მათ მიერ. რამეთუ წერილნი ორთა მოსლვათა იტყვან ქრისტესთა: ამას, ან აღსრულებულსა, და მეორესა მას დიდებით მოსლვასა, ვითარცა-იგი პავლე მოციქული ქადაგებს და იტყვს: „გამოჩნდა მადლი იგი ღმრთისად მაცხოვრად ყოველთა კაცთა, სამოძღურებელად ჩუენდა, რაჲთა უარ-ვყოთ უღმრთოებაჲ და სოფლისა გულისთქუმაჲ, სინმიდით და სიმართლით და ღმრთისმსახურებით ვცხოვნდებოდით“.<sup>3</sup> აჰა ესერა ესე სიტყუანი პირველისა ამის ქრისტეს მოსლვისათს წარმოთქუნა. ისმინე, ვითარ მეორესა მასცა მოასწავებს; რამეთუ ზემონწერილნი რაჲ სიტყუანი წარმოთქუნა, მეყსეულად შესძინა და თქუა: „რაჲთა მოველოდითო ნეტარსა მას სასოებასა და გამოჩინებასა დიდებით დიდისა ღმრთისა და მაცხოვრისა ჩუენისა იესუ ქრისტესა“.<sup>4</sup> ეგრეთვე წინაჲსწარმეტყუელნი ორსავე მოსლვასა უფლისასა ქადაგებენ, ხოლო მეორედ მოსლვისა წინამორბედად ელიას იტყვან ყოფად. რამეთუ პირველისა ამის იოვანე იქმნა წინამორბედ, რომელსაცა ქრისტე ელიად უწესს. არა თუ ელია იყო იგი და ამისთვის ელიად უწესს, არამედ რომელ მისსავე მსახურებასა აღასრულებდა. რამეთუ ვითარცა იგი წინამორბედ ყოფად არს მეორედ მოსლვისა, ეგრეთვე იოვანე წინამორბედ იქმნა პირველისა.

გარნა უშჯულონი იგი მნიგნობარნი და ფარისეველნი ქადაგებასა მას წინაჲსწარმეტყუელთასა ორთა მათ ქრისტეს მოსლვათათს ჰფარვიდეს და შეჰრევდეს ურთიერთას; და ერსა მას გარდააქცევდეს და მეორესა მას ხოლო მოსლვასა აწსენებდეს და ეტყოდეს ერსა, ვითარმედ: უკუეთუმცა ესე იყო ქრისტე, ჯერ-იყო პირველად ელიაჲს მოსლვად.

ამის ესევითარისა პირისათს ეტყვან ან მონაფენი უფალსა: „ვითარ იტყვანო მნიგნობარნი, ვითარმედ: ელიაჲსი ჯერ-არს პირველად მოსლვად?“ ისმინეთ უკუე, ვითარ განუმარტა ქრისტემან სიტყუად ესე და

<sup>1</sup> იოან. 4,25.

<sup>2</sup> იოან.1,21.

<sup>3</sup> ტიტ. 2,11-12.

<sup>4</sup> ტიტ. 2,13.

ჰრქუა, ვითარმედ: ელია მოსლვად არს მაშინ, პირველ მეორედ მოსლვისა ჩემისა, და ანცა მოვიდაო ელია, ესე იგი არს იოვანე. მოვიდა ესე მსახურებისა მის აღსრულებად, რომელ მაშინ ეგულეების ელიას აღსრულებად. ხოლო უკუეთუ თეზბიტელსა ეძიებ, მომავალ არს. ამისთვის იტყოდა:

ს ა ხ ა რ ე ბ ა დ: „ელია მოვიდეს და კუალადაგოს ყოველი“ (17,11).

თ ა რ გ მ ა ნ ი: რად არს „ყოველი“ იგი, რომელსა კუალადაგებს? ესე იგი არს, რომელსა პირველვე იტყოდა მალაქია წინადასწარმეტყუელი და თქუა: „აჰა ესერა მე მოგივლინო თქუენ ელია თეზბელი ვიდრე მოსლვადმდე დღისა უფლისა დიდისა და განჩინებულისა, რომელმან მოაქციოს გული მამისა ძისა. ნუუკუე მოვიდე და მოვსრა ქუეყანად ერთბამად“.<sup>1</sup>

ჰხედავა უცთომელობასა სანინადასწარმეტყუელოდა მის სიტყვასა? ვინათგან იოვანეს ელია უწოდა ქრისტემან ზიარებისათვის მსახურებისა მათისა, რადთა არა ჰგონებდეს ვინ, თუ წინადასწარმეტყუელიცა იოვანესთვის იტყვს, ამისთვის მამულიცა ქუეყანად მისი თქუა: „ელია თეზბელი“, რამეთუ იოვანე არა თეზბელი იყო.

და კუალად სხუაცა სასწაული თქუა ელიას მოსლვისა: „ნუუკუე მოვიდე და მოვსრა ქუეყანად ერთბამადო“. ამით სიტყვითა მეორე იგი საშინელი მოსლვად მისი მოასწავა, რამეთუ პირველსა მას მოსლვასა არა მოსრვად ქუეყანისა მოვიდა, ვითარცა თავადი იტყვს, ვითარმედ: „არა მოავლინა ღმერთმან ძე თვისი, რადთა დასაჯოს სოფელი, არამედ რადთა ცხონდეს სოფელი მის მიერ“.<sup>2</sup>

ხოლო მეორესა მას მოსლვასა განსჯად და განკითხვად სოფლისა მომავალ არს. ამისთვის გამოაცხადებს წინადასწარმეტყუელი, ვითარმედ: მაშინ მოსლვად არს თეზბელი, ოდეს განსჯად ყოფად იყოს. და მიზეზსაცა გამოაჩინებს მოსლვისა მისისა: „რადთა მოვიდესო და კუალადაგოს ყოველი“. ესე იგი არს, რადთა ასწაოს ებრაელთა, რომელნიცა მაშინ იპოვნენ ქუეყანასა ზედა, მოქცევად სარწმუნოებასა ქრისტესსა, და ყოველნივე კაცნი დაამტკიცნეს სარწმუნოებასა მისსა, რადთა არა წარწყმდენ ურწმუნოებითა, მო-რად-ვიდეს უფალი განკითხვად.

ამისთვისცა უფალი იტყვს: „ელია მოვიდეს და კუალადაგოს ყოველი“. ესე იგი არს: მოაქცინეს მრავალნი ჰურიანი ურწმუნოებისაგან, ვითარცა წინადასწარმეტყუელი ფრიად კეთილად იტყვს. რამეთუ არა თქუა, თუ: მოაქციოს გული ძისად მამისა, არამედ: „გული მამისად ძისა“. ვინათგან მოციქულნი ნათესავისაგან ებრაელთადა იყვნეს, ამისთვის ებრაელთა მამად მოციქულთა სახელ-სდვა და თქუა: რადთა მოაქცინესო გულნი ებრაელთანი რწმუნებად ქადაგებისა მის მათგან გამოსრულთა მოციქულთადასა, ნუუკუე მოვიდეს უფალი და მოსრნეს ურწმუნონი იგი რისხვითა თვისითა.

<sup>1</sup> მალ. 4, 5-6.

<sup>2</sup> შდრ. იოან. 12,47.

ამის ესევიტარისა პირისათვის თქუა უფალმან, ვითარმედ: „ელია მოვიდეს და კუალადაგოს ყოველი“. და მეყსეულად იტყვს:

ს ა ხ ა რ ე ბ ა დ: „ხოლო გეტყვ თქუენ, რამეთუ ელია აწვე მოვიდა, და არა იცნეს იგი, არამედ უყვეს მას, რავდენი უნდა. ეგრეთცა ჯერ-არს ძისა კაცისა ვნებად მათგან. მაშინ გულისწმა-ყვეს მონაფეთა, რამეთუ იოვანეს ნათლისმცემლისათვის ჰრქუა მათ“ (17,12-13).

თ ა რ გ მ ა ნ ი: დღითი-დღე აღორძინდებოდა მათ შორის გულისწმის-ყოფად და მეცნიერებად. ამისთვისცა კეთილად გულისწმა-ყვეს, ვითარმედ „იოვანეს ნათლისმცემლისათვის ჰრქუა მათ“. რამეთუ მოიწსენეს სიტყუად მისი, რომელი სხუასა ადგილსა ჰრქუა მათ, ვითარმედ: „იგი არს ელია, რომელი მომავალ არს“,<sup>1</sup> ვითარმედ იოვანე მსგავს არს მომავალისა მის ელიაჲსა. ხოლო ესე ნუ ცთომილად ვის ჰგონიეს სიტყუად, რომელ ოდესმე იტყვს, ვითარმედ: „ელია მოვიდეს“, და კუალად იტყვს: „ელია აწვე მოვიდა“. რამეთუ ოდეს თქუას, თუ: „ელია მოვიდეს და კუალადაგოს ყოველი“, ელიას თეზბელსა იტყვს; ხოლო ოდეს თქუას, თუ: „ელია აწვე მოვიდა“, იოვანეს იტყვს ნათლისმცემელსა, რომელსაცა ერთობისა მისთვის მსახურებისა ელიად სახელ-სდებს. ესე იგი არს, ვითარცა იგი მეორისა მის მოსლვისა ყოფად არს წინამორბედ, ეგრეთვე ესე პირველისა ამის იქმნა წინამორბედ. და კუალად, რაჲთა ამით სახითა აჩუენოს, ვითარმედ ახალი ესე შჯული და ძუელი ერთსა ზედა ქადაგებასა ურთიერთსა ენამებთან. ამისთვის იტყვს: „ელია აწვე მოვიდა, და არა იცნეს იგი, არამედ უყვეს მას, რავდენი უნდა“. ესე იგი არს: საპყრობილედ შეანყუდიეს, შეურაცხ-ყვეს, მოკლეს, თავი მისი ლანკნითა შორის მოსუშურთა შემოიღეს, ჴელთა ბორგნეულისა მის მროკველისათა მისცეს. „ეგრეთცა ჯერ-არს ძისა კაცისა ვნებად მათგან“. ჰხედავა, ვითარ ჟამსა ჯეროანსა მოაწსენა ვნებად თვისი ვნებისა მისგან იოვანესა, ნუგეშინის-ცემისა შემოღებად მონაფეთა? ხოლო ვნებად რაჲ თვისი აწსენა, მეყსეულად სასწაულნიცა აღასრულნა; რამეთუ ესე მარადის სახილველ არს სახარებასა შინა: ოდეს ვნებისა თვისისათვის ეტყოდის, პირველცა და შემდგომადცა სასწაულთა აღასრულებს, რაჲთა არა შეორგულდენ მონაფენი, არცა მოუძღურდენ მწუხარებისაგან. რამეთუ პირველ ამისა, ოდეს-იგი ზეგარდამო მამამან გამოუცხადა მოციქულთა და ალალო პირი პეტრესი და აღმოათქუმი სიტყუად ღმრთისმეტყუელებისად, ვითარმედ: „შენ ხარ ქრისტე, ძე ღმრთისა ცხოელისა“,<sup>2</sup> ამისა შემდგომად იტყვს მახარებელი, ვითარმედ: „მიერთგან ინყო იესუ უწყებად მონაფეთა თვსთა, ვითარმედ ჯერ-არს მისა იერუსალჴმდ აღსლვაჲ და ფრიად ვნებად“.<sup>3</sup> და აწ კუალად, ვინაჲთგან მთასა ზედა საკრველი იგი ხილვაჲ უჩუენა და წინაჲსწარმეტყუელნი წარმოადგინნა მონამედ დიდე-

<sup>1</sup> მათ. 11,14.

<sup>2</sup> მათ. 16,16.

<sup>3</sup> მათ. 16,21.

ბისა თვისისა და სიტყუად ესე იოვანესთვს თქუა, ვითარმედ: „ელია აწვე მოვიდა, და უყვეს მას, რაოდენი უნდა“, მეყსეულად თვისი ვნებად მოაწესენა და ჰრქუა: „ეგრეცა ჯერ-არს ძისა კაცისა ვნებად მათგან“; და კუალად, შემდგომად მცირედისა, ოდეს განწადა ეშმაკი იგი, რომელი ვერ უძლეს მონაფეთა განწადად, იქცეოდეს რად გალილეას, ჰრქუა მათ: „ჯერ-არს ძე კაცისა მიცემად ჳელთა კაცთასა, და მოკლან იგი, და მესამესა დღესა აღდგეს. ხოლო იგინი შენუხნესო ფრიად“.<sup>1</sup> ამისთვს, ვითარცა ვთქუ, ოდეს ვნებისა თვისისათვს ეტყოდის, სასწაულთაცა აღასრულებს ნუგემინის-ცემად მათა, ვითარცა ესერა იტყვს:

**ს ა ხ ა რ ე ბ ა დ:** „და ვითარცა მოვიდეს იგინი ერისა მის, მოუწდა მას კაცი ერთი, მუწლნი დაიდგნა მის წინაშე და ეტყოდა: უფალო, შეინყალე ძე ჩემი, რამეთუ ცისად-ცისად ბოროტად იგუემების, რამეთუ მრავალგზის შთავარდის იგი ცეცხლსა და მრავალგზის წყალსა. და მოვჰგუარე იგი მონაფეთა შენთა, და ვერ შეუძლეს განკურნებად“ (17, 14-16).

თ ა რ გ მ ა ნ ი: ამას კაცსა სარწმუნოებითა დიდად უძლურად გამოაჩინებს წერილი. ამისთვსცა იტყვს მარკოზ, ვითარმედ: ჰრქუა უფალსა: „რად ძალ-გიც, შემენიე ჩუენ. და უფალმან მიუგო, ვითარმედ: ყოველივე შესაძლებელ არს მორწმუნისა. და კუალად ჳმა-ყო კაცმან მან: მრწამს, შემენიე ურწმუნობასა ჩემსა“.<sup>2</sup> ხოლო ვინაფთგან იგი ესრეთ უძლური ჰოა სარწმუნოებითა, და ესე იქმნა მიზეზ არაგანსლვისა ეშმაკისა მის, რადსათვს აბრალებს უფალი მონაფეთა და ეტყვს, ვითარმედ: მცირედმორწმუნეობითა თქუენითა არა განვიდა ეშმაკი იგი? ესე ამისთვს, რამეთუ ენება გამოჩინებად, ვითარმედ შესაძლებელ იყო მათგან, უკუეთუმცა სრულისა მის სარწმუნოებისა საზომსა იყვნეს, თვნიერ სარწმუნოებისაცა კაცისა მის განკურნებად ძისა მისისა. და ესე მრავალგზის იქმნების: ოდესმე მომავალნი იგი კურნებად სიმჭურვალისაგან სარწმუნოებისა თვისისა უდარესთაგანცა მიემთხუევიან კურნებასა; და კუალად მრავალგზის სასწაულისა მოქმედთა მათ სრულებამან ურწმუნოთაცა შეუძლო განკურნებად. და ამის ორისავე სახე იპოების წერილთა შინა: რამეთუ კორნელიოს და მისთანანი მათისა მის მჭურვალისა სარწმუნოებისაგან ღირს იქმნეს სულისა წმიდისა მოღებად; და კუალად ელისეს ზე გუამი მკუდრისა შთააგდეს საფლავსა ელისესსა არა სარწმუნოებისათვს, არცა აღდგინებად მკუდრისა მის, არამედ შიშისა მისგან მტევებართადასა ვერ უძლეს მკუდრისა მის დაფლვად და შთააგდეს იგი საფლავსა ელისესსა. და მი-რად-ეახლა მკუდარი იგი ძუალთა მის წმიდისათა, ძალითა სინმიდისა მისისადათა აღდგა მეყსა შინა. ამისთვს უფალმან აბრალა მონაფეთა, ვითარმედ ვერსრულებისათვს სარწმუნოებისა იქმნა ვერშეძლება იგი სასწაულისა მის.

<sup>1</sup> მათ. 17, 22-23.    <sup>2</sup> მარკ. 9, 22-24.

რამეთუ ყოფასა მას უფლისასა თაბორსა ზედა სამთა მათ თანა მონაფეთა, სუეტთა ეკლესიისათა, მოუწდა კაცი იგი სხუათა მათ მოციქულთა, და ვერ უძლეს განძებად ეშმაკისა მის. ხოლო იხილეთ უგუნურებად კაცისა მის, ვითარ წინაშე ყოვლისა ერისა მოუწდა უფალსა და აბრალებდა მონაფეთა მისთა და იტყოდა: „მოვჰგუარე იგი მონაფეთა შენთა, და ვერ უძლეს განკურნებად მისა“. ამისთვისცა უფალმან მის ზედა დასდვა ბრალი და სხუათა მათ ჰურიათა, რომელნი დაბრკოლდებოდეს ვერშეძლებისათვის მონაფეთაჲსა ქმნად სასწაულისა მის.

**ს ა ხ ა რ ე ბ ა დ :** „**მიუგო იესუ და ჰრქუა მას: ზ ნათესავი ურწმუნოდ და გულარძნილი! ვიდრემდე თქუენ თანა ვიყო? ვიდრემდე თავს-ვიდებდე თქუენსა? მომგუარეთ მე იგი აქა! და ვითარცა მოჰგუარეს, შეჰრისხნა მას იესუ, და განვიდა მისგან ეშმაკი იგი, და განიკურნა ყრმაჲ იგი მიერ ჟამითგან**“ (17,17-18).

**თ ა რ გ მ ა ნ ი :** რაჟამს თქუა, თუ: „ვიდრემდე თქუენ თანა ვიყო?“ გამოაჩინა, ვითარმედ არა სამძიმარ ანუ საშინელ იყო მისა სიკუდილი იგი ჯუარ-ცუმისაჲ, არამედ უფროესად სანადელ ცხორებისათვის ჩუენისა, და უმეტესად მათ შორის ქცევაჲ იყო მძიმე და მათისა მის გულარძნილებისა თავს-დებაჲ.

ხოლო ბრძანა რაჲ მოყვანებაჲ მისი და მოჰგუარეს, „მეყსეულად სულმან მან არანმიდამან დააკუეთა იგი“, ვითარცა მარკოზ იტყვის, „და ვითარცა დაეცა ქუეყანასა, გორვიდა და პეროოდა“.<sup>1</sup> ესე ყოველი ურწმუნოებისაგან იქმნებოდა კაცისა მის, რაჲთამცა მოვიდა სარწმუნოებად. ამისთვისცა ჟამიცა ჰკითხა: „რაჲდენი ჟამი არს, ვინაჲთგან ყოფილ არს ესე მაგის თანა?“ რაჲთამცა მოიყვანა იგი თქუმად სიტყუათა სარწმუნოებისათა. ხოლო ვინაჲთგან მან თქუა, ვითარმედ: „სიყრმითგან. და რაჲ ძალ-გიც, შემენიე ჩუენ“, მიუგო უფალმან: „რაჲ ძალ-გიც, ყოველივე შესაძლებელ არს მორწმუნისა“.<sup>2</sup> რამეთუ ოდეს-იგი კეთროანმან მან ჰრქუა: „უფალო, უკუეთუ გინდეს, ძალ-გიც განწმედაჲ ჩემი“, და ნამა დიდი იგი ჴელმწიფებაჲ მისი, აქო იგი უფალმან და დაამტკიცა სიტყუაჲ მისი და ჰრქუა: „მნებავს, განწმიდენი!“<sup>3</sup> ხოლო ამან ვინაჲთგან ვერარაჲ ღირსი ჴელმწიფებისა მისისაჲ თქუა, არამედ „რაჲ ძალ-გიც, შემენიეო“, მიუგო იესუ: „რაჲ ძალ-გიც, ყოველივე შესაძლებელ არს მორწმუნისა“. ხოლო სიტყუაჲ ესე ესრეთ არს, ვითარმედ: ესოდენ არს სიმდიდრე ძლიერებისაჲ ჩემ თანა, ვიდრეღა ჴელმწიფების სხუათაცა მიცემად მაღლი სასწაულთმოქმედებისაჲ. და შენცა, უკუეთუ ვითარცა ჯერ-არს, გრწმენეს ჩემდა მომართ, ძალ-გედვას ამისაცა განკურნებად და სხუათა მრავალთა. ესე რაჲ თქუა, განკურნა ყრმაჲ იგი.

<sup>1</sup> მარკ. 9,20.

<sup>2</sup> მარკ. 9,21-23.

<sup>3</sup> ლუკ. 5,12-13.

ხოლო ჩუენ ნუ ამისგან ხოლო გულისწმა-ვჰყოფთ განგებულებასა მისსა და მოლუანებასა კაცთასა და სიმრავლესა ქველისმოქმედებისა მისისასა, რომელ განჯადა ეშმაკი იგი, არამედ მისვე ჟამისაგან, ვინაცა შეუნდო შესლვად მისა. რამეთუ უკუეთუმცა არა წამის-ყოფად კაცთმოყუარებისა მისისად ჰფარვიდა, ადრევემცა მოეკლა იგი სულსა მას არანმიდასა, ოდეს-იგი ცეცხლსა შთააგდებდა და წყალსა, რადთამცა წარწყმიდა იგი, უკუეთუმცა არა აყენებდა და აღვრ-ასხმიდა სიბორგილესა მისსა განგებულებად ღმრთისად, ვითარცა სხუასაცა ადგილსა ვთქუთ ორთა მათთვს ეშმაკეულთა, რომელნი უდაბნოთა გარეიქცეოდეს და იკოდდეს თავთა თვსთა ლოდითა.

ხოლო სიტყვსა მისთვს, თუ: „ცისად-ცისად იგუემების“, ნუვინ განკვრდების, რამეთუ არა მახარებელისად არს სიტყუად, არამედ მამამან მის ყრმისამან თქუა ესრეთ; და სხუასაცა ადგილსა რომელ იტყვს მახარებელი, ვითარმედ: „მრავალნი ცისად-ცისად გუემულნი განკურნნა“,<sup>1</sup> სიტყვსაებრ ერისა მის თქუა ესრეთ, არა თუ თვთ მოილო სიტყუად ესე. რამეთუ ენება ეშმაკსა, რადთამცა მნათობსა მას, ღმრთისა მიერ განათლებად ღამისა დაბადებულსა, მთოარესა ზედა დასდვა ბრალობად ბოროტი და დაარწმუნამცა კაცთა, თუ მიზეზ რადმე არს იგი ესევეითართა სნებათად. ამისთვს ოდესმე სიჩჩოსა მისსა შეიპყრობს უფლებულთა მათ მის მიერ და სავსებასა მისსა დასცხრების; და კუალად რომელთამე სავსებასა მისსა შეიპყრობს და ცხრომასა მისსა დაუშუებს. არა თუ მთოარისაგან იქმნების ესე. ნუ იყოფინ! არამედ ეშმაკი უკეთურებითა თვსითა იქმს, რადთა მნათობი იგი საბრალობელ-ყოს. ამისთვსცა ცთომილი გულისსიტყუად დაემკვდრა უგუნურთა თანა, და ესევეითართა მათ ეშმაკეულთა ცისად-ცისად გუემულად სახელ-სდებდეს სიტყვთა სიცრუისადთა და გონებითა ცთომილითა. ხოლო მის ჩუეულებისათვს მრავალთადასა და ვითარცა კაცთა მიერ სახელი იგი ჩუეულ იყო, თქუა მახარებელმან. არა თუ მას ეგრეთ შეერაცხა. ნუ იყოფინ! არამედ არა იყო ჟამი ამის პირისათვს თქუამად, თუ: ცთომილი არს სიტყუად ესე; რამეთუ იგი წინამდებარისა მის აღწერად მოსწრაფე იყო და ამათ ესევეითართა თანანარჰვდებოდა.

**ს ა ხ ა რ ე ბ ა ა :** „მაშინ მოუჯდეს იესუს მონაფენი თვსაგან და ჰრქუეს: რადსათვს ჩუენ ვერ შეუძლეთ განძებად მას? ხოლო თავადმან ჰრქუა მათ: მცირედმორწმუნეობითა თქუენითა. ამენ გეტყვ თქუენ: უკუეთუ გაქუნდეს სარწმუნობად, ვითარცა მარცუალი მდოგვსად, ჰრქუათ მთასა ამას: მიიცვალე ამიერ იქი! და მიიცვალოს, და არარად შეუძლებელ იყოს თქუენ მიერ“ (17,19-20).

თ ა რ გ მ ა ნ ი : შიში შეუჯდა გულსა მონაფეთასა და ურვად, ვითარმედ: ნუუკუე წარწყმიდეს მაღლი იგი, რწმუნებული მათდა? რამეთუ მიელო

<sup>1</sup> შდრ. მათ. 4,24.



ველმნიფებად სულთა ზედა არანმიდათა. ამისთვის, ვითარცა საქმისათვის დაფარულისა, თვსაგან ჰკითხვენ უფალსა. და თავადმან განუმარტა მათ, ვითარმედ ვერსრულებისაგან სარწმუნოებისა შეემთხვა, არა თუ სხვსა რაღსმე ბრალისთვის.

ხოლო უკუეთუ ვინ თქუას, ვითარმედ: რაღსათვს ეტყოდა: „უკუეთუ გაქუნდეს სარწმუნოებად, ვითარცა მარცუალი მდოგვსად, ჰრქუათ მთასა ამას: მიიცვალე ამიერ იქი! და მიიცვალოს“? ოდეს სადა მიცვალეს მოციქულთა მთად ადგილით თვსით? ესრეთ გულისწმა-ყავნ მეტყუელმან მან, ვითარმედ ფრიად უაღრესნი და უზეშთაესნი საქმენი ქმნეს მათ შეცვალე-ბისა მთათადასა.

იხილეთ, რავდენნი მკუდარნი აღადგინნეს! რავდენ უკუე უმეტეს არს და უზეშთაეს სულისა განსრულისა გუამისაგან მოქცევად გუამადვე თვსა და სიკუდილისა განდევნად გუამისა მისგან და აღდგინებად სამარესა შეწყუდეულისა, ვიდრელა შეცვალეზად მთისა ადგილით თვსით.

ხოლო ესეცა საცნაურ არს, ვითარმედ მრავალთა წმიდათა, ფრიად უდარესთა საზომისა მის მოციქულთადასა, პირველ არამრავლისა ჟამისა ჩუენისა ამის ნათესავისა შეცვალნეს მთანი ადგილით თვსით, რამეთუ საწმარ იქმნა საქმე იგი. ამით უკუე გულისწმისსაყოფელ არს, ვითარმედ უკუეთუმცა საძიებელ რაღმე ქმნილ იყო ესე მოციქულთა ზე, ფრიად უადვილესადმცა შეეცვალა მათ, ვიდრელა შემდგომთა მათთა. რამეთუ რომელთა უაღრესნი სასწაულნი აღასრულნეს, ესე უდარესი ვითარმცა არა ქმნეს? და კუალად ესეცა გულისწმა-ყავნ მეძიებელმან ამის სიტყვსა-მან, ვითარმედ: არა თუ ყოველნი სასწაულნი, რომელნი ქმნეს მოციქულ-თა, აღწერილ არიან, უფროდსლა უმრავლესნი აღუწერელ არიან. და ესე-ცა უკუეთუ ქმნეს, შეცვალეზად მთათად, და არა აღიწერა, რად საკვრველ არს? ხოლო მამინ არა აქუნდა ჯერეთ სრული იგი საზომი სარწმუნოები-სად, არამედ შემდგომად ჯუარ-ცუმისა და აღდგომისა უფლისა და ზეცად ამალღებისა და სულისა წმიდისა მოსლვისა მიინინეს სრულებასა მას. ამისთვის ან ეტყვს უფალი: „უკუეთუ გაქუნდეს სარწმუნოებად, ვითარ-ცა მარცუალი მდოგვსად“; რამეთუ მდოგვ დაღაცათუ საზომითა მცირე არს, არამედ სიფიცხითა სხუათა თესლთა უმეტეს არს. ამისთვისცა აწსენა მდოგვ, რადთა გამოაჩინოს, ვითარმედ უმცირესსაცა ნაწილსა ჭემმარი-ტისა მის და სრულისა და შეუორგულეზებელისა სარწმუნოებისასა დიდ-თა საქმეთა შემძღებელ არს აღსრულეზად, ვიდრე მათთა ცვალეზადმდე და უმეტესცა. ამისთვის შესძინა, ვითარმედ: „არარად შეუძღებელ იყოს თქუენ მიერ“.

ხოლო თქუენ, ძმანო, გულისწმა-ყავთ მათთა მათ გონებათა სიკეთე და სულისა წმიდისა ძალი. მათი სიკეთე ამისთვის, რომელ არცა ერთსა დაჰ-ფარვენ ბრალობასა თვსსა; და კუალად ძალი სულისა წმიდისად ამისთვის, რამეთუ რომელთა-იგი არცა მარცულისა სწორად მდოგვსა აქუნდა სარ-

ნმუნოებად, ესრეთ აღამაღლნა, ვიდრელა წყარონი და მდინარენი სარწმუნოებისანი აღმოაცენნა მათგან.

**ს ა ხ ა რ ე ბ ა დ :** „ხოლო ესე ნათესავი ვერარაფთ შესაძლებელ არს განსლვად, გარნა ლოცვითა და მარხვითა“ (17,21).

**თ ა რ გ მ ა ნ ი :** კეთილად და ჯეროვნად განუწესა მათ სათნოებად მარხვისად, რამეთუ ნანდვლვე საძიებელ არს ესე და საჭმარ განსადევნელად ეშმაკისა. და ნუვინ იტყვს, თუ ვიეთმე თვნიერ მარხვისაცა განწადეს ეშმაკი. რამეთუ დაღაცათუ ჩუენდა არა საცნაურ არს, არამედ იგინი, რომელთაცა განწადეს სადა ეშმაკი, ლოცვითა და მარხვითა შეზღუდვილ იყვნეს.

ხოლო დაღაცათუ თქუას ვინ, თუ: იპოვნეს სადა ვიეთნიმე თვნიერ ფრიადისა მარხვისა მაოტებელად ეშმაკთა, გარნა ეშმაკეული ვერსადა ვინ პოოს თვნიერ მარხვისა განკურნებული; რამეთუ ყოვლისა უმეტესად ესე უწმს შეკრძალვად, რომელნი შეპყრობილ არიან სულთაგან არანმიდათა, რაფთა განეყენნენ შუებისაგან და შეაინრნენ თავნი თვსნი მარხვითა ფრიადითა და მარხვასა თანა მოიგონ ლოცვაჲცა ლმოზიერი. და ამათ სათნოებათა სარწმუნოებითურთ ძალ-უც მრავალთა ბოროტთაგან წსნად კაცისა და მრავალთა კეთილთა მოცემად.

## სწავლად ნჲ

**მარხვისათვს და მომთრვალეთათვს. რამეთუ მარხვად და ლოცვად კაცსა ანგელოზ-ჰყოფენ და ზეცისა მწედრობათა მობაძავად გამოაჩინებენ**

ან უკუე რომელსა ენებოს ჭემმარიტისა ლოცვისა და მარხვისა მოგებად და წარჰმართნეს ესე სათნოებანი, სანატრელ არს იგი, რამეთუ ესე ვითარსა მას არა უწმს მრავალი საფასე. რომელსა არა უწმდეს მრავალი, არა იქმნების ანგაჰრ; რომელი განეშოროს ანგაჰრებასა, იგი შემძლებელ იქმნების წარმართებად მოწყალებისა.

კაცი მმარხველი სუბუქად მდგომარე არნ ლოცვასა, გულისთქუმათა ბოროტთა დაშრეტს, ზუაობასა და სილაღესა გულისასა დაამდაბლებს, ლმოზიერად შეუვრდების ღმერთსა და ითხოვს წყალობასა. ამისთვსცა მოციქულნი მარადის მარხვითა და ლოცვითა აღასრულებდეს დღეთა მათთა.

რომელი ილოცვიდეს მარხვითურთ, ფრთოან არს ლოცვად მისი და უმწურვალეს ცეცხლისა, საშინელ არს იგი ეშმაკთა და შემწუველ ძალისა მათისა. და რაფცა იყო უძლიერეს კაცისა, ჭემმარიტთა ლოცვათა აღმასრულებელისა?

უკუეთუ ქურივმან მან მოწყალე-ყო მსაჯული იგი, რომელსა არცა ღმრთისა ეშინოდა, არცა კაცთაგან ჰრცხუენოდა, უწყინოდ ვედრებითა

თქსითა,<sup>1</sup> რავდენ უმეტესად მონყალე-ყოს კაცმან სახიერი იგი და მონყალე ღმერთი, უკუეთუ მარხვითა შეჰმზადოს თქსი იგი ვედრებად და ლმობიერებითა სინმიდისადათა და განაგდოს თავისა თქსისაგან შუებად და სიმაძღრე მუცლისაჲ. ხოლო უკუეთუ მარხვად ფრიადი ვერ ძალ-გიც, კაცო, უძღურებისათჳს ჳორცთაჲსა, მოინყვდენ შუებანი და სანოაგენი და ყოველივე სახე უზომოდსა ნაყროვნებისაჲ, და ესეცა არავე შორს არს წესისა მისგან მარხვისა. და ესეცა შემძლებელ არს დაჴსნად სიბორგილესა ეშმაკისასა, რამეთუ არარაჲ არს ესრეთ საყუარელ და სანადელ ეშმაკისა, ვითარ შუებად და მთრვალობად, რამეთუ წყაროდ არს ესე და დედაჲ ყოველთა ბოროტთაჲ.

ამის მიერ ოდესმე ისრაიტელნი კერპთმსახურებად შთაყარნა, ამის მიერ სოდომელნი უშჯულოდთა მით აღაზრზინნა ტრფიალებითა, ვითარცა იტყჳს წინაღსწარმეტყუელი, ვითარმედ: „ესე უშჯულოებაჲ სოდომელთაჲ არს, რამეთუ ამპარტავანებითა და სიმაძღრითა პურისადათა და ნაყროვნებითა სანოაგეთადათა იშუებდეს“.<sup>2</sup> ამის მიერ სხუანი მრავალნი წარწყმდინა მტერმან მან სულთა ჩუენთამან და ცეცხლსა გეჴენიისასა შთაჴჳდნა, რამეთუ რამცა იყო იგი ბოროტი, რომელი არა იქმნების შუებისაგან და მთრვალობისა. ესე კაცსა უძკრეს ღორთასა გამოაჩინებს, რამეთუ ღორი მწკრესა შინა იმწუბების, და საჭმელ მისა არს სიმყრალე, ხოლო მომთრვალე ფრიად უძკრეს არს ამისა, რამეთუ გულისთქუმათა მოიპოებს, უცხოთა ბუნებისაგან, და ტრფიალებათა უშჯულოთა და ფრიად საძაგელთა, და უფროსლა ვთქუა, თუ ეშმაკეულთაგან არარადათა განყოფილ არს ესე-ვითარი იგი. ეშმაკეულთა ყოველნი სწყალობენ, ხოლო კაცი მომთრვალე ყოველთა სძაგს, და სძულობენ ამისთჳს, რამეთუ ნეფსით თქსით მისცემს თავსა თქსსა წარსაწყმედელად და ჴყოფს პირსა თქსსა და თუალთა და საყნოსელთა და ყოველთავე ასოთა უსაძაგელეს მწკრისა. ხოლო შინაგანი თუ მისი იხილო, ჴპოო სული იგი, ვითარცა ზამთარსა შინა და ნეფხვასა ძნელსა განყინული და უჴმარი ყოველსავე ზედა საქმესა კეთილსა, ხოლო ბოროტთა საქმეთა მიმართ მჴურვალე და მოსწრაფე.

მრცხუენის თქუმაჲ მრავალთა მათ ბოროტთა, რომელნი შეემთხუევიან კაცთა მთრვალობისაგან, არამედ დაუტეო კაცად-კაცადი შინაგანსა გონებასა, რადთა მან ამხილოს მოქმედთა მათ ბოროტისათა. და მესმის მრავალთაგან, ვითარ იტყჳან, ოდეს ესმენ საქმენი უჯერონი, მთრვალობისა მიერ აღსრულებულნი: ნუმცა არსო ღვნოჲ. ჴ უგუენურებაჲ ესე! სხუანი იქმან ბოროტსა, და შენ ნიჴთა ღმრთისათა აბრალება, კაცო უგულისჴმოო? არა თუ ღვნომან ქმნა უჯეროებაჲ იგი, არამედ ბილნებამან უძღებად მსუმელთამან.

ესრეთ უკუე იტყოდე შენ, ვითარმედ: ნუმცა არს მთრვალობაჲ, ნუმცა არს უძღებად შუებაჲ. ხოლო უკუეთუ იტყჳ: ნუმცა არს ღვნოჲ, რამეთუ

<sup>1</sup> ლუკ. 18,2-5.      <sup>2</sup> ეზეკ. 16,49.

მისგან იქმნების მთრვალობად, კუალად სხუასა ჟამსა სთქუა: ნუმცა არს რკინად, რამეთუ იქმნებიან კაცის-კლვანი; ნუმცა არს ღამე, რამეთუ იპარვენ მპარავნი; ნუმცა არს დედაკაცი, რამეთუ იმრუშებენ მეძავნი; და ესრეთ ყოველთავე დაბადებულთა დაჴსნად სთქუა შენ.

გარნა ნუ ესრეთ იქმ! რამეთუ ესე საქმე საემშაკოე არს; ნუცა აბრალებ ღვნოსა, არამედ მთრვალობასა. რამეთუ ღვნოდ მოგუეცა სიხარულად ნესიერად, არა უშუერებად უნესოდ; ღვნოდ მოგუეცა სენტა საკურნებელად, არა სენტა აღმორძინებელად; ჴორცთა განმძლიერებელად, არა თუ ჴორცთა და სულისა დამჴსნელად. კეთილი ნიჭი მოგუანიჭა ღმერთმან, ხოლო ჩუენ უზომოებითა ვყავთ იგი შეურაცხ.

ისმინე, რასა ეტყვს პავლე ტიმოთეს: „ნუ წყალსა ხოლო სუამ, არამედ ღვნოდცა მცირედ იჴუმე სტომაქისათჴს და ზედაღსზედა უძღურებისა შენისათჴს“.<sup>1</sup> ხოლო უკუეთუ ტიმოთე, კაცმან მან წმიდამან, უძღურებასა შინა ესოდენსა არა თავს-იდვა სუამა ღვნისა, ვიდრემდე უბრძანა მოძღუარმან, რად-მე სიტყუად მიუგოთ ჩუენ ღმერთსა, რომელნი-ესე სიმრთელესა შინა ვითრეებით?

მას ეტყოდა მოციქული: „ღვნოდ მცირედ იჴუმე სტომაქისათჴს“, ხოლო თქუენ, მომთრვალეთა მაგათ, კაცად-კაცადსა გეტყვს: ღვნოდ მცირედ იჴუმე, სიძვათათჴს, რომელთა შთაჴვარდები მთრვალობითა, გინებათათჴს საძაგელთა, რომელთა აღმოიტყვ, რაჴამს ცნობასა მიჴჴდე, სხუათა მათჴს ბილნთა გულისთქუმათა, რომელნი იშვებიან მთრვალობისაგან.

ღვნოდ სიხარულად მოგუეცა, ვითარცა იტყვს: „ღვნომან ახარის გულსა კაცისასა“,<sup>2</sup> ხოლო თქუენ, მომთრვალენო, ესევეთარი ესე საქმე მისი განჴრყუენით; რამეთუ ვითარიღა არს სიხარული იგი, ოდეს კაცმან გონებად თჴსი წარინყმიდოს და მიმოიჭრებოდის და ყოველივე გარემოსლვად უჩნდეს, და თუაღნი მისნი ბნელ იყვენ, და ყოველივე ბოროტი თავსა ზედა მისსა დაკრებულ იყოს, და სული მისი დანთქმულ იყოს მწკრესა ცოდვისასა.

ამას ესევეთარსა არა თუ ყოველთა ვეტყვ, და უფროდსღა ვთქუა, თუ ყოველთა ვეტყვ. არა თუ ყოველნი ითრვებიან. ნუ იყოფინ! არამედ რომელ-იგი მომთრვალეთა არამომთრვალენი უგულებელს-ჴყოფენ და არა იღუნან, ამისთჴს ვაბრალებ. რამეთუ მკურნალიცა, მივიდის რად და იხილის სნეული უღუნოლელად, არა მას აბრალებნ, არამედ მის თანა მყოფთა მათ. ეგრეთვე მე თქუენდა მომართ ვიტყვ და გევედრები: თავნიცა თქუენნი შორს-ყვენით მთრვალობისაგან და მომთრვალენიცა იღუნანით ზედაღსზედა სწავლითა და შერჩულვითა მოქცევად ბოროტისა მის ჩუეულეებისაგან, რადთა არა უძკრეს პირუტყუთასა ყვენ თავნი თჴსნი. რამეთუ პირუტყუნი უმეტეს საჴმრისა არარას ეძიებენ, ხოლო ესენი უუგუნურეს მათსა არიან, რამეთუ საზომი იგი საჴმრისად სრულიად დაუვინყებიეს.

<sup>1</sup> 1 ტიმ. 5,23.      <sup>2</sup> ფსალმ. 103,15.

პირუტყუთა არავინ აიძულებს უმეტეს წესისა ჭამად ანუ სუმად, რადთა არა სავნებელ ეყოს, ხოლო თავთა თვსთა უგუნური ესე მომთრვა-ლენი პირუტყუთა სწორადცა არა იღუნიან, არამედ ესოდენსა შთაისხმენ ღვინოსა, ვიდრემდის ყოველი სენი მათ შეედვას; და არა მას ხოლო დღესა მთრვალობისასა შეედების სალმობად, არამედ მთრვალობადლა წარწდის, სალმობანი იგი სულისა და ჳორცთანი ეგნიან. და გესლი რად მთრვალობი-სად მის მოჰქარდის, კუალად სხუასა ეძიებნ და ეოცებინ ღვინოდ და ჭურნი და სანდენი და ფიალები ღვინისასუმლები. და ვითარცა-რად ნავი დამძიმე-ბული ტვრთითა უზომოდთა მიეცეს რად ღელვათა სიმძაფრესა, ყოველივე ზღუად შთააბნიის, დაღაცათუ ღელვად იგი დასცხრის, არამედ ზღვევად, რომელ შეემთხვა, ეგის საკდემელად მათდა, ეგრეთვე მომთრვალეთა შე-ემთხუევის: დაითრვნიან რად, გარდააბნიან ყოველივე, რადცა აქუნ კეთი-ლი, გინა თუ სინმინდე ჳორცთად, გინა თუ რიდობად, გინა თუ გონიერებად, გინა თუ სიბრძნე, ანუ თუ სიმშკდე, გინა სიმდაბლე, ყოველივე ესე შთას-თხიის მთრვალობამან ზღუასა მას უშჯულოებისასა და სული იგი მენა-ვეთმოძღუარი მათ თანავე დაანთქის. დაღაცათუ სადმე მთრვალობად იგი მოჰქარდის, ზღვევად იგი კეთილთა მათ საქმეთად, რომელნი წარწყმიდნა, სადაღამცა პოა?

ამისთვს თქუმულ არს, ვითარმედ: მთრვალობითა სასუფეველი ცათად ვერვინ იხილოს; ამისთვს იტყვს მოციქული: „ნუ სცთებითო: არცა მეძავთა, არცა კერპთმსახურთა, არცა მემრუშეთა, არცა მამათამავალთა, არცა ჩუ-კენტა, არცა მპარავთა, არცა ანგაჰრთა, არცა მომთრვალეთა, არცა მაგი-ნებელთა, არცა მტაცებელთა სასუფეველი ღმრთისად ვერ დაიმკვდრონ“.<sup>1</sup> აჰა ესერა იხილეთ, რაბამთა ბოროტთა თანა აღრაცხა მთრვალობად, რამე-თუ ნანდვლვე მათ ყოველთა მოყუასი არს და მიზეზი.

ან უკუე, კაცნო, გულისწმა-ვყოთ და არარადსა ამის და უსარგებლოდსა საქმისათვს ნუ მივსცემთ თავთა ჩუენთა ესევეითართა ბოროტთა და სული-სა წარწყმედასა, არამედ განვეშორნეთ შუებისაგან და მთრვალობისა და მარხვითა და ღმობიერად ვედრებითა ღმრთისადთა აღვასრულნეთ დღენი ჩუენნი, რადთა ვპოოთ მოტევებად ცოდვათად და საუკუნეთა მათ კეთილ-თა ღირს ვიქმნეთ მაღლითა და კაცთმოყუარებითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რომლისად არს დიდება და სიმტკიცე თანა მამით და სულით წმიდითურთ ან და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

---

<sup>1</sup> 1 კორ. 6, 9-10.

## თავი 68

ს ი ტ ყ უ ა დ ე ს ე : **„და ვითარცა იქცეოდეს იგინი გალილეას, ჰრქუა მათ იესუ, ვითარმედ: ჯერ-არს ძმ კაცისაჲ მიცემად ჴელთა კაცთასა, და მოკლან იგი, და მესამესა დღესა აღდგეს. ხოლო იგინი შენუხნეს ფრიად“** (17,22-23).

პირველ ამისა, აბრაღა რაჲ პეტრე სიტყვსა ამისთჳს, ფრიად შეჰრისხნა მას. და კუალად მოსე და ელია მთასა ზედა ვნებისა მისისათჳს იტყოდეს და საქმესა მას დიდებად უწოდეს, და მამამან ზეცით ნამა ძე იგი საყუარელი, და სასწაულნი ესოდენნი აღესრულნეს, და აღდგომისა ქადაგებაჲ ესმა; და ამას ყოველსა ზედა ესმა რაჲ ვნებისა მისისათჳს, შენუხნეს ფრიად. ხოლო ესე ამისთჳს იქმნა, რამეთუ ჯერეთ უმეცარ იყვნეს ყოფადთა მათ საქმეთა, ვითარცა იტყვს მარკოზ, ვითარმედ: „იგინი უმეცარ იყვნეს სიტყუასა ამას და ეშინოდა კითხვად მისა“;<sup>1</sup> და ლუკა იტყვს: „ხოლო იგინი უმეცარ იყვნეს სიტყუასა ამას ზედა, და იყო დაფარულ მათგან, რადთა ვერ გულისჴმა-ყონ იგი, და ეშინოდა მათ კითხვად მისა სიტყვსა ამისთჳს“.<sup>2</sup>

ხოლო უმეცარ თუ იყვნეს, რაჲსათჳს შენუხნეს? გარნა არა ყოველსა-ვე იყვნეს უმეცარ. ესე ესმოდა, ვითარმედ ჯერ-არს მიცემად მისა „ჴელთა კაცთაჲსა, და მოკლან იგი“, და ამას გულისჴმა-ჴყოფდეს, ხოლო უმეცარ იყვნეს, თუ სიკუდილმან მისმან დაჴჴსნას ძალი სიკუდილისაჲ და შემუს-რნეს ბჭენი ჯოჯოხეთისანი და განათავისუფლნეს კაცნი მძლავრებისაგან ეშმაკისა. და სხუანი იგი ბევრეულნი კეთილნი, რომელნი იქმნეს სიკუდი-ლითა მისითა, დაფარულ იყვნეს მათგან, და საიდუმლოჲ იგი აღდგომისაჲ არა იცოდეს. ამისთჳს მნუხარე იყვნეს ფრიად, ესმოდა რაჲ მოძღურისა მის და მეუფისა სახიერისა ვნებაჲ და სიკუდილი.

ს ა ხ ა რ ე ბ ა დ : **„და ვითარცა მოვიდეს იგინი კაპარნაუმდ, მოუჴდეს, რომელნი ხარკსა შეჴკრებდეს, და ჰრქუეს პეტრეს: მოძღუარმან თქუენმან არა მოგუცესა ხარკი?“** (17,24).

თ ა რ გ მ ა ნ ი : რაჲ არს ხარკი ესე, რომელსა ან ეძიებენ? რაჴამს მოს-წყვდა ღმერთმან ეგჴპტეს ყოველი პირმშოჲ, მიერიოთგან ბრძანა, რადთა პირმშონი ძეთა ისრაჴლისათანი მისა განჩინებულ იყვნენ. ამათ პირმშოთა ნილ განჩიჴმა ტომი ლევისი მსახურებად მარადის უფლისა.

ხოლო ოდეს-იგი აღირაცხნეს ლევიტელნი, იპოა რიცხჴ მათი უდა-რეს პირმშოთა მათ ერისა ებრაელთაჲსა. მაშინ ნაკლულეგანებისა მისთჳს ბრძანა ნემტთა მათგან მოღებად საჴსრად ხუთი სასწორი თავად-თავად. მიერიოთგან განენესა პირმშოთაგან ხარკისა მის ესევეითარისა მოჴდად.

<sup>1</sup> მარკ. 9,32.

<sup>2</sup> ლუკ. 9,45.

ხოლო ვინაიდან ქრისტე პირმშოდ იყო, ამის ჯერისათვის ეტყვიან პეტრეს, ვითარცა თავსა მონაფეთა მისთასა, რამეთუ მისა თქუმად ვერ იკადრეს. და-  
ლაცათუ ჯეროანი მეცნიერებად მისთვის არა აქუნდა, არამედ ვითარცა კაცსა  
ხედვიდეს, გარნა პატივ-სცემდეს აურაცხელთა მათთვის სასწაულთა.

ვინაიდან უკუე ხარკსა მას ქალაქად-ქალაქად კრებდეს, ამისთვის კა-  
პარნაომს თქუეს ესე, რამეთუ მამულად მისა შერაცხილ იყო იგი. და პეტრეს-  
ცა კითხვისასხედ ჰრქუეს და არა სიფიცხით: „მოძღუარმან თქუენმან არა  
მოგუცესა ხარკი? ხოლო მან ჰრქუა: ჰე“. მათ ჰრქუა, ვითარმედ: ჰე, მოგცეს,  
ხოლო უფალსა არარად მიუთხრა, რამეთუ ერიდებოდა ესევეითარისა თქუ-  
მად. ხოლო სახიერმან მან და ყოვლისავე მეცნიერმან უსწრო და ჰრქუა მას:

**ს ა ხ ა რ ე ბ ა დ :** „რასა ჰგონებ შენ, სიმონ: მეფენი ქუეყანისანი ვიეთგან  
მიიღებენ ხარკსა ანუ ზუერსა: შვილთაგან ანუ უცხოთაგან? ჰრქუა მას პეტ-  
რე: უცხოთაგან. ჰრქუა მას იესუ: ან უკუე თავისუფალ სამე არიან შვილნი.  
ხოლო რაათა არა დავაბრკოლნეთ იგინი, ნარვედ ზღუად და შთააგდე სამ-  
ჭედური, და რომელი პირველად აღმოვდეს თევზი, მოიღე იგი და ჰპოო მის  
შორი სატირი. მოიღე იგი და მიეც მათ შენტვს და ჩემთვის“ (17,25-27).

**თ ა რ გ მ ა ნ ი :** ვინაიდან პეტრე იშიშვოდა თქუმად მისა, უსწრო უფალმან  
და ნარმოილო სიტყუად ესე. ხოლო ესე იგი არს, ვითარმედ: არა თანამაც მე მი-  
ცემად ხარკისად, რამეთუ უკუეთუ მეფენი ქუეყანისანი არა შვილთაგან მიიღე-  
ბენ ხარკსა, არამედ უცხოთაგან, რავდენ უფროდსად ჩემი ჯერ-არს აზნაურე-  
ბად ხარკის მიცემისაგან, რომელი-ესე არა ქუეყანისა მეფისად, არამედ მეუფისა  
მის ზეცათაჲსა ძე ვარ და თვთ მეუფე. გარნა „რაათა არა დავაბრკოლნეთო,  
ნარვედ ზღუად და შთააგდე სამჭედური, და რომელი პირველად აღმოვდეს  
თევზი, მოიღე და ჰპოო მის შორის სატირი“, რომელი-იგი იყო ოქროდ, რომე-  
ლიცა უბრძანა მიცემად: „მოიღე იგი და მიეც მათ შენტვს და ჩემთვის“.

რამეთუ პეტრეცა პირმშოდ იყო, და სატირი იგი ესოდენი იყო, რომელ  
ორთა მათ პირმშოთა ხარკსა გარდამატებულად გარდაიწდიდა. ხოლო პირ-  
ველად გამოაჩინა, ვითარმედ არა თანამდებ არს იგი ხარკისა, და მერმე  
ბრძანა მიცემად, რაათა არა დაბრკოლდენო. ხოლო სხუასა ადგილსა უგუ-  
ლებელს-ყო დაბრკოლებად მათი, ოდეს-იგი ჭამადთათვის იტყოდა, რაათა ჩუ-  
ენ გუასწაოს, ვითარმედ: ოდესმე, ჟამსა თვსსა, ჯერ-არს ზრუნვად არა დაბ-  
რკოლებად ვიეთმე, და კუალად სხუასა ჟამსა – უზრუნველობად საქმისა ამის.

ხოლო სახითა მითცა მიცემისადათა გამოაჩინა თავი თვისი, ვითარმედ  
იგი არს ღმერთი და უფალი ყოველთაჲ. რამეთუ პირველცა აჩუენა, ვითარ  
აქუს ჳელმნიფებად ყოვლისად, რაჟამს-იგი შეჰრისხნა ზღუასა და ქართა,  
და იყო დაყუდებად დიდი; და კუალად, ოდეს პეტრეს უბრძანა სლვად წყალ-  
თა ზედა. და ანცა თვისივე დიდი ჳელმნიფებად გამოაჩინა, რამეთუ ბრძანა  
წარსლვად და აღმოღებად თევზისად, რომელსა შინა იყო სატირი, ვითარცა  
ვინ საუნჯეთაგან თვსთა ბრძანის გამოღებად.

ხოლო ზღუად ძრწოლით ჰმონებდა ბრძანებასა მეუფისასა. ამისთვისა სიტყვთა მისითა, ოდეს-იგი ღელვოდა, ყო მეყსა შინა დაყუდებად დიდი; და კუალად, პეტრე შეინყნარა რად, მისითავე ბრძანებითა მყარ იქმნა ქუეშე ფერვთა მისთა, ვითარცა ჴმელი ქუეყანად; და კუალად აწ, ესმა რად ბრძანებად მისი, მოსცა თევზი იგი, რომელსა სატირი ეტვრთა.

ხოლო პეტრესიცა საქებელ არს და სანადელ შეუორგულელებელი სარწმუნოებად, ვითარ საქმე ესრეთ ულონოდ ესმა რად, კეთილად ჰრწმენა და სარწმუნოებით ნარვიდა ზღუად მოღებად თევზისა მის. ხოლო ქრისტემან მისისა კეთილად მორწმუნეობისათვს და მორჩილებისა ზიარ-ყო თავსა თვსსა მიცემასა მას შინა ხარკისასა, ვითარცა ეტყვს: „მიეცო ჩემთვის და შენთვის“.

**ს ა ხ ა რ ე ბ ა დ: „მაშინ მოუჭდეს იესუს მონაფენი და ეტყოდეს: ვინ-მე უფროდს იყოს სასუფეველსა ცათასა?“ (18,1).**

თ ა რ გ მ ა ნ ი: კაცობრივი რადმე გულისსიტყუად შეუჭდა მონაფეთა-ცა. ამისთვისა მახარებელი იტყვს: „მაშინ მოუჭდესო“. ესე იგი არს, ოდეს ესოდენი პატივი აჩუენა პეტრეს, ვიდრელა ხარკისა მიცემასა შეიმოყუსა, რეცა კაცობრივი შეემთხვა მათ. რამეთუ ოდეს-იგი სამნი წარიყვანნა თაბორს, არარად ესევეთარი შეემთხვა, ხოლო ოდეს ერთისა მომართ მოინია პატივი, რეცა შეწუნხეს. რამეთუ პირველცა ჰრქუა მას, ვითარმედ: „ნეტარ ხარ შენ, სიმონ, ბარ იონა“;<sup>1</sup> და კუალად: „მიგცნე შენ კლიტენი სასუფეველისანი“;<sup>2</sup> და კუალად აქა: „მიეცო ჩემთვის და შენთვის“. ამის ყოვლისათვს მოუჭდა მათ გულისსიტყუად კაცობრივი.

ხოლო ჰრცხუენოდა თქუმად, თუ: რადსათვს პეტრეს უფროდს ჩუენ ყოველთასა პატივ-სცემ? არამედ ესრეთ ჰკითხეს: „ვინ-მე უფროდს იყოსო სასუფეველსა ცათასა?“ ჰხედავა, ვითარ ნაკლულევეანებაცა მათი სავსე იყო კეთილითა? რამეთუ არარად თქუეს, არცა გამოიძიეს ამის სანუთროდსათვს, არამედ სასუფეველისათვს ცათადსა. ხოლო ამისა შემდგომად ესეცა გულისსიტყუად აღმოიგდეს და ყოველსავე ზედა ურთიერთას პატივ-სცემდეს.

ხოლო ჩუენ ვერცა თუ ნაკლულევეანებასა მათსა მივსწუთებთ, არცა ვეძიებთ, თუ ვინ-მე იყოს უფროდს სასუფეველსა ცათასა, არამედ თუ ვინ უფროდს არს საშუებელსა ამას შინა და დიდებასა ქუეყანისასა, ცუდსა ამას და წარმავალსა, ვინ უმდიდრეს არს, ვინ უძლიერეს არს, ყოველსავე ჴორციელსა და კაცობრივსა გამოვეძიებთ და სულიერსა არარას. ხოლო იგინი სასუფეველისათვს ცათადსა ეძიებდეს.

ხოლო ქრისტემან გამოაცხადა გონებად მათი და მისცა პასუხი არა სიტყვსაებრ მათისა, არამედ გულისზრახვისა.

**ს ა ხ ა რ ე ბ ა დ: „და მოუწოდა იესუ ყრმასა და დაადგინა შორის მათსა და თქუა: ამენ გეტყვ თქუენ: უკუეთუ არა მოიქცეთ და იქმნეთ, ვითარცა**

<sup>1</sup> მათ. 16,17.

<sup>2</sup> მათ. 16,19.



**ყრმაჲ ესე, ვერ შეხვდეთ სასუფეველსა ცათასა. რამეთუ რომელმან დაიმდაბლოს თავი თვისი, ვითარცა ყრმაჲ ესე, იგი უფროჲს იყოს სასუფეველსა ცათასა“ (18,2-4).**

თარგმანი: ესრეთ ეტყჳს უფალი მონაფეთა: თქუენ გამოეძიებთო, თუ ვინ-მე უფროჲს იყოს, და უზეშთაობისათჳს იცილობით, ხოლო მე გეტყჳ, ვითარმედ: რომელი არა ყოველთა უმდაბლეს იყოს, ყოვლადვე შესლვადცა სასუფეველსა არა ღირს არს. ამის უკუე ჯერისათჳს კეთილად წარმოადგინა სახედ ყრმაჲ იგი ჩჩკლი და კეთილისა გონებისა უფალი და ყოველთავე ვნებათაგან განშორებული და ეტყჳს, ვითარმედ: რომელსა სურის სასუფეველისათჳს ცათაჲსა, ესრეთ იყავნ, ვითარცა ყრმაჲ ესე, სავსე სიმდაბლითა და სინწოფობითა, სიმშკდითა და უმანკოებითა, განწმედილი შურისაგან და ზუაობისა, უცხოჲ გულისთქუმათაგან ბოროტთა და ყოვლისავე მანკიერებისაგან. რამეთუ არა სიმჴნე ხოლო საჴმარ არს და სიბრძნე, არამედ სიმდაბლეცა და უმანკოებაჲ, და რომელსა არა აქუნდენ ესე სათნოებანი, დიდად ნაკლულეჲს არს იგი საქმეთაგან ცხორებისათა.

კეთილად უკუე წარმოადგინა ყრმაჲ იგი ჩჩკლი და უმანკოჲ სახედ სათნოებისა, რამეთუ ესევეთარი ყრმაჲ გინა თუ იგინოს ვისგანმე, გინა თუ შეურაცხ იქმნას, გინა თუ პატივ-ეცეს და იქოს და იდიდოს, არცა პირველისა მისთჳს განრისხნების და აღივსების შურითა, არცა მეორისა ამისთჳს აღზუავენების და ამაღლდების, არცა სხუანი იგი ვნებანი ჰმძლავრობენ.

ჰხედავა, ვითარ ბუნებითა მათ სათნოებათა მიმართ მიწოდს ჩუენ და გკჩუენებს, ვითარმედ საქმენი ესე კეთილნი ბუნებით არიან ჩუენ თანა, და არა უცხოჲ არს, არცა ძნელ ბუნებითისა საქმისა წარმართებაჲ, უკუეთუ გუენებოს.

ამისთჳსცა ყრმაჲ იგი უმანკოჲ სახედ წარმოადგინა და ეტყჳს: იხილეთ ყრმაჲ ესე, ვითარ თავისუფალ არს დიდებისმოყუარებისაგან, გემოთმოყუარებისაგან და ვეცხლისმოყუარებისა, რომელ-ესე ძირნი არიან და მშობელნი ყოველთა ვნებათანი. არა იპოების ამას თანა შური, არცა ზაკუვაჲ, არცა ცილობაჲ, არცა მრისხანებაჲ, არცა ტრფიალებაჲ ბოროტი, არცა სხუაჲ რაჲმე ვნებათაგანი წარმწყმედელთა სულისათა; უფროჲსად აქუს ფრიადი სიმდაბლე, სიმშკდე, უმანკოებაჲ, უზრუნველობაჲ, მშკდობაჲ, სიხარული, სახიერებაჲ, სინმიდე, და ამათ ესევეთართა სათნოებათა ზედა არავე ზუაობს, რომელ-ესე უმეტესისა და უაღრესისა სათნოებისა სახე არს, ესრეთ დიდთა სათნოებათა ქონებაჲ და მათ ზედა არა ზუაობაჲ.

ჰხედავათა, ვითარ ბუნებით არიან კაცთა თანა სათნოებანი? რამეთუ უკუეთუმცა არა ბუნებით იყვნეს, ვითარ ესე ყოველი არს ყრმასა ამას თანა? ან უკუე რაჲ სიძნელე არს, ანუ რაჲ შეუძლებელ მოგებაჲ, რაჲ-იგი ბუნებით არს კაცსა თანა?

ნანდვლვე უკუე ბუნებით არიან ჩუენ თანა სათნოებანი, ძმანო, ხოლო ვნებანი გარეგან ბუნებისა, ვითარცა ან გამოჩნდა იგავისა ამისგან ყრმისა მის უბინოდასა. ამისთვისცა, ჩჩკლ რად არნ ყრმად, ყოველნი ესე კეთილნი იპოვნინან მის თანა, ხოლო მოინიის რად სიორძილე გუამისა, და თკსი მფლობელობისა იგი ნებად განძლიერდის და მიეცის მას ჴელმწიფებად ნეფსით თკსით დამარხვად ბუნებითთა მათ სათნოებათა, მიერიტგან მის ზედა არს, გინა თუ ინებოს ბუნებითისა მის დამარხვად, გინა თუ ბუნებისა გარეგანისა მის შენყნარებად, რომელ არიან ვნებანი.

ვერ ჴელ-ენიფების უკუე კაცსა თქუმად, თუ: უცხო არიან ჩემგან სათნოებანი, და ძალისა უმეტეს არს მათი წარმართებად, რამეთუ წინააღუდეგების ბუნებად და ამხილებს ტყუილსა მისსა და შესწამებს, ვითარმედ ბუნებით არიან მის თანა კეთილნი საქმენი. ამისთვისცა, შემო-რად-ვიდა სოფლად, მეყსეულად მიეცნეს მას ღმრთისა მიერ კეთილნი იგი, ხოლო უკუეთუ მან ნეფსით წარწყმიდნა და შემოილო თავსა შორის თკსსა უცხოთა ვნებათა სიყუარული და ჩუეულება და ყვნა ბუნებისა გარეგანნი იგი შინაგან და ბუნებითნი უარ-ყვნა, არავისი არს ცთომად, გარნა მისი.

ამის ესევიტარისა პირისა გამოცხადებად ენება უფალსა ჩუენსა იესუ ქრისტეს; ამისთვის კეთილი იგი და ჩჩკლი ყრმად წარმოადგინა. და უმეტესად დაამტკიცებს სწავლასა ამას და იტყვს:

**ს ა ხ ა რ ე ბ ა დ: „და რომელმან შეიწყნაროს ყრმად ესევიტარი სახელითა ჩემითა, მე შემიწყნაროს“ (18,5).**

თ ა რ გ მ ა ნ ი: არა ხოლო თუ თქუენ ესევიტარნი იყვნეთო, შეხვდეთ სასუფეველსა, არამედ უკუეთუ სხუანიცა ესევიტარისა ამის სათნოებისა მოლუანენი შეიწყნარნეთ სახელისა ჩემისათკს და სიყუარულისათკს კეთილთა საქმეთადასა, ღირს იქმნეთ სამკვდრებელსა მას სასუფეველისასა. რამეთუ რომელმან ესევიტარი ღმრთისმსახურებისა მუშაკი შეიწყნაროს, მე შემიწყნარებს, რამეთუ ესოდენ სათნო არიან ჩემდა მდაბალნი და უმანკონი, ვიდრელა შეწყნარებასა მათსა ჩემდა შეწყნარებად შევჰრაცხავ.

რამეთუ ყრმად აქა ყოველთავე იტყვს, რომელნი სიმდაბლითა და სინწოებითა და უმანკოებითა და სინმიდითა ყრმათა უბინოთა მიმსგავსებულ იყვნენ და მრავალთაგან დაწუნებულ და შეურაცხად ჩნდენ. ამისთვისცა სიტყუასა ამას უმეტესად დაამტკიცებს არა პატივისა ამისგან ხოლო ზემოწერილისა, არამედ სატანჯველისა მისგანცა, რომელსა შემდგომად იტყვს:

**ს ა ხ ა რ ე ბ ა დ: „და რომელმან დააბრკოლოს ერთი მცირეთა ამათგანი, უმჯობეს არს მისა, დამო-თუ-იკიდოს წისქკლი ვირით საფქველი ქედსა და დაინთქას იგი უფსკრულსა ზღკსასა“ (18,6).**

თ ა რ გ მ ა ნ ი: ესრეთ ბრძანებს მეუფე და უფალი ჩუენი იესუ ქრისტე, ვითარმედ: რომელმან შეიწყნარნეს მდაბალი და უმანკონი და მუშაკნი სათ-

ნოებისანი პატივით და ღმობიერად და არა მიხედნეს ჯორციელსა შეურაცხებასა მათსა და სიმცირესა, არამედ სახელისა ჩემისათჳს პატივ-სცეს მათ, ღირს არს იგი სასუფეველსა ცათასა, რამეთუ ესევეთარი იგი მე შემინყნარებს, რომელ-ესე უმეტესი პატივი არს, ვიდრელა შესლვაჲ სასუფეველსა.

ეგრეთვე კუალად, რომელი შეურაცხ-ჰყოფდეს ესევეთართა მათ ღმრთისმოყუარეთა კაცთა (რამეთუ ამას უწოდა დაბრკოლებად), ეგევეთარი იგი ბოროტისა სატანჯველისა ღირს არს; ამისთვისა სოფლისა საქმეთაგან მოილო უფალმან სახე ხილული: დამოკიდებაჲ წისქლისაჲ და დანთქმაჲ ზღუასა შინა.

რამეთუ შეწყობილებაჲ სიტყუსაჲ ესრეთ იყო, რადთამცა ეთქუა: რომელმან არა შეინყნაროს ერთი მცირეთა ამათგანი, მე არა შემინყნარებს, რომელ-ესე ყოვლისავე სატანჯველისა უმწარეს იყო; გარნა ვინადთგან უგულსწმოთა და ფრიად ზრქელთა გონებითა ესე ვერ შეაგონებდა, ამისთვის წისქლი თქუა და ზღუასა დანთქმაჲ. არა თუ ეგრეთ თქუა, თუ: წისქლი დამოკიდებაჲ არს ქედსა მისსა და დანთქმად არს ზღუასა, არამედ: „უმჯობეს არსო მისა, დამო-თუ-იკიდოს წისქლი და დაინთქას უფსკრულსა ზღუსასა“. ამით გამოაჩინებს, ვითარმედ უძკრესი ამისა მიელის სატანჯველი ესევეთარსა მას.

იხილეთ, ვითარ ორკერძოვე საშინელად გამოაჩინა საქმე ესე? სახითა ამით ხილულითა ცხად-ყო სიტყუად თჳსი და საცნაურად განაჩინა, ვითარმედ ფრიად უძკრეს არს განმზადებული იგი ესევეთართათჳს საშველი სახესა ამას ხილულსა. იხილეთ, ვითარ ძირითურთ აღმოფხურა ამპარტავანებაჲ, ვითარ განკურნა სენი იგი ზუაობისაჲ, ვითარ გუასწავა არა ძიებაჲ პატივისა და უხუცესობისაჲ, არამედ ყოვლადვე სიმდაბლისა ძიებაჲ და უდარეს ყოველთასა შერაცხვაჲ თავთა თჳსთაჲ?

## **სწავლად 56** **ამპარტავანებისათჳს**

და ნანდკლვე არარად არს უძკრეს ამპარტავანებისა. ესე წარსწყმედს სრულიად ცნობასა კაცისასა და უგუნურთა უგუნურესად გამოაჩინებს. და ვითარცა-რად კაცი სამწყრთეული ჰგონებდეს თავსა თჳსსა უმაღლეს მთათა და აღიპყრობდეს ჴელსა, რადთამცა უზეშთავს მთისა მაღლისა გამოაჩინა, არარას სხუასა სახესა უგუნურებისა მისისასა ვეძიებთ, ეგრეთვე, ოდეს იხილო კაცი ზუავი და ამპარტავანი, რომელი ჰგონებდეს თავსა თჳსსა ყოველთა უაღრეს და შეურაცხებაჲ უჩნდეს სხუათა სწორებაჲ, ნუღარას ეძიებ სხუასა სამხილებელსა და სასწაულსა უგუნურებისა მისისასა. ესევეთარი იგი ფრიად უსაკიცხლეს არს ცოფთა და ნავლლიანთასა, რამეთუ ამისი სიცოფე ნეფსით არს, ხოლო მათი – უნებელად.

ესევეთარმან მან ქმნის თუ ცოდვად, ვერარაფე შეიგონის, რამეთუ ვითარცა ტყუე მიმოუტაცის იგი ეშმაკსა და თუალნი გონებისა მისისანი დაუბნელებიან; ყოველთავე ზედა მალლოინ, იქადინ ჯორციელთა და ცუდთა საქმეთათჳს, დიდებისათჳს წარმავალისა, გინა სიმდიდრისა, გინა თუ ძლიერებისა, ანუ თუ დიდებულთა შვილებისა.

კაცო, რადსათჳს ჰზუაობ და იქადი ესევეთართა ამათ საქმეთა ზედა? ესე ყოველი „ამაოებად არს ამაოებისად, ყოველივე ამაო“,<sup>1</sup> იტყჳს წერილი. რად არს დიდებულთა შვილებად? არარად არს, გარნა სახელი ხოლო, საქმეთაგან ცარიელი, და ესე სიტყუად კეთილად და განცხადებულად სცნა დღესა მას სიკუდილისასა.

ხოლო გნებავს თუ, აქავე გულისჴმა-ყავ, რამეთუ არცა ერთი რად არს ამის საქმისაგან უმეტესობად. ამისთჳსცა ყოველნივე განსაცდელნი სოფლიონი მო-თუ-ინინენ, გინა თუ ბრძოლად, გინა თუ ძრვად, გინა თუ სნებად, ანუ თუ სიკუდილი, სწორებით მოვლენ მდიდართა ზედა და გლახაკთა. და ვითარცა-იგი გლახაკსა არა ჰრიდებენ, ეგრეთვე არცა მდიდარსა და დიდებულთა შვილსა.

და ამასცა ვიტყჳ, ვითარმედ: უმეტესადლა მდიდართა ზედა მოინევიან განსაცდელნი და მწუხარებანი, ვიდრელა გლახაკთა. მდიდართა ზედა არიან შიშნი მეფეთანი, მთავართა და ჴელმწიფეთა უზეშთაესთანი; არა მრავალნი ტაძარნი მდიდართანი და სახლნი შუენიერად გამოქანდაკებულნი დაირღუნესა ბრძანებითა მეფეთათა, გინა თუ განდგომილებითა ერისათა? და ყოველი სიმდიდრე მათი იავარ-იქმნა. ხოლო გლახაკი ამის ყოვლისაგან თავისუფალ არს.

ან უკუე, კაცო, რადსათჳს ჰზუაობ სიმდიდრესა ზედა და დიდებულთა შვილებასა? რად ჰმალლო მთავრობასა ზედა და აზნაურებასა? მიჩუენე სულისა მთავრობად და აზნაურებად, ვითარი აქუნდა მას, რომელი ჴორციელად გლახაკ იყო და უპოარ, ხოლო მეფენი ძრწოდეს მისგან; რომელი კადნიერებით ეტყოდა ჴეროდეს: „არა ჯერ-არს შენდა ქორწინებად ცოლი ფილიპეს, ძმისა შენისა“.<sup>2</sup>

და კუალად, ვითარ იყო პირველ მისა მოსილი იგი ხალენითა, რომლისაგან იმალვოდა აქაბ მეფე; ვითარ იყვნეს მოციქულნი და წინაძსწარმეტყუელნი. უკუეთუ გაქუს ესევეთარი სულიერი აზნაურებად, მაშინლა ნუვე ჰზუაობ, რამეთუ „საძაგელ არს წინაშე უფლისა ყოველი მალალი გულითა“;<sup>3</sup> ხოლო უფროდსად ამაოთა ამათ და წარმავალთა საქმეთათჳს ზუაობად დიდი უგუწურებად არს. რამეთუ სულნი მდიდართა და დიდებულთა ქუეყანისათა უმრავლესნი ვერაგობისაგან თჳსისა და ცოდვისმოყუარებისა ფრიად შორს არიან ჴემმარტისა მის აზნაურებისაგან, და უფროდსლა, მონა არიან არა ხოლო თუ ცოდვისა, არამედ ყოველთა კაცთაცა. რამეთუ არა-

<sup>1</sup> ეკლ. 1,2.

<sup>2</sup> მათ. 14,4.

<sup>3</sup> იგავ. 16,5.

რად ესრეთ დაჰქსნის აზნაურებასა მას სოფლისასა, ვითარ შემსჭუალვად გონებისად საქმეთა სოფლისათა და დიდებასა კაცობრისა.

ესე ჰყოფს სულსა მონა არა თუ ერთისა კაცისა ანუ ერთისა ვნებისა, არამედ ბევრეულთა კაცთა და უმრავლესთა ვნებათა. და უძკრესი ესე არს, რამეთუ რომელთაცა იგი ჰმონებნ, მტერვე მისა იყვნინან და შურითა შეინუებოდინან მისა მიმართ. უბადრუკი იგი ჰმონებნ, ვითარცა უფალთა, და ეშინინ, ვითარცა მბრძოლთაგან, და იგინი ებრძოდინან, ვითარცა მტერნი. ესრეთ არიან საქმენი ცუდისა მის და ამოღსა დიდებისა და ტრფიალთა მისთანი.

ხოლო სულიერთა და ღმრთისმოყუარეთა კაცთა მოქალაქობად არა ესრეთ არს, არამედ ერთსა თუ ევნებინ, სხუათა მის თანა ელმინ, უკუეთუ უხარინ, მის თანა მხიარულ იყვნინან; ვითარცა იტყვს მოციქული: „უკუეთუ ევნებინ რად ერთსა ასოსა, მის თანა ელმინ ყოველთა ასოთა; და თუ იდიდებინ ერთი ასოჲ, მის თანა იდიდებიდ ყოველნი ასონი“.<sup>1</sup> და კუალად იტყვს: „ვინ უძღურ არნ, და მე არა უძღურ ვიყვი? ვინ დაჰბრკოლდებინ, და მე არა ვჯურვიდი?“<sup>2</sup> ესრეთ არს საქმე ღმრთისმოყუარეთად.

ან უკუე, ძმანო, რაჲსათჳს ღელვათა შინა დავინთქმით და არა მივისწრაფით ნავთსაყუდელსა მას მყუდროსა, რომელ არს სათნოებაჲ? რაჲსათჳს არა დაუტეობთ სახელსა კეთილისასა და საქმესა შევიტკობთ? რამეთუ დიდებაჲ და ძლიერებაჲ და სიმდიდრე და ყოველივე ესევეთარი სოფლისა ამის სანუთროჲსა საცთურთა შინა სახელით ხოლო წოდებულ არს, ხოლო საქმეთაგან ცარიელ არს, გარნა ღმრთისმოყუარეთა შორის საქმით არს ესე ყოველი. მათ აქუს ჭემმარიტი სიმდიდრე, მათ აქუს ჭემმარიტი ძლიერებაჲ, ჭემმარიტი დიდებაჲ, და სხუად ყოველივე კეთილი მათ შორის მტკიცე არს და შეურყეველ, სამარადისო და წარუვალ.

ხოლო ვინადთგან ესე ესრეთ არს, მოვიგოთ, ძმანო, ჭემმარიტი იგი აზნაურებაჲ და ბოროტისა მისგან მონებისა განვათავისუფლნეთ თავნი ჩუენნი; და ნუმცა სანადელ გჳჩნს ზუაობად მთავრობისად, ნუცა მძლავრობად სიმდიდრისად, ნუცა სხუად რად ესევეთარი, არამედ შიში ღმრთისად და სათნოებაჲ იყავნ ჩუენდა სასურველ. მოვიძულოთ ზუაობად და ამპარტავანებაჲ, შევიყუაროთ სიმდაბლე და სიმშვე და უმანკობად, რადთა ამასცა სოფელსა სათნოდ ღმრთისა ვცხონდებოდით და საუკუნეთა მათ კეთილთა მკვდრ-ყოფად ღირს ვიქმნეთ მადლითა და კაცთმოყუარებითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რომლისად არს დიდებაჲ და სიმტკიცე თანა მამით და სულით წმიდითურთ ან და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

ლორჯა-ყავთ მამისა იოვანესოჳს და მამისა ეფთჳმესოჳს.

<sup>1</sup> 1 კორ. 12,26.      <sup>2</sup> 2 კორ. 11,29.

## თავი 60

სიტყუად ესე: „ვად სოფელსა საცთურთა მათგან, რამეთუ უნებლიადცა მომავალ არიან საცთურნი; ხოლო ვად მის კაცისა, რომლისაგან მოვიდენ საცთურნი“ (18,7).

თქუას ვინმე წინააღმდეგომთაგანმან, ვითარმედ: უკუეთუ უნებლიადცა მომავალ არიან საცთურნი, რადსათვს აბრალებს სოფელსა და ვაებასა მისცემს? ჯერ-იყო შენევნად და ჳელის-აპყრობად, ესე არს საქმე მკურნალისა სახიერისად და ჳელისამპყრობელისა ძლიერისად, ხოლო ბრალობად ოდენ ყოველსავე ძალ-უც.

რად-მე უკუე ვთქუათ ესევეითართა მათ ურცხვნოთა ენათა მიმართ? რასა ეძიებ, კაცო უგულისჳმოო, ამისა უმეტესსა კურნებასა და შენევნასა? ღმერთი კაც იქმნა ჩუენთვის, ხატი მონებისად მიიღო, ჯუარ-ცუმადა და სიკუდილი თავს-იდვა და არარად დააკლო, რადცა მისგან ჯერ-იყო ქმნად. ხოლო ვინადგან ყოველივე იგი ქმნა, და უგულისჳმოთა და უმადლოთა არა ინებეს სარგებელი, ამისთვის ვაებასა მისცემს მათ, რამეთუ ესოდენსა მას და ესევეითარსა კურნებასა ზედა დაადგრეს იგინი სენსა მას შინა ბოროტსა, ვითარცა-იგი უკუეთუ ვინმე მკურნალმან ჳელოანმან ჳელ-ყვის კურნებად უძღურისა ვისმე, და მან არა ინების მორჩილებად მცნებათა მისთა, არამედ თვსსა მას სენსა შინა დაადგრის. და იტყოდამცა ვინმე ესევეითარისა მისთვის, ვითარმედ: ვად კაცსა მას სენისა მისგან, რომელი თვსითა დაჳსნილობითა და ვერაგობითა აღაორძინა თავსა ზედა თვსსა. გარნა ჳორციელსა მას სნეულებასა ზედა ბრალობად იგი არად სარგებელ არს, ხოლო აქა ბრალობადცა ესე სახე არს კურნებისად, თქუმადა წინააღმდეგომთაგან და ყუედრებად უდებებისად.

რამეთუ მრავალთა სწავლისაგან არა ერგო მრავალგზის, ხოლო ბრალობისა და ყუედრებისაგან შეიგონეს და გულისჳმის-ყოფად მოვიდეს. ამისთვისცა ვაებად მისცა, რადთა შეაშინნეს იგინი და განაღჳნეს ძილისა მისგან უდებებისა.

და სახიერებასაცა თვსსა განაცხადებს და უჩუენებს, თუ ვითარ წინააღმდეგომთა მათ თვსთათვს ზრუნავს და ისწრაფის ყუედრებითა მით და მგლოართა სიტყუთა და მომავალთა საქმეთა უწყებითა მოქცევადა მათდა უკეთურებისა გზათაგან.

კუალად უკუე ცუდადმეტყუელი იგი იტყვს: ვითარი არსო სიტყუად ესე, უკუეთუ უნებლიეთცა მომავალ არიან საცთურნი, ვითარ შესაძლებელ არს მათგან განრომად? ისმინე, უგუწურო, ამისიცა განმარტებად ქემარტი.

საცთურნი იგი უნებლიეთცა მომავალ არიან, ხოლო წარწყმედად საცთურთა მათ შინა არავის ზედა არს უნებლიეთ. ვითარცა-იგი მკურნალმან

ვინმე თქუამცა, თუ: ესე რამე სენი ამას წელიწადსა ყოფად არს უნებლიეთცა, ხოლო რომელნიცა ესრეთ რამე განეკრძალნენ მათ ზედა, არა ჳელ-ენიფების სენსა მას უნებლიეთ მოწვევად. რამეთუ ქრისტემან ესე წინადასწარ მიუთხრა მოწაფეთა, რაათა არა ჳგონებდენ, თუ ადვილთა და უჭირველთა საქმეთა მიმართ მიივლინებინ. ამისთვის აუწყებს, ვითარმედ მრავალნი აღუდგებიან მბრძოლნი და წინააღმდეგომნი, ვითარცა სხუასა ადგილსა იტყვს, ვითარმედ: „მტერ იყვნენ კაცისა სახლეულნი თვისნი“;<sup>1</sup> და მოციქული ღალადებს: „ჭირნი მდინარეთანი, ჭირნი ავაზაკთანი, ჭირნი ნათესავთაგან, ჭირნი წარმართთაგან, ჭირნი ქალაქთა შინა, ჭირნი უდაბნოთა ზედა, ჭირნი ზღუათა შინა, ჭირნი ძმათამტყუართაგან“;<sup>2</sup> და მელიტონს შინა ეტყოდა ხუცესთა ეფესოვსათა, ვითარმედ: „მოვიდენ თქუენდა შემდგომად განსლვისა ჩემისა მგელნი ბოროტნი, რომელნი არა ერიდებოდინ სამწყსოსა; და თქუენგანნი აღდგენ კაცნი, რომელნი იტყოდინ გულარძნილსა“.<sup>3</sup>

ამას ესევითარსა ყოველსა წინადასწარ აუწყებდა უფალი სიტყუათა ამათ მიერ. ხოლო ოდეს გესმეს, თუ: „უნებლიადცა მომავალ არიან საცთურნი“, ნუ ჳგონებ, თუ დაწსნასა მოასწავებს თვთმფლობელობისასა, არცა აზნაურებასა მას განაქარვებს გონებისასა, არცა იძულებით მორჩილებასა ჩუენსა საცთურთა მიმართ გამოაჩინებს. ნუ იყოფინ! არამედ უეჭუელად ყოფადსა მას წინადასწარ გუაუწყებს, ვითარმცა იტყოდა, ვითარმედ: თვნიერ ყოვლისა ცილობისა მომავალ არიან საცთურნი; რომელ-იგი ლუკა სხვთა სიტყვთა აღწერა: „შეუგვანებელ არსო საცთურისა არამოსლვად“.<sup>4</sup>

ხოლო რომელნი არიან საცთურნი იგი, რომელთა იტყვს მოსლვად? ყოველნივე წინააღმდეგომნი და დამაყენებელნი მართლისა მის გზისანი. ხოლო არა თუ წინადასწარ თქუმად მისი მოიყვანებს საცთურთა. ნუ იყოფინ! არცა მისისა მის წინადასწარ თქუმისათს მოვლენ, არამედ რომელი იგი უეჭუელად მომავალ იყვნეს საცთურნი, ამისთვის თავადმან წინადასწარ თქუა. ხოლო უკუეთუმცა არა ენება მომღებელთა მათ საცთურისათა უკეთურებად, არამცა მოვიდეს საცთურნი, და უკუეთუმცა არა ეგულებოდა მოსლვად, არცამცა უფალსა წინადასწარ ეთქუა. ვინაფთგან უკუე მომყვანებელნი იგი საცთურთანი უკურნებელითა სენითა შეპყრობილ იქმნეს და ბოროტი შეიყუარეს, მომავალ იყვნეს მათ მიერ საცთურნი იგი, ამისთვისცა წინადასწარ იტყვს უფალი ყოფადსა მას.

უკუეთუმცა ეგულებოდა უკეთურთა მათ მოქცევად და საცთურთა არაშემოღებად, არცამცა ეთქუა ესე უფალსა, თუ: „უნებლიედცა მომავალ არიან საცთურნი“; არამედ იცოდა უკურნებელი უკეთურებად მათი, ამისთვის თქუა, თუ: „მომავალ არიან“.

<sup>1</sup> მათ. 10,36.

<sup>2</sup> 2 კორ. 11,26.

<sup>3</sup> საქმე 20, 29-30.

<sup>4</sup> ლუკ. 17,1.

ხოლო საცნაურ არს საცთურისა შემომღებელთა მათ საქმეცა და სახელებიცა მრავალთაჲ, რომელნი-იგი ქადაგებასა მოციქულთასა და მართალსა მას და უბინოსა სარწმუნოებასა წინააღუდგეს და ბოროტნი სწავლანი და სულისა წარმწყმედელნი სოფლად შემოიხუნეს.

და კუალად ამას ზედა მეტყვან ზემოთქუმულნი იგი უგუნურნი, ვითარმედ: ესევეითართა საცთურთა შემომღებელნი რად არა მოსწყდნა ღმერთმან, რადათამცა ვერ ჳელ-ენიფა მოპოვნებად საცთურთა და ვნებად სულთა მრავალთა? ხოლო მე ვიტყვ, ვითარმედ: რად უჳმდა მათ მონყუედაჲ? არა თუ ჳელ-ენიფებოდა უნებლიად ვისამე გონებისა გარდაქცევად, არამედ რომელთაცა ევნო, თვისისა დაჳსნილებისაგან ევნო. და ამას გამოაჩინებენ ღმრთისმოყუარენი, რომელთა არარაჲ ევნო საცთურთაგან, არამედ უფროჲსად დიდად სარგებელ ეყო. იხილე იობ, იხილე იოსებ, იხილენ ყოველნი მართალნი, იხილენ წმიდანი მოციქულნი და მონამენი, ვითარ მონეწულთა მათ საცთურთაგან დიდი სარგებელი შეიძინეს. საცნაურ არს უკუე, ვითარმედ რომელნიცა წარწყმდეს, თვისისა უდებებისა და დაჳსნილობისაგან წარწყმდეს.

ხოლო უკუეთუმცა საცთურთაგან იყო წარწყმედაჲ და არა უდებებისაგან, ყოველნიცა წარწყმედილ იყვნეს. ვინათგან უკუე მრავალნი არა ხოლო თუ განერნეს საცთურთაგან, არამედ დიდადცა სარგებელ ეყო, წარწყმედილნი იგი თავთა თვსთა აბრალებენმცა და ნუ სხუასა რას.

რამეთუ საცთურნი, ვითარცა ვთქუ, მოსწრაფეთა და ღმრთისმოყუარეთა უფროჲსად განაფრთხოვენ და გონებათა მათთა აღჳლესვენ კრძალულებად, და რომელთაცა გუენებოს, დიდი სარგებელი ვპოოთ ბრძოლათაგან და განსაცდელთა.

გულისჳმა-ყავთ უკუე და იხილეთ: უკუეთუ ან ვხედავთ, ვითარმედ ბრძოლანი განწყობილ არიან ჩუენ ზედა ეშმაკისაგან, და ესოდენნი განსაცდელნი გარემოდგომილ არიან, და ეგრეთცა უდებებასა შინა ვართ და ძილსა და შუებასა, უკუეთუმცა ყოვლადვე არა იყვნეს ბრძოლანი და განსაცდელნი, ვითარმცა ვიქცეოდეთ, რაბამითა უნესოებითა.

და გნებაჲს თუ, პირველი კაცი გულისჳმა-ყავთ, ვითარ მცირედი ჟამი დაყო სამოთხესა შინა საშუებლისასა, და ესოდენსა უნესოებასა მიიწია, ვიდრელა სწორ-ყოფად ღმრთისა ეუცნებოდა ზრახვასა შინა გულისა თვისასა, და ერთი მცნებაჲ ვერ დაიცვა. უკუეთუმცა უმრავლესირე ჟამი დაეყო შუებასა მას შინა, რამცა არა ექმნა?

გარნა ამას რად ვიტყოდით, კუალად სხუასა სიტყუასა წინამყოფენ უგულისჳმონი: რასათვს ღმერთმან ესევეითარი შექმნაო კაცი იგი? ხოლო მე ვიტყვ, ვითარმედ: არა თუ ღმერთმან ესევეითარი შექმნა იგი. ნუ იყოფინ! არამედ უფროჲსად ყოვლითა კეთილითა შეამყო. უკუეთუმცა მას ესევეითარი შეექმნა იგი, არამცა დაესაჯა. რამეთუ ჩუენცა რომლისა რამე საქმისა მიზეზ ვიყვნეთ, მას ზედა მონათა ჩუენთა არა ვაბრალებთ. რავ-



დენ უფროხად ღმერთმანცა ყო ესე. გარნა კაცი იგი თვისისა უღებებისა და დაწსნილებისაგან იქმნა ესრეთ.

რამეთუ ყოველი ბოროტისმოქმედი თავით თვსით არს ბოროტისმოქმედ წესითა მით თვთმფლობელობისადათა, რომელი მისცა პირველითგან ღმერთმან კაცსა, რაათა თვთმფლობელად და ნეფსით გამოირჩიოს კეთილი და არა იძულებით, რაათა აქუნდეს სასყიდელი მასცა ნეფსით თვსით გამორჩევისათვს კეთილთადასა.

მიილო მან ნიჭი იგი თვთმფლობელობისადა და არა კეთილსა ზედა იწმარა, არამედ ბოროტსა, და იგი გამოირჩია ნეფსით.

ხოლო ვინაფთგან ნიჭნი ღმრთისანი შეუნანებელ და დაუწსნელ არიან, შეუგვანებელ იყო, რომელი-იგი ერთგზის თვთმფლობელად დაჰბადა, რაათამცა მისისა მის ვერაგობისათვს თვსი იგი ნიჭი დაჰწსნა. ვინაფთგან უკუე ესე არა ჯერ-იყო, ამისთვს განანესა, რაათა თვთმფლობელობისა წესითა მიქცეული იგი ბოროტისა მიმართ თვთმფლობელობისავე წესითა ნეფსით მოიქცეს ცხორებად.

ამისთვს შჯული მოსცა და წინაფსწარმეტყუელნი მოავლინნა; უკუანაფსკნელ ჯერ-იჩინა წყალობითა მით გამოუთქუმელითა განკაცებად, რაათა წარწყმედულნი ესე მომიძინეს, და ყოვლით კერძო გუასწავა და გვჩუენა გზად ცხორებისადა. რომელნიცა უკუე შეუდგენ ბრძანებათა მისთა, ღირს იქმნებიან ნეტარებასა მას საუკუნოსა.

ხოლო რომელნი ნეფსით მოყუარე ბოროტისა იქმნენ, იგინი თავით თვსით არიან ბოროტ, და არავისი არს ბრალი მათისა მის უკეთურებისათვს და მათისა წარწყმედისა. და ამასცა სოფელსა შინა ჩანს, ვითარმედ უკეთურნი თავით თვსით არიან უკეთურ. რამეთუ უკუეთუ არა ესრეთ არს, რაფსათვს შენ, კაცო, მონასა ანუ ძესა შენსა ჰრისხავ, რაჟამს ბოროტი რაფმე ქმნას? უკუეთუ არანეფსით იქმს ბოროტსა მას, უფროხად თანამზრუნველობად ჯერ-არს და არა შერისხვად. და ეგრეთცა არიან საქმენი. ამისთვს, ოდეს სნეულებად შეემთხვის მონასა და ვერ შემძლებელ არნ მსახურებისა თვისისა აღსრულებად, არა ჰრისხავ, არამედ უფროხად სწყალობ; ხოლო ოდეს მრთელად იყოს და ნეფსით ღირბობდეს და მცონარ იყოს, ჰრისხავ და ჰგუემ. ან უკუე შენ მებრ მონამე ხარ, რამეთუ ერთი იგი მისგან არს და ერთი იგი უნებლიად სჭირს. ეგრეთვე პირველსა მას კაცსა ზედა გულისწმა-ყავ. უკუეთუმცა აგებულებად ბუნებისა მისისადა ბოროტ იყო, არამცა საბრალობელ იყო ცთომისა მისთვს და გარდასლვისა მცნებისაგან. ვინაფთგან უკუე კეთილად დაიბადა კეთილთა მომნიჭებელისა მის მეუფისაგან და ყოველი სათნოებად მიეცა მას, ხოლო მან თვთმფლობელად ბოროტი გამოირჩია, მისისა მის ნებისა იყო ცთომად, ამისთვს სამართლად საბრალობელ იქმნა.

და კუალად ესეცა გულისწმა-ყავ: რად არასადა ვინ აბრალა მონასა თვსსა, თუ რად არა გმირთა სწორი არს ძალითა, თუ რად არა მფრინველ-

თა უმაღლეს არს სრბად? ამისთვის, რამეთუ ბუნებითი არიან საქმენი ესე, და არავინ ეძიებს ბუნებისა უმეტესსა. ხოლო რომელი ნებისად იყოს ცთომად და არა ბუნებისად, მას ზედა აბრალებს უფალი მონასა და მამად შვილსა და მეგობარი მეგობარსა. ეგრეთვე ღმერთი არა გუაბრალებს ჩუენ, თუ რად მოკუდავნი ვართ, რამეთუ ერთგზის დაესაჯა ესე ბუნებასა ჩუენსა ცთომითგან ადამისით, და არა გუაბრალებს ან ამისთვის, არცა გუაბრალებს, თუ რად უძღურებისა შემწყნარებელ არიან ჳორცინი ჩუენნი, არცა თუ რად არა ავმაღლდებით ჳორცითა ზეცად, არცა სხუასა რას ზედა ბუნებითსა ნაკლულევანებასა განგკრისხნების; არამედ ოდეს ნეფსით და თვთმფლობელად ვიქმოდით ბოროტსა რასმე და შევიწყნარებდეთ ვნებათა, რომელთა არაშენყნარებად ჳელ-გუენიფების, მაშინ საბრალობელ ვართ და ღირს ტანჯვისა.

ან უკუე, კაცო, ნუ შემოიღებ გულისსიტყუათა ცუდთა, ნუცა მოიპოვებ სიტყუს-გებათა უუძღურესთა ქსელისა დედაზარდლისასა, არამედ მარტივი სიტყუად მომიგე, რომელსა გკითხავ. არა ყოველნივე კაცნი ღმერთმან დაჰბადნაა? ჰე, ჭეშმარიტად, ყოველნი ღმრთისა დაბადებულნი არიან. ვითარ უკუე ყოველნი არა სწორ არიან სათნოებითა გინა უკეთურებითა? ვინაჲ არიან რომელნიმე სახიერ და კეთილ და რომელნიმე უსახურ და უკეთურ? უკუეთუმცა არა თვთმფლობელისა ნებისაგან იყო ესევეთარი ესე, არამედ ბუნებისაგან, ვითარ რომელნიმე ესრეთ არიან და რომელნიმე ეგრეთ? რამეთუ უკუეთუ ბუნებაჲ იქმს ყოველთა და ნებაჲ არა არს, ანუმცა ყოველნი კეთილ იყვნეს, ანუმცა ყოველნი ბოროტ, რამეთუ ბუნებაჲ კაცთად ერთ არს, და შეუცვალელებლმცა იყო ბუნებითი იგი საქმე.

ხოლო ან ვხედავთ, რომელ არა თუ ოდენ რომელნიმე კეთილ არიან და რომელნიმე ბოროტ, არამედ მრავალნი კეთილ იყვნეს და უკეთურებად მიიქცეს უდებებითა თვსითა; სხუანი ბოროტ იყვნეს და მიიქცეს სიკეთედ მოსწრაფებითა თვსითა.

საცნაურ არს უკუე ამის ყოვლისაგან, ვითარმედ არცა ბოროტი დაბადებულ არს რად ბუნებასა შინა ჩუენსა, არცა კეთილნი იძულებით მოცემულ არიან, ვითარმცა შეცვალეზად არა ეგებოდა; არამედ მოცემულ არს ჩუენდა ყოველივე კეთილი, გარნა ნეფსითითა მით თვთმფლობელობითა მოსაგებელად განნესებულ არს. ვინაჲთგან უკუე ნეფსით გამოვირჩიეთ ბოროტი, ვითარცა წერილ არს, ვითარმედ: „განმრავლდეს უკეთურებანი კაცთანი ქუეყანასა ზედა, და ყოველი განიზრახავს ბოროტსა განკრძალულად ყოველსა დღესა“,<sup>1</sup> და უშრომელად მოცემული იგი სიკეთე წარვწყმიდეთ, მიერთგან რომელთაცა ენებოს კეთილისა მოგებაჲ, შრომად უწყმს მათ და მოსწრაფებაჲ.

იტყუს კუალად წინააღმდეგომი იგი: უკუეთუ ბოროტი არარაჲ დაბადებულ არს ბუნებასა შინა, ვინაჲ არს სიმრავლე ესე ბოროტთაჲ? კუალად, კა-

<sup>1</sup>დაბ. 6,5.

ცო, მაგასვე იტყვა? ან უკუე მე გამოვაჩინებ, ვითარმედ არა ღმრთისაგან არიან, არცა ბუნებისა ჩუენისაგან, არცა თავით თვსით, სიტყვსაებრ უღმრთოთა მანიქველთადასა.

ვინაჲ უკუე არიანო ბოროტნი საქმენი? ეშმაკისაგან და ჩუენთა ამათ ნებათაგან. ხოლო ნებაჲ იგი ვინაჲ არსო? ჩუენგანვე.

რამეთუ შენ ან, კაცო, ესევეითარსა საქმესა იქმ, ვითარმცა მკითხევდ, თუ: ვინაჲ იქმნების ხედვაჲ და არახედვაჲ? და გარქუმცა, ვითარმედ: აღხილვითა თუალთაჲთა იქმნების ხედვაჲ, და დანუხვითა თუალთაჲთა იქმნების არახედვაჲ. და კუალადმცა მკითხე, თუ: დანუხვად თუალთაჲ და აღხილვად ვინაჲ იქმნების? და გარქუმცა, თუ: ნებისა ჩუენისაგან. და კუალადმცა ამისცა სიტყვსა სხუასა მიზეზსა მკითხევდ ცუდადმეტყუელე-ბით. ეგრეთვე წინამდებარე ესე საქმე არს.

ან უკუე გულისწმა-ყავ, ვითარმედ სხუად არარად არს ბოროტი, გარნა ურჩებაჲ ღმრთისაჲ. ხოლო ესე ვინაჲ მოიპოა კაცმან? თვსისა უდებებისა-გან. რამეთუ უფალ იყო მორჩილებისა და ურჩებისა, ხოლო იგი ურჩებასა მიდრკა. და უკუეთუმცა ჯერეთ ვერ გულისწმა-ჰყოფ, უმეტესადცა განგი-მარტო.

რამეთუ განწირულთა მათ და სასონარკუეთილთა და მარადის ცოდ-ვასა შინა მყოფთა, რომელთა არასადა ჰნებავს მოქცევაჲ, მათ არცა ვეტყვ სიტყუათა ამათ სიბრძნისათა, ხოლო მოსურნეთა ღმრთისმეცნიერებისათა ვეტყვ: შთავრდომილ ხარა, კაცო, ცოდვასა და კუალად გიძლევიეს ცოდ-ვისა? რამეთუ ესე მრავალგზის შეგემთხუევის კაცად-კაცადსა: ოდესმე დაითრვი და ოდესმე მძლე ექმნი მთრვალობასა; ოდესმე განჰრისხნი და ოდესმე არა განჰრისხნი; ოდესმე შეურაცხ-ჰყვი გლახაკი და ოდესმე არა შეურაცხ-ჰყვი; ოდესმე ისიძვი და ოდესმე სინმიდე შეიკრძალი. ვინაჲ უკუე იქმნების ესევეითარი? ოდესმე ინები კეთილი და შეიმოსი მოსწრაფებაჲ და ისმინი მცნებაჲ უფლისაჲ; ოდესმე კუალად აღირჩი ბოროტი, დაივსნი და ურჩ ექმნი მცნებასა უფლისასა და შთაჰვარდი ცოდვასა. ვინაჲ არს ესე შეცვალებაჲ? არა თვთმფლობელისა მის ნებისა და განზრახვისა შენისაგან არსა? ჰე, ჭეშმარიტად ესრეთ არს, და არა არს ამას შინა ცილობაჲ, ვერცა ვის ძალ-უც წინააღდგომად.

ან უკუე გვედრები, საყუარელო, შეიკრძალე სათნობაჲ, თვსი იგი შე-ნი და ბუნებითი საქმე, და ნუ ეძიებ, თუ ვინაჲ არიან ბოროტნი საქმენი, არამედ უწყოდე, ვითარმედ დაწსნილებისა ჩუენისაგან და ბოროტისა მის ნებისაგან იქმნებიან. ამის გამო ცან, რამეთუ წელმწიფებაჲ გაქუს, უკუეთუ გენებოს, სივლტოლად ბოროტისაგან. ამისთვსცა, რომელი არა ივლტო-დის, საბრალობელ არს ღმრთისაგან და კაცთაგან ღმრთისმოყუარეთა და ბოროტისმოძულეთა. რამეთუ კუალადცა და მრავალგზის მასვე ვიტყვ: ბოროტნი საქმენი უდებებისაგან ჩუენისა არიან და ბოროტისა მის ნები-სა და კეთილისაგან მოცალებისა და კაცთა თანა ბოროტთა ქცევისა და

უგულბელს-ყოფისაგან სათნოებათადასა. რამეთუ უდებ ვიყვნეთ რა და მოცალე კეთილისაგან, მაშინ ეშმაკი დასთესავს ჩუენ შორის ლუარძლსა ბოროტთა მისთასა, მერმე ნებითა მით ჩუენითა ბოროტითა შევიწყნარებთ თესლსა მისსა და აღვაორძინებთ, უგულბელს-ვჰყოფთ სათნოებასა, ვიქცევით კაცთა თანა ბოროტთა და ვიქმნებით ჩუენცა უკეთურ. და ესე მეზრძიებად, თუ ვინაჲ არიან ჩუენ შორის ბოროტნი, საქმე არს კაცთა უკეთურთაჲ, ხოლო მოქმედთაგანი სათნოებისათა არავინ გამოეძიებს, არამედ იცინან, ვითარმედ ბოროტნი საქმენი ეშმაკისაგან არიან და ჩუენთა ნებათაგან. გარნა მოქმედთა ბოროტისათა ჰნებავს, რაფთამცა ცუდი რაფმე და უსარგებლოდ ნუგეშინის-ცემაჲ მოიგეს, ამისთვის შესწმასნიან სიტყუათა ამაოთა და მავნებელთა მათისაცა სულისა და რომელთა ესმოდის. ხოლო ჩუენ მათ მიერ თხზნილნი იგი და მოქსოილნი დედაზარდლისა ქსელნი არა ხოლო თუ სიტყვით, არამედ საქმითცა დაგჰჰსნეთ და გულსავსე-გყვნეთ თავნიცა ჩუენნი და სხუანი ყოველნივე, ვითარმედ არავინ არს იძულებით უკეთურ, არამედ – ნეფსით თქსით. უკუეთუმცა იძულებით იყო და უნებლიად, არამცა თქუა უფალმან: „ვაჲ კაცისა მის, რომლისაგან მოვიდენ საცთურნი“. რამეთუ მათ მისცემს ვაებასა, რომელნი ნებსით თქსით იყვნენ უკეთურ და საცთურთა მომპოვნებელ დასაბრკოლებელად გზასა ცხორებად მიმავალთასა. და რაფთა სცნა, ვითარმედ არა იძულებით არს სიბოროტე უკეთურთაჲ, ისმინე შემდგომიცა სიტყუაჲ, რამეთუ ვინაფთგან მისცა ვაებაჲ მომპოვნებელთა მათ საცთურისათა, მეყსეულად თქუა:

**ს ა ხ ა რ ე ბ ა ა :** „უკუეთუ ჳელი შენი ანუ ფერჳი შენი გაცთუნებდეს შენ, მოიკუეთე იგი და განაგდე შენგან: უმჯობეს არს შენდა შესლვად ცხორებასა მკელობელისაჲ გინა უჳელოდსაჲ, ვიდრე ორნი ჳელნი და ორნი ფერჳნი თუ გესხნენ და შთაჰვარდე ცეცხლსა მას საუკუნესა. და უკუეთუ თუალი შენი გაცთუნებდეს შენ, აღმოიდე იგი და განაგდე შენგან: უმჯობეს არს შენდა ერთთუალისა შესლვად ცხორებასა, ვიდრე ორთა თუალთა სხმასა და შესლვად გეჰენისაჲ ცეცხლისაჲ“ (18,8-9).

**თ ა რ გ მ ა ნ ი :** არა თუ ასოთათვს იტყვს სიტყუათა ამათ. ნუ იყოფინ! არამედ თვსათავს და მეგობართა, რომელნი ასოთა ჩუენთა სწორად საყუარელ და საჳმარ იყვნენ ჩუენდა, ვითარცა სხუასაცა ადგილსა ზემო თქუა და ანცა მასვე იტყვს. რამეთუ არარაჲ ესრეთ სავნებელ არს, ვითარ შეერთებაჲ უკეთურთა თანა; რამეთუ მრავალგზის რომელი ჭირმან და იძულებამან ვერ ქმნის, მეგობრობამან და სიყუარულმან ქმნის, გინა თუ სავნებელი, გინა თუ სარგებელი. ამისთვის დიდითა სიმტკიცითა და გარდაკუეთილითა განჩინებითა გჰბრძანებს განშორებად კაცთაგან მავნებელთა სულისათა, გინა თუ თვსნი იყვნენ, გინა თუ მეგობარნი, საყუარელნი და საჳმარნი, ვითარცა თუალი მარჯუენე, გინა თუ ჳელი; და ესენი მოასწავნა მომყვანებელად საცთურთა.

იხილეთ, ვითარ საცთურთაგან ყოფადი ვნებად წინათვე დააყენა? გუაუნყა ყოფადი იგი, რადთა განკრძალულ ვიყვნეთ; გვჩუენა ბოროტთა მათ სიდიდე, რაჟამს თქუა: „ვად სოფელსა საცთურთაგან“; კუალად მისცა ვაებად მომპოვნებელსა საცთურთასა, რადთა გამოაჩინოს, რაოდენისა სასჯელისა ღირს არს; კუალად შეძინებითა მით იგავისადათა აღაოძინა შიში იგი, და არა კმა-ეყო ესე, არამედ გვჩუენა გზადცა, რომლითა იქმნების საცთურთაგან განრომად. ესე არს გზად იგი, რამეთუ ბრძანებს, ვითარმედ: კაცნი უკეთურნი და მავნებელნი სულისა შენისანი, დაღაცათუ დიდად საყუარელ იყვნენ და საჭმარ შენდა, მოიკუეთენ შენგან, რამეთუ დაადგრე თუ მათ თანა, ვერცა რად მათ არგო და სულიცა შენი წარინყმიდო; ხოლო მო-თუ-იკუეთენ შენგან, სულისა შენისა ცხოვრებად მოიგო. ამისთვის, საყუარელო, ბრძანებად უფლისად ისმინე, და უკუეთუ ვინმე საყუარელ იყოს შენდა და სიყუარული მისი სულსა შენსა ავნებდეს, მოიკუეთე იგი შენგან. რამეთუ ასოთა შინა ჩუენთა უკუეთუ ვიხილით რომელიმე უკურნებელად დამპალი, და ყოველივე გუამი მისგან წარწყმდებინ, არა ვჰირდით მოკუეთად იგი, რავდენ უმეტესად მეგობართა ზედა ჯერ-არს ესრეთ ყოფად?

ამის ყოვლისაგან საცნაურ არს, ვითარმედ არა ბუნებით არიან ბოროტნი საქმენი ჩუენ თანა, არცა იძულეებით. უკუეთუმცა იძულეებითა ბუნებითითა იყვნეს, ნამეტნაემცა იყო სიტყუათა ამათმიერი განკრძალვად. ვინათგან უკუე უწყით, ვითარმედ სწავლანი ესე ჭეშმარიტ არიან და სამართალ, ცხად არს, ვითარმედ ნებათა ჩუენთაგან და განზრახვათა მოვლენ ბოროტნი საქმენი ჩუენ ზედა.

**ს ა ხ ა რ ე ბ ა დ :** „**ეკრძალენით, ნუუკუე ვინმე შეურაცხ-ჰყოთ ერთი მცირეთა ამათგანი. გეტყვ თქუენ, რამეთუ ანგელოზნი მათნი ცათა შინა მარადის ხედვენ პირსა მამისა ჩემისასა, რომელ არს ცათა შინა**“ (18,10).

**თ ა რ გ მ ა ნ ი :** მცირედ არა ჭეშმარიტად მცირეთა სახელ-სდებს, არამედ რომელნი ესრეთ შერაცხილ იყვნენ კაცთა მიერ: გლახანი და შეურაცხნი და მრავალთაგან უცნაურნი, რომელნი-იგი სიტყუათა მით ჭეშმარიტებისადათა დიდ არიან და პატიოსან, გარნა კაცთა წინაშე მცირედ შერაცხილ არიან. ვითარ უკუე მცირე არს, რომლისა სოფელი ღირს არა არს? ვითარ მცირე არს, რომელი მეგობარ ღმრთისა წოდებად ღირსქმნულ არს? გარნა იქვსათვს და გულისსიტყუსა მრავალთადასა ესრეთ სახელ-სდვა და იტყვს: კაცსა ღმრთისმოშიშსა და მუშაკსა სათნოებისასა ნუ შეურაცხ-ჰყოფთ, დაღაცათუ გლახაკ იყოს ჳორციელად და დაწუნებულ კაცთაგან და შეურაცხ; არამედ პატივ-ეცით და შეიტკბეთ ესევეთარი იგი, რამეთუ ვითარცა სივლტოლად უკეთურთაგან კეთილ არს, ეგრეთვე პატივ-ცემად ღმრთისმოყუარეთად და მათ თანა შეერთებად დიდისა სარგებელისა მომატყუებელ არს. ამისთვის ორივე ესე ბრძანა უფალმან, რადთა ორკერძო

იყოს უცთომელობა: ერთად, მოკუეთითა და განშორებითა მანებელთა კაცთადათა, და მეორედ, პატივითა და ერთობითა ღმრთისმოშიშთადათა. იხილეთ უკუე, რაბამსა პატივისა იტყვს მათსა: „რამეთუ ანგელოზნი მათნი ცათა შინა მარადის ხედვენ პირსა მამისა ჩემისასა, რომელ არს ცათა შინა“. ამათ სიტყუათაგან საცნაურ არს, ვითარმედ ანგელოზნი არიან თითოეულისა წმიდათაგანისათვის განწესებულ და უფროსლა ყოველთათვის მორწმუნეთა. რამეთუ მოციქული იტყვს დედაკაცისათვის: „ჯერ-არსო დედაკაცისა, რაჲთა ფლობაჲ აქუნდეს თავსა ზედა ანგელოზთათვის“;<sup>1</sup> და მოსე იტყვს: „დაამტკიცნა საზღვარნი თესლებისანი მსგავსად რიცხუთა მათ ანგელოზთა ღმრთისათა“.<sup>2</sup> ხოლო აქა არა ანგელოზთა ოდენ იტყვს, არამედ ანგელოზთა დიდთა; რამეთუ ოდეს თქუას, თუ: „ხედვენ პირსა მამისა ჩემისასა“, არა თუ სხუასა რასმე მოასწავებს ამით სიტყუთა, არამედ უმეტესსა კადნიერებასა და ფრიადსა პატივისა მათ ანგელოზთასა.

**ს ა ხ ა რ ე ბ ა :** „რამეთუ მოვიდა ძე კაცისაჲ მოძიებად წარწყმედულისა“ (18,11).

თ ა რ გ მ ა ნ ი : კუალად სხუასა პირსა შემოიღებს გამოჩინებად და სწავლად, ვითარმედ არავისი ჯერ-არს უგულვებელს-ყოფად. რამეთუ ზემო თქუა: „ეკრძალენით, ნუუკუე ვინმე შეურაცხ-ყოს ერთი მცირეთა ამათგანნი. გეტყვ თქუენ, რამეთუ ანგელოზნი მათნი მარადის ხედვენ პირსა მამისა ჩემისასა, რომელ არს ცათა შინა“. ამით სიტყუთა გამოაჩინა, თუ რაოდენი თანაგუაც პატივი და არზანიგი მოშიშთა ღმრთისათაჲ, ხოლო ან კუალად ამას გამოაჩინებს, ვითარმცა იტყოდა, ვითარმედ: რად ვიტყვ წმიდათა და ღმრთისმოყუარეთა კაცთათვის? არცა თუ ვინმე უდებებასა შინა რასმე იხილო, გიწმს შეურაცხებაჲ, რამეთუ მე, შემოქმედი ესე ყოველთაჲ, მოვედნებითა მამისადათა მოძიებად წარწყმედულთა. ან უკუე რომლისა მე ძიებად მოვედ, შენ, კაცო, ვითარ შეურაცხ-ჰყოფ? ოდეს თქუას, თუ: „მოვიდა ძე კაცისაჲ მოძიებად წარწყმედულისა“, ჯუარ-ცუმასა თვისსა იტყვს და სხუასა ყოველსავე, რომელი ჩუენთვის თავს-იდვა, ვითარცა პავლე მოციქული ამისვე სიტყუსა ძალსა მოასწავებს და იტყვს, ვითარმედ: „ეკრძალე, რაჲთა არა წარწყმდეს ძმაჲ იგი უძღლური შენითა მით მეცნიერებითა, რომლისათვის ქრისტე მოკუდა“.<sup>3</sup> ამის უკუე სიტყუსა დასამტკიცებელად იგავსაცა შემოიღებს უფალი და იტყვს:

**ს ა ხ ა რ ე ბ ა :** „ვითარ ჰგონებთ თქუენ: კაცსა თუ ვისმე ედგას ასი ცხოარი, და შესცთეს ერთი მათგანი, არა-მე დაუტევნესა ოთხმოცდაათცხრამეტნი იგი მათათა გარე და წარვიდეს და მოიძიოს შეცთომილი იგი? და რაჟამს პოოს იგი, ამენ გეტყვ თქუენ, უფროსს უხაროდის მის ზე-

<sup>1</sup> 1 კორ. 11,10.

<sup>2</sup> 2 სჯ. 32,8.

<sup>3</sup> 1 კორ. 8, 9,11.

**და, ვიდრე ოთხმოცდაათცხრამეტა მათ, რომელნი არა შეცთომილ იყვნენ. ესრეთ არა არს ნებად მამისა ჩემისა ზეცათაჲსაჲ, რაჲთა წარწყმდეს ერთი მცირეთა ამათგანი“ (18,12-14).**

თ ა რ გ მ ა ნ ი: ჰხედავა, რავდენითა სახითა ესწრაფის მოყვანებად ჩუენდა სიყუარულად და მოღუანებად უდარესთა ძმათასა? ან უკუე ნუ იტყვ, საყუარელო, ესე ვინმე უნდოჲ არს, და იგი ვინმე გლახაკ არს და შეურაცხ, და უგულუბელს-ჰყოფ ძმათა შენთა. რამეთუ უფალმან ჩუენმან და მეუფემან გზბრძანა ყოვლით კერძო ზუაობისა განდევნაჲ. ამისთვის ყრმაჲ წარმოადგინა და თქუა: „რომელი არა იქმნას, ვითარცა ყრმაჲ, ვერ შევიდეს სასუფეველსა“;<sup>1</sup> და კუალად თქუა: „რომელმან შეინყნაროს ყრმაჲ ესევეითარი სახელითა ჩემითა, მე შემიწყნაროს. და რომელმან დააბრკოლოს ერთი მცირეთა ამათგანი, დიდად დაისაჯოს“.<sup>2</sup> და არა კმა-ყო იგავი იგი წისქულისაჲ, არამედ ვაებაცა მისცა ესევეითართა მათ ამპარტავანთა და დამაბრკოლებელთა, რამეთუ იგინი არიან მომპოვნებელნი საცთურთანი, და მათი ბრძანა მოკუეთაჲ, დაღაცათუ მეგობარ ჩუენდა იყვნენ. ხოლო ან კუალად თვისი იგი ვნებაჲ ავსენა და წარწყმედულთა ძიებისათვის სიკუდილი, და იგავი ესე წარმოგვთხრა მწყემსისა მის კეთილისაჲ, რომელმან დაუტევის ოთხმოცდაათცხრამეტი და ძიებად შეცთომილისა განვიდის; და მამაცა თვისი ავსენა, ვითარმედ: „ესრეთ არა არს ნებად მამისა ჩემისაჲ წარწყმედად ერთი მცირეთა ამათგანი“. ხოლო ვინაჲთგან ღმერთი ესრეთ მხიარულ არს ცხორებასა ერთისა სულისასა, ვითარ ვინ იკადროს შეურაცხ-ყოფად, და არა უფროჲსად დადებად ესწრაფოს სულისა ცხორებისათვის ძმისა თვისისა? უფალმან ოთხმოცდაათცხრამეტნი დაუტევნა და მოვიდა წარწყმედულისა, და ვერ უძლო მრავალთა ცხორებამან დაფარვად წარწყმედასა ერთისასა, არამედ ისწრაფა პოვნად იგი და, პოა რაჲ, აღილო მვართა ზედა და სიხარული დიდი ყო პოვნისა მისისათვის; და ბრძანებს, ვითარმედ: „გეტყვ თქუენ: ესრეთ იყოს სიხარული ცათა შინა ერთისათვის ცოდვილისა, რომელმან შეინანოს, ვიდრეღა არა ოთხმოცდაათცხრამეტთა მათ მართალთა“.<sup>3</sup>

ნუმცა უკუე უგულუბელს-ვჰყოფთ ესევეითართა მათ სულთა, რამეთუ ამისთვის თქუმულ არს ესე ყოველი სასწავლეღად ჩუენდა, რაჲთა ჩუენცა განვაგდოთ ყოველივე ამპარტავანებაჲ და შევიმოსოთ სიმდაბლე და სიყუარული და გულისწმა-ვყოთ, რაოდენი სასჯელი განანესა დამაბრკოლებელთათვის ძმათაჲსა და რაბამნი კეთილნი აღუთქუნა, რომელნი სწყალობდენ და ილუნიდენ მათდა. სახედ მოილო საქმისა ამის თავი თვისი და ნებაჲ იგი მამისაჲ, რომელსა არავისი ჰნებაჲს წარწყმედაჲ, არამედ ყოველთავე ცხორებაჲ.

<sup>1</sup> შდრ. მათ. 18,3.

<sup>2</sup> შდრ. მათ. 18,5-6.

<sup>3</sup> ლუკ. 15,7.

## სწავლად 60

### ვითარმედ ჯერ-არს ფრიადი მოლუანებად ცხორებისათვის ძმათადასა

და ჩუენცა უკუე, საყუარელნო, ვჰბადვიდეთ სახიერებასა მას უფლისასა და ნუმცა რად თავ-გუედიდების ქმნად ძმათა ჩუენტათს, დალაცათუ საქმე იგი შეურაცხ და ძნელ იყოს, დალაცათუ ძმა იგი მცირე და უნდოდ იყოს, ნუმცა რად უღირს-გკჩნ ქმნად ცხორებისათს მისისა, რამეთუ ესოდენ სა-ნადელ არს ღმრთისა ცხორებად სულისა, ვიდრელა ძე თჳსი მოავლინა მო-ძიებად წარწყმედულთა. ამისთს გევედრები, ვილუანოთ ყოვლითა ძალი-თა სსნად ძმისა, რომელიცა ვიხილოთ ჭირვეული და ღელვაგუემული. არა ვიტყვ ჳორციელსა ამას ჭირსა და ღელვაგუემულობასა, რამეთუ კეთილ არს ჳორციელთაცა ჭირთა შინა და განსაცდელთა შენენა და ჳელის-აპ-ყრობად ძმათად, და ფრიად კეთილ არს და თანანადები არს თანანარუვა-ლი, ხოლო ფრიად უაღრეს არს და უმაღლეს სულიერთა ღელვათა შინა და ეშმაკისა მიერ მოწვენულთა განსაცდელთა შენენა ძმისა და ყოვლითა ძალითა ჳელის-აპყრობად. რამეთუ ვაჭარი აღორძინებად საფასისა თჳსისა ზლუათა ნიაღვალს და მათა გარდაჰჳდების, და მუშაკი ეგრეთვე შემა-ტებად ნაშრომისა თჳსისა ფრიადასა ოფლსა თავს-იდებს და აურაცხელსა ჭირსა. ან უკუე ჩუენცა ნუ თავისა ხოლო თჳსისა ცხორებასა ვილუნით, არამედ ძმათა ჩუენტაცა, რადთა ესრეთ უბრწყინვალეს იყოს სულთაცა ჩუ-ენტა ცხორება. რამეთუ განწყობასა შინა ბრძოლათასა უკუეთუ მჳედარი თჳსსა ოდენ განრინებასა ისწრაფდეს და ამისთს სხუანი უგულუბელს-ყვნეს და სივლტოლად ჳელ-ყოს, მრავალგზის სხუათაცა ავნის და თავიცა თჳსი წარწყმიდის; ხოლო რომელმან ახოვნებით დადვის სული თჳსი სხუა-თა მათ თანა მოყუასთა თჳსთა, მათცა სარგებელ ეყვის და თავიცა თჳსი მათ თანა აცხოვნის.

ვინადთგან უკუე ჩუენ ზედაცა ბრძოლად არს, და ბრძოლად ყოველ-თა ბრძოლათა უფიცხლესი, და წყობად არს ძლიერი, ესრეთმცა შევალთ წყობასა მას შინა, ვითარცა მეუფემან ჩუენმან გჰბრძანა. განვემზადნეთ სისხლთა დათხევად და სიკუდილადცა სახელისა მისისათს და საჭურველი იგი სიყუარულისად მტკიცედ შევიმოსოთ, ვილუანოთ ერთმანერთისა ცხო-რებად, მდგომარენი განვაძლიერნეთ, დაცემულნი აღვადგინნეთ; რამეთუ მრავალნი ძმათა ჩუენტაგანნი მდებარე არიან წყობასა ამას შინა წყლულ-ნი და სისხლითა შებღალულნი, და მოლუანე ანუ მკურნალი არავინ არს: არცა მღდელნი, არცა ერისაგანნი, არცა მოწესენი, არცა ძმანი და მეგო-ბარნი, არამედ კაცად-კაცადი თავისა თჳსისასა ვხედავთ. ამისთს თავთაცა ჩუენტა ვავნებთ, რამეთუ დიდი წარმატებად და სისრულე ესე არს, რადთა კაცი არა თავისა ხოლო თჳსისა ეძიებდეს, არამედ ძმისასაცა; ხოლო ჩუენ ვინადთგან მცნებად ესე შეურაცხ-გკყოფის, ამისთს უძღურ ვართ და ად-ვილად საძლეველ ბრძოლათა შინა ეშმაკისათა, რამეთუ არა შევეწვევით ურ-



თიერთას, არცა შეჭურვილ ვართ სიყუარულითა სულიერიითა, არამედ სხვსა სახისა მეგობრობისა სიყუარულსა მოვიგებთ, რომელნიმე ჴორციელისა თვსებისასა, რომელნიმე სხვსა და სხვსა, ცუდისა და წარმავალისა მიზეზისათჳს და მავნებელისა. ჯერ-იყო უფროსად სულიერიითა წესითა შეყუარებად ურთიერთას, ხოლო ან წინააღმდეგობსა ვიქმთ: უკუეთუ ვინმე ძმამან მცირედ დაგუაბრკოლოს, მოვიძულებთ და მოვიძაგებთ; უკუეთუ ვიხილოთ მცირესა ცთომასა შინა, გარემივიქცევით მისგან და შეურაცხ-ვჰყოფთ. უფროსად მაშინ ჯერ-იყო მოლუანებად და შეწვენად, რაფთა მოვაქციოთ სათნოებად ცთომილი იგი, და მოვიღებთ მიზეზთა ცუდთა და უსარგებლოთა, – მრავალგზის ვასწავო და არა მისმინა. რასა იტყვ, კაცო? არა ჰხედავა, რავდენნი სწავლანი გუასწავლნა ღმერთმან და გუასწავებს წინააღმარებულელთა მიერ და მოციქულთა და მახარებელთა? რად არს უკუე, ვისმინეთ სწავლანი იგი? ნუ იყოფინ! გარნა იგი არავე დასცხრების სწავლად ჩუენდა და წყალობად. არა დღითი-დღე გუეტყვსა: „ვერ ჴელ-გუენიფების მონებად ღმრთისა და მამონაჲსა“<sup>1</sup> – ჩუენ შორის უმეტესად აღორძნდების მძლავრებად ვეცხლისმოყუარებისა; არა ჴმამალლად გკბრძანებსა: „მიუტევეთ და მოგეტევენენ“<sup>2</sup> – და უფროსად მჴეცთა უმრისხანეს ვართ; არა მარადის გუამცნებსა, რაფთა განვიშორნეთ ბოროტნი გულისთქუმანი? – და მრავალნი უძკრეს ღორთასა იმწუბებიან მწკრესა შინა ცოდვისასა.

და ამას ყოველსა ზედა სახიერი იგი არა დასცხრების სწავლად ჩუენდა და წყალობად. რაჲსათჳს უკუე არა ვიგონებთ ამას და ეგრეთვე ჩუენცა ვიპოვებით ძმათა მიმართ სახიერ და სულგრძელ, ვითარცა ღმერთი ჩუენ ზედა? არა უწყითა, რამეთუ არა ხოლო თუ თავთა თვსთა ცხორებისა მოლუანებად თანამდებ ვართ, არამედ ძმათაცა ჩუენთა? ხოლო ან ჩუენ მრავლისა მისგან უდებებისა და დაწსნილებისა ჩუენისა სულთაცა თვსთა და ძმათაცა ცხორებად შეურაცხ-გჰყოფიეს, და ყოველივე ზრუნვად ჩუენი და მოსწრაფებად ჴორციელთა და წარმავალთა საქმეთათჳს არს, და სული ჩუენი შეურაცხ-გჰყოფიეს, შეურავებული და შეინრებული ბევრეულთა ვნებათაგან, გულისთქუმათაგან ბილნთა, გულისწყრომისაგან ბოროტისა, ძკრის-ჴსენებისაგან და ზუაობისა, საჴმართმოყუარებისაგან და ანგაჰრებისა, უდებებისაგან და დაწსნილობისა და სხუათა მათ ურიცხუთა ბოროტთაგან, რომელნი, ვითარცა მჴეცნი მძწვარენი, დაჰბძარვენ მას და მიმოუთრევიეს. ხოლო ჩუენ უგულლებელს-გჰყოფიეს იგი და არა ვზრუნავთ, ვითარმცა განვიოტენით ვნებანი იგი, არამედ ვიურვით, თუ ვითარ აღვიშენნეთ ტაძარნი განგლესილნი და მოვიგნეთ სიმრავლენი მონათანი და მონაგებნი ფრიადნი სოფელსა ამას შინა, და საქმესა ვიქმთ ესევითარსა, ვითარმცა აქუნდა ვის სახლი დაძუელებული და დარღუევად მიახლებული, და კედელნი მისნი მიდრეკილნი დაცემად, და არარაჲმცა ილუანა განახლებად ანუ განმტკიცებად მათა, არამედ ეზოებსამ-

<sup>1</sup> ლუკ. 16,13.

<sup>2</sup> შდრ. მათ. 6,14.

ცა ჰმზადებდა გარემო და სახლისა დარღვევასა არა ჰგონებდა; ანუ ვითარ-  
ცა-რად გუამიმცა ვის აქუნდა ყოვლითა სენითა სავსე და არამცა ილუნიდა  
ყოვლადვე კურნებასა მისსა, არამედ სამოსელთამცა ოდენ შუენიერთა იკერ-  
ვიდა. ეგრეთვე ჩუენ ვართ: სული ჩუენი სენითა ბოროტითა შეპყრობილ არს,  
და ყოვლადვე არა ვილუნით კურნებად, არამედ ჯორცთა ხოლო ვფუფუ-  
ნებთ. მვეცთა ხილულთა არავინ მიუშუებს შესლვად ადგილსა პატიოსანსა,  
ხოლო ჩუენ მვეცთა მათ უხილავთა, რომელ არიან ვნებანი, დაუყენებლად  
გზა-ვსცემთ შესლვად სულსა ჩუენსა და აღსლვად გონებასა, რომელ-იგი ჩუ-  
ენ შორის ყოვლისავე უპატიოსნეს არს. ამის ესევეითარისა ვერაგობისა და  
ამაოებისათჳს ყოველივე საქმე ჩუენი განირყუნა, და ყოველსავე შფოთსა და  
ბოროტსა შინა ვართ. და მსგავს არს კაცად-კაცადი ჩუენი ქალაქსა, გარე-  
შეცვულსა მტერთა მიერ უწყალოთა და გამოღებად მიახლებულსა, და მას  
შინა მყოფნი ტყეებასა შინა დიდსა იყვნიან; ანუ ვითარცა-რად ვეშაპი მოუჭდის  
ბუდესა მფრინველისასა, და მართუენი მისნი მიმოეკუეთებოდ, სავსენი ში-  
შითა და ძრწოლითა, და არა არნ დასასრულ ჭირისა მათისა.

ამისთჳს გვედრები, საყუარელნო, მოვკლათ ვეშაპი იგი და ბოროტ-  
ნი ნაშობნი მისნი მოვსწყდნეთ მახვლითა სულისაჲთა (ნაშობნი ვეშაპი-  
სანი არიან არანმიდანი გულისსიტიყუანი), რაჲთა არა ჩუენთჳსცა თქუას  
წინაღსწარმეტიყუელმან, ვითარცა ჰურიასტანისათჳს, ვითარმედ: „ვირდე-  
ვი იმღერდენ მუნ და გრძღაბნი და ვეშაპნი“.<sup>1</sup> რამეთუ არიან ნანდვლვე  
კაცნიცა უძკრეს ვირდევთასა; და უფროდსლა ვთქუა, თუ: ჩუენ შორის ჭა-  
ბუკნი ჰასაკითა უმრავლესნი ესევეითარნი არიან, აღკრალუსხმელ გულის-  
თქუმათა მიმართ ბოროტთა. ხოლო ესევეითარისა მის ვერაგობისა მიზეზ  
მშობელნი მათნი არიან, რომელნი არა ილუნიან ცხორებასა სულთა მათ-  
თასა, არცა სწურთიან სათნოებისა სწავლად, არამედ ჯორციელად ხოლო  
ჰფუფუნებენ და უმწყსთაებრ ცხენთა მიუშუებენ სიცბილად და სიძვათა  
შინა და ყოველთა ბილწებათა ქცევად. † განსაცდელი ესევეითარი! მძლავ-  
რებამან ცოდვისამან ყოველნი დაგკმონნა, და არავინ ილუნის არცა თჳსსა  
სულსა, არცა მეორისასა. ჩუენ სიტყვთ შევასმენთ და განვაქიქებთ ცოდ-  
ვასა, ხოლო იგი საქმით გუმძლავრობს და ტყუე გკქმს. გარნა ჩუენ არავე  
დავსცხრეთ სიტყუათაგან სწავლისათა. უკუეთუ იქმნას რად სარგებელი,  
კეთილ იყოს ჩემდაცა და თქუენდაცა, ხოლო უკუეთუ მასვე ზედა ეგნეთ,  
მე თანანადები ჩემი სრულ მექმნას, ხოლო ღმერთმან თქუენცა გიჭსენინ  
მონებისაგან ვნებათაჲსა და მე მომეცინ თქუენდა სიქადული, რამეთუ მისი  
არს დიდებაჲ და სიმტკიცე ან და მარადის და უკუენითი უკუნისამდე, ამენ.

ლორწა-ყავთ სანატრელისა მამისა იოვანესოჳს და ნეჭარისა მამისა  
ფოთჳქესოჳს. რომელთა მიერ ითარგმანა ნმიდაჲ ესე სახარებაჲ.

<sup>1</sup> ესაია 13,22.

## თავი 2

სიტყუაჲ ესე: „უკუეთუ შეგცოდოს შენ ძმამან შენმან, მივედ და ამხილე მას, რაჟამს შენ და იგი ხოლო იყვნეთ. უკუეთუ ისმინოს შენი, შეიძინო ძმად იგი შენი“ (18,15).

ვინაფთგან ზემო ძლიერად შეჰრისხნა დამაბრკოლებელთა და დიდად შეაშინნა იგინი, რაფთა არა მათ სიტყუათა მიერ დაბრკოლებულნი სრულიად უდებ იქმნენ და ჰგონებდენ, თუ ყოველივე სასჯელი დამაბრკოლებელთა მათ ზედა განჩინებულ არს, და სხუასა ძკრისსაქმესა შთავარდენ და შეურაცხებად ძმათა თვსთა მოვიდენ ზუაობით, ამისთვის იხილე, ვითარ მათცა ჯეროვნად გულისწმა-უყოფს და ბრძანებს, რაფთა მხილებაჲ იგი მაშინ იქმნას, ოდეს ორნი ხოლო იყვნენ, რაფთა არა მრავალთა წინაშე მხილებაჲმან უმეტესად განაფიცოს გული მისი. ამისთვის იტყვს: „მივედ და ამხილე მას, რაჟამს შენ და იგი ხოლო იყვნეთ. უკუეთუ ისმინოს შენი, შეიძინო ძმად იგი შენი“.

რად არს ესე: „უკუეთუ ისმინოს შენი“? ესე იგი არს, უკუეთუ აბრალოს თავსა თვსსა და დაირწმუნოს, ვითარმედ ცოდა, შეიძინო ძმად იგი შენი. არა თქუა, თუ: შეიძინოს მან თავი თვსი, არამედ: „შეიძინო შენ ძმად იგი შენი“, რაფთა გამოაჩინოს, ვითარმედ პირველ ამისა ორნივე ზღვევასა შინა იყვნეს და დაჭირვებასა. ამას დასჭირდებოდა ძმად თვსი, და მას დასჭირდებოდა ცხორებაჲ სულისა თვსისაჲ. ესევე წესი პირველცა, ასწავლიდა რად მთასა ზედა, განაწესა; რამეთუ ოდესმე შემანუხებელსა უბრძანა შენუხებულისა მიმართ მისლვად, ოდეს-იგი თქუა: „უკუეთუ შესწირვიდე შესაწირავსა საკურთხეველსა ზედა და მუნ მოგვესენოს შენ, ვითარმედ ძმად შენი გულძკრ რაფთა არს შენდა, დაუტევე შესაწირავი იგი წინაშე საკურთხეველსა მას, მივედ და დაეგე პირველად ძმასა შენსა“.<sup>1</sup> და ოდესმე კუალად შენუხებულსა ამცნო მიტეგებად ცთომად მოყუსისაჲ, რაჟამს თქუა, ვითარმედ: „ესრეთ ილოცევი: მომიტევენ ჩუენ თანანადებნი ჩუენნი, ვითარცა ჩუენ მიუტეგებთ თანამდებთა მათ ჩუენთა“.<sup>2</sup> ეგრეთვე აქა პირველად თქუა, ვითარმედ: რომელმან დააბრკოლოს ძმად, დიდისა სასჯელისა თანამდებ არს, ხოლო ან შენუხებულსა მას ეტყვს შემანუხებელისა მისლვად, რაფთა განემართოს ცთომად იგი. და არა თქუა, თუ: მივედ, აბრალე და შეჰრისხენ, არამედ „ამხილე“ ხოლო. რამეთუ იგი, ვითარცა მთრვალობითა, ეგრეთ შეპყრობილ არს გულისწყრომითა და სირცხვლითა, გარნა შენ, უკუეთუ მრთელ ხარ, გიღირს მისლვად სნეულისა და ქმნად სამსჯავროჲ ფარული და კურნებაჲ შეწყნარებული.

რამეთუ სიტყუაჲ ესე, თუ: „ამხილე“, არა თუ სხუასა რასმე მოასწავებს, გარნა ამას ხოლო, ვითარმედ: მოაწსენე მისი იგი ბრალი, აუნყე, რად-იგი

<sup>1</sup> მათ. 5,23-24.

<sup>2</sup> მათ. 6,9,12.

გევნო მისგან, უთხარ სიტყვთა ტკბილითა, სიტყვთა სიმშკდისადათა, რადთა იქმნას თქუენ შორის სიყუარული და მშკდობაჲ, და შეიძინო ძმაჲ შენი.

ხოლო უკუეთუ დაუფერებელ და ფიცხელ იპოოს იგი და „**არა ისმინოს შენი, მიიყვანეო შენ თანა ერთი ანუ ორი სხუაჲ, რადთა პირითა ორისა და სამისა მონამისადათა დაემტკიცოს ყოველი სიტყუაჲ**“ (18,16).

რადსათჳს ბრძანებს ორისა ანუ სამისა მიყვანებად? რადთა ყოვლით კერძო შფოთი იგი განქარდეს, და იქმნას მათ შორის მშკდობაჲ. რამეთუ მკურნალმანცა რაოდენ იხილის სენი ძნიად საკურნებელი, სხუათაცა მოუნოდის მკურნალთა თანაშენევენად. ეგრეთვე უფალი გვბრძანებს, ვითარმედ: უკუეთუ შეგცოდოს ძმამან შენმან, და იქმნას თქუენ შორის მკსინვარებაჲ, ნუ თავს-იდებ, რადთა აღეტყინოს ძკრის-წსენებისაცა საჭუმილი, არამედ მივედ, აუნყე მიზეზი იგი მკსინვარებისაჲ სიმშკდით და ისწრაფე, რადთა ჰყო მშკდობაჲ და შეიძინო ძმაჲ შენი, რამეთუ უძღურებაჲ სულიერი სჭირს, ვინაჲთგან მავნებელ და შემანუხებელ ძმისა თჳსისა იქმნა, და ამისთჳს თანაგაც მოსწრაფებაჲ, რადთა განჰკურნო იგი. უკუეთუ შენი არა ისმინოს, რადთა მოიქცეს მშკდობად და სიყუარულად, წარიყვანე შენ თანა ერთი ანუ ორი სხუაჲ, რადთა თანაშემწე გეყვენენ განკურნებად სულისა მის უძღურისა, და დაემტკიცოს სიყუარული.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „**უკუეთუ მათიცა არა ისმინოს, უთხარ კრებულსა**“ (18,17).

თ ა რ გ მ ა ნ ი : ჰხედავა, რაოდენსა მოსწრაფებასა უბრძანებს შემოდებად, რადთა განაქარვოს ყოველივე მკსინვარებაჲ შენუხებულმან მან? ან უკუე ვინაჲთგან შენუხებულსა ესრეთ მოსწრაფებაჲ უწმს ყოფად მშკდობისა, რავდენ უფროსად შემანუხებელსა თანააც მოღუანებაჲ საქმისა ამისთჳს?

ზემო იტყოდა, ვითარმედ: „უკუეთუ ვინმე გცეს ყურიმაღსა შენსა მარჯუენესა, მიუჰყარ ერთკერძოცა“,<sup>1</sup> არამედ იგი სიტყუაჲ გარეშეთათჳს თქუა, ესე იგი არს, უცხოთათჳს და გარეგანთა წესისა ჩუენისათა, ვითარცა პავლე მოციქული იტყვს, ვითარმედ: „რად ძეს ჩემი გარეშეთა მათ განკითხვაჲ?“<sup>2</sup> გარეშედ სახელ-სდვა გინა თუ წარმართთა, გინა თუ კაცთა უცხოთა წესისა და განგებისა ჩუენისაგან; მათა მიმართ მოთმინებისა ხოლო გკღირს ჩუენებად. ხოლო ან ძმათა და მოყუარეთათჳს იტყვს და თანაზიართა წესისა ჩუენისათა, რამეთუ ესე ვითართა მათ მხილებადცა გვბრძანებს სიყუარულისა წესითა და მათისაცა სულიერისა ცთომისა განმართებად, ვითარცა კუალად იტყვს მოციქული პირველთქუმულსა მას სიტყუასა თანა: „ანუ არა შინაგანნი იგი თქუენ განიკითხნეთ? ხოლო გარეშენი იგი ღმერთმან განიკითხნეს.“<sup>3</sup> შინაგანად ძმათა და მოყუასთა ჩუენთა სახელ-

<sup>1</sup> მათ. 5,39.    <sup>2</sup> 1 კორ. 5,12.    <sup>3</sup> 1 კორ. 5, 12-13.

სდვა, რომელთა სულიერიცა მოღუანებად თანაგუაც. ამათ ესევიტართა ძმათა და მოყუასათა თვს იტყვს, ვითარმედ: „უკუეთუ შეგცოდოს ძმამან შენ-მან, მივედ და ამხილე“ სიტყვთა სიმშუდისაჲთა, „რაჟამს შენ და იგი ხოლო იყვენთ“, რამეთუ მრავალგზის თავით თვსით კაცმან ვერ გულისწმა-ყვის და მხილებითა მოყუსისაჲთა მოვიდის მეცნიერებად. ვინ იყო უგონიერეს დავითისა? გარნა ცოდვად თვსი ვერ გულისწმა-ყო, რამეთუ გულისთქუმასა გულისსიტყუანი მისნი დაეპყრნეს და ვითარცა კუამლითა წშირითა აღევსო სული მისი. ამისთვის საწმარ იქმნა მხილებად წინადასწარმეტყუელისაჲ.

ეგრეთვე აქა ბრძანებს უფალი: „მივედ და ამხილეო, რაჟამს შენ და იგი ხოლო იყვენთ. უკუეთუ ისმინოს შენი“, და დაემტკიცოს თქუენ შორის სიყუარული, „შეიძინო ძმად იგი შენი“. უკუეთუ შენი არა ისმინოს, არამედ მთრვალ იყოს გულისწყრომითა, „მიიყვანე შენ თანა ერთი ანუ ორი სხუად, რაჲთა პირითა ორისა და სამისა მონამისაჲთა დაემტკიცოს ყოველი სიტყუად“. ესე იგი არს, რაჲთა გაქუნდეს წამებად ჯეროანი, ვითარმედ რაჲ-იგი წმდა შენგან ქმნად, გიქმნიეს და არარად დაგიკლიეს ქმნად საძიებელად სიყუარულისა და მშუდობისა. „უკუეთუ მათიცა არა ისმინოს, უთხარ კრებულსა“. ესე იგი არს, უთხარო წინამძღუართა მის ეკლესიისათა, რამეთუ მათ უწოდა ამას ადგილსა კრებულად.

**ს ა ხ რ ე ბ ა ა :** „უკუეთუ კრებულისაჲცა არა ისმინოს, იყავნ იგი შენ-და, ვითარცა მეზუერე და წარმართი“ (18,17).

თ ა რ გ მ ა ნ ი: უკუეთუ წინამძღურისაჲცა არა ისმინოს, უკურნებელ არს სენი მისი, და მიერითგან შერაცხილ იყავნ იგი, ვითარცა მეზუერე ანუ წარმართი.

ჰხედავა, ვითარ ყოველსავე ადგილსა წარწყმედილთა და სასონარ-კუეთილთა თანა შერაცხილ არიან მეზუერენი და სახედ ფრიადისა უკეთუ-რებისა ითქუმიან და ფრიად დასასჯელ?

ისმინეთ ყოველთა, რომელნი მოყუარე ხართ მოხუეჭისა და მტაცებ-ლობისა, რომელნი ვახშთა და აღნადგინებთა აღჰრაცხავთ, ისმინეთ, თუ ვითარ საბრალობელ არიან ესევიტარნი.

**ს ა ხ რ ე ბ ა ა :** „ამენ გეტყვ თქუენ: რომელი შეჰკრათ ქუეყანასა ზე-და, კრულ იყოს ცათა შინა; და რომელი განჰწსნათ ქუეყანასა ზედა, წსნილ იყოს ცათა შინა“ (18,18).

თ ა რ გ მ ა ნ ი: ვინაჲთგან თქუა, ვითარმედ: „უთხარ კრებულსა“, ესე იგი არს, წინამძღუარსა მის ეკლესიისასა. „უკუეთუ არცა მისი ისმინოს, იყავნ იგი შენდა, ვითარცა მეზუერე და წარმართი“. მერმე ინება გამოც-ხადებად, თუ რაოდენ მძიმე არს ურჩებად წინამძღურისაჲ; ამისთვის თქუა: „რომელი შეჰკრათ ქუეყანასა ზედა, კრულ იყოს ცათა შინა; და რომელი განჰწსნათ ქუეყანასა ზედა, წსნილ იყოს ცათა შინა“.

ესე სიტყუად დაღაცათუ მოციქულთა მიმართ თქუა, არამედ ყოველთა მიმართ წინამძღუართა ეკლესიისათა მიანია. ჰხედავა, როდენითა სახითა შეაშინებს დაუგებელად მრისხანესა და ურჩსა წინამძღუართა მიმართ? აქავე კრულობითა და მუნ სატანჯველითა, რადთა ამის ესევითარისა სასჯელისა შიშითა განაგდოს კაცად-კაცადმან რისხვად და ძვრის-წსენებად და ურჩობად. დაღაცათუ ვერ უძლოს თავით თვსით ესრეთ ქმნად, ოდეს სხუათა მიერცა ემხილოს და უფროვსად წინამძღუართაგან, მეყსეულად განიშოროს უკეთურებად და შეიტკბოს მშკდობად და სიყუარული.

**ს ა ხ ა რ ე ბ ა დ:** „მერმე გეტყვ თქუნენ: უკუეთუ ორნი თქუნენგანნი შეითქუნენ ქუეყანასა ზედა ყოვლისათვსვე საქმისა, რომელიცა ითხოონ, ყოს მათ მამისა ჩემისაგან ზეცათაჲსა“ (18,19).

თ ა რ გ მ ა ნ ი: ჰხედავა, ვითარ ყოვლით კერძო დაამტკიცებს სიყუარულსა? რამეთუ პირველ თქუა სატანჯველი იგი მოწვენადი ძვრისმოწვენითა და მეშფოთეთა ზედა, ხოლო ან იტყვს, თუ ვითარსა კეთილსა ღირს იქმნებიან მუშაკნი იგი მშკდობისა და სიყუარულისანი. რამეთუ რამცა იყო ამისა უდიდებულეს, რომელ-იგი სიყუარულითა საღმრთოთა შეთქუმულნი ყოველსავე სათხოელსა მათსა მოიღებენ მამისა მიერ ზეცათაჲსა და ქრისტე აქუს შორის მათსა. გარნა ვითარ არს სიტყუად ესე? არა მრავალნი არიანა ქუეყანასა ზედა ურთიერთას შეთქუმულნი? ვითარ უკუე არა მოეცემიან ყოველნივე თხოანი მათნი? ესე ამისთვის იქმნების: ანუ არა უმჯობესი ითხოიან (და რად გიკვრს, უკუეთუ სხუათა შეემთხვოს ესე, ვინათგან პავლეს შეემთხვა, ოდეს-იგი ესმა: „კმა არს შენდა მადლი ჩემი, რამეთუ ძალი ჩემი უძღურებასა შინა სრულ იქმნების“<sup>1</sup>), ანუ არა ღირს იყვნიან მათ თანა შერაცხვად, რომელთა მიმართ ესე სიტყუად ითქუა, არცა რას ნაყოფსა საღმრთოჲსა სიყუარულისასა აჩუენებდიან. ხოლო იგი ესევითარსა ეძიებს შეთქუმულობასა, ვითარი მას სათნო-ურჩნს. ამისთვის ესრეთ თქუა: „უკუეთუ ორნი თქუნენგანნი შეითქუნენ“, ესე იგი არს, სათნოებითა სავსენი, ანგელოზებრივისა მოქალაქობისა მობაძავნი. ანუ კუალად ლოცვად მათი არნ მტერთა საწყეველი, და ამისთვის არა ისმინის მათი, რამეთუ უჯერო არს ესე, უფროვსად კურთხევად მტერთად უბრძანებიეს და არა წყევად; ანუ იქმოდინ ცოდვასა შეუნანებელად და ითხოვდიან წყალობასა, რომელ-ესე შეუძლებელ არს, რამეთუ უკუეთუ ვინ იქმოდის ცოდვასა და არა მოიქცეს მისგან და იწყოს სინანულად, არამედ ცოდვასა მასვე შინა ეგოს, არა თუმცა ხოლო მისი თხოად შეუწყნარებელ იყო, არამედ დაღაცათუ სხუანი ითხოვდენ მისთვის, რომელთა ფრიადი აქუნდეს კადნიერებად, არავე შეისმინების თხოად მათი, ვითარცა იერემია ილოცვიდა ჰურიათათვს და ესმა ღმრთისაგან, ვითარმედ: „ნუ ილოცავ ერისა ამისთვის, რამეთუ არა ვისმი-

<sup>1</sup> 2 კორ. 12,9.

ნო შენი“.<sup>1</sup> ხოლო უკუეთუ უმჯობესსა ითხოვდე, საყუარელო, და თავი შენი ღირსად გამოაჩინო ლოცვათა შენთა სმენისა, და მოქალაქობად გაქუნდეს მოციქულთა მობაძავი და გაქუნდეს მოყუსისა მიმართ ერთობად და სიყუარული, უეჭუელად მიემთხვო თხოვასა შენსა, რამეთუ სახიერი არს მეუფე ჩუენი.

ხოლო ვინადგან თქუა, თუ: „რომელიცა ითხოონ, ეყოს მათ მამისა ჩემისაგან“, – რადთა გულისწმა-ვცოთ, ვითარმედ არა მამად ხოლო არს მომნიჭებელი კეთილთად, არამედ ძეცა მისსავე აღასრულებს კეთილის-მომნიჭებლობასა, ამისთვის შესძინა და თქუა:

**ს ა ხ ა რ ე ბ ა დ :** „სადაცა იყვნენ ორნი გინა სამნი შეკრებულ სახელისა ჩემისათვის, მუნ ვარ მე შორის მათსა“ (18, 20).

თ ა რ გ მ ა ნ ი : მრავალნი არიან ერთად შეკრებულნი, გარნა უფალი მათთვის იტყვს, რომელნი სახელისა მისისათვის შეკრებულ იყვნენ და სხვთა ყოვლითავე სათნოებითა შემკობილ, ვითარცა ზემო ვთქუ; რამეთუ ესევეთარი არს სიტყუად ესე უფლისა: რომელნი სახელისა ჩემისათვის შეკრებულ იყვნენ, და მე ვიყო მიზეზ მათისა მის ურთიერთას სიყუარულისა, და სხუათა მიერცა სათნოებათა შემკობილ იყვნენ, მათ თანა ვიყო მე.

## **სწავლაჲ 9** **სიყუარულისათვის ჭეშმარიტისა**

ხოლო ან ვხედავ, ვითარმედ უმრავლესთა სხუანი მიზეზნი ჰქონან ურთიერთას სიყუარულისანი: რომელსამე უყუარს მოყუასი თვისი ნაცვალად ჯორციელისა სიყუარულისა მისისა; სხუასა უყუარს მსახურებისა მისისათვის; სხუასა უყუარს სარგებელისა რადსათვსმე ჯორციელისა. ხოლო ქრისტესთვის შეყუარებად მოყუსისა, ვითარცა ჯერ-არს, მცირედ იპოების ჩუენ შორის; რამეთუ უმრავლესნი სოფლიოთა საქმეთათვის არიან ერთად შეკრებულ და შეერთებულ, და უკუეთუმცა ჯერ-იყო თქუამად, ვთქუმცა კაცად-კაცადისა მიზეზი მოყუსისა მიმართ ერთობისად, და მცირედნიმცა იპოვნეს ესოდენსა ამას სიმრავლესა შინა ქრისტესთვის შეერთებულნი ურთიერთას და წესსა მას სულიერისა სიყუარულისასა მიმსგავსებულად პავლესსა აღმასრულებელნი. ამისთვისცა, ვინადგან ცუდთა და წარმავალთა საქმეთათვის არს ერთობად და სიყუარული მათი, არა არს იგი მტკიცე, არცა სამარადისო, არამედ მო-რად-ვიდის მცირედი მკსინვარებად, ანუ სიტყვს-გებად, ანუ შური და ზუაობად, ანუ სხუად რამევესეთარი, მეყსეულად სიყუარული იგი დაიწხნის, რამეთუ არა

---

<sup>1</sup> იერ. 11,14.

აქუნ ძირი სულიერი. ხოლო საღმრთოდ იგი სიყუარული მტკიცე არს და შეუცვალეზელ, და ვერარაჲ ჴორციელი და სოფლიოდ საქმე შემძლებელ არს შერყევად მისა: ვერცა შესმენანი სხუათაგან, ვერცა მწუხარებაჲ ჴორციელი, ვერცა ჭირი რაჲმე წარმავალი, ვერცა თუ სიკუდილი. რამეთუ რომელსა ქრისტესთჳს უყუარდეს მოყუასი, დაღაცათუ ბევრეული ძკრი შეემთხვოს მისგან, არა განეშორების იგი სიყუარულსა, რამეთუ ხედავს, თუ ვინ არს მიზეზ მათისა მის სიყუარულისა, და მისთჳს შეუცვალეზელად აქუს იგი. ამისთჳსცა პავლე იტყოდა: „სიყუარული სულგრძელ არს და ტკბილ; სიყუარულსა არა შურნ, არა მალლოინ, არა განლაღნის, არა ეძიებნ თავისასა, არა განრისხნის, არად შეჴრაცხის ბოროტი, არა უხარინ სიცრუესა ზედა, არამედ უხარინ ჭეშმარიტებასა თანა; ყოველსა თავს-იდებნ, ყოველი ჰრწამნ, ყოვლითა ესავნ, ყოველსა მოითმენნ. სიყუარული არასადა დავარდეს“.<sup>1</sup> და ნანდვლვე არცა ერთი იპოების ჴორციელი მიზეზი, რომლისათჳსმცა ჯერ-იყო დაჴსნაჲ სიყუარულისა სულიერისაჲ. უკუეთუ პატივისა წილ გაგინოს და კეთილისა წილ და ფრიადისა ქველისმოქმედებისა შენისა მოკლვაჲ შენი განიზრახოს მოყუასმან შენმან, უფროჲსად აღაორძინე შენ მისა მიმართ სიყუარული, უკუეთუ ქრისტესთჳს გიყუარს, რამეთუ რაჲ-იგი სხუათა შორის დამჴსნელ სიყუარულისა არს, აქა უფროჲსად აღმაორძინებელ სიყუარულისამცა იქმნების.

და გულისჴმა-ყავ სიტყუაჲ ესე, პირველად ამისთჳს, რომელ ესევეითარი იგი უმეტესისა სასყიდლისა მომატყუებელ გექმნების ქრისტესგან; მეორედ, რომელ ესევეითარსა მას უმეტესი უჴმს შენეენაჲ და ჴელის-აპყრობაჲ. ამისთჳსცა ესევეითარისა მის საღმრთოჲსა სიყუარულისა მუშაკი არა ნათესავსა ეძიებს, არცა დიდთა შვილებასა, არცა სიმდიდრესა, არცა ნაცვალსა სიყუარულისასა, არცა სხუასა რას ესევეითარსა, არამედ გინა თუ სძულდეს მეორესა მას, გინა თუ აგინებდეს, გინა თუ მოჴკლვიდესცა, იგი შეურყეველად ჰგიეს სიყუარულსა მას ზედა, რამეთუ ქრისტე აქუს მიზეზად სიყუარულისა მის და სახედ კეთილად, რომლისაჲცა თანააც ბაძვაჲ. რამეთუ ქრისტემან ესრეთ შეიყუარნა მტერნი იგი და უმაღლონი, მაგინებელნი და მგმობარნი, მოძულენი მისნი, რომელთა უნდავე არახილვაჲ მისი, რომელნი ქვათა და ძელთა უმეტეს მისსა პატივ-სცემდეს, შეიყუარნა სიყუარულითა მით სრულითა, რომლისა უმეტესობაჲ არა იპოების, ვითარცა იტყვს თავადი, ვითარმედ: „უფროჲსი ამისი სიყუარული არავის აქუს, ვითარმცა სული თჳსი დადვა მეგობართა თჳსათჳს“.<sup>2</sup> და რად ვიტყვ მეგობართათჳს? მტერთა და უმაღლოთათჳს ესრეთვე ქმნა. ამისთჳს იხილე, თუ ვითარ ჯუარმცუმელთა მათ და მკლველთა თჳსთა ილუწინდა, რამეთუ მამასა ეტყოდა მათთჳს: „მიუტევე, მამაო,

<sup>1</sup> 1 კორ. 13, 4-8.      <sup>2</sup> იოან. 15, 13.



რამეთუ არა იციან, რასა იქმან“;<sup>1</sup> და მოწაფენი მოუვლინა მათ, რადთა ასნაონ და მოაქციონ ცხორებად, რამეთუ სახიერ იყო და ძვრუვსენებელ, და არა არს რიცხვ წყალობისა და კაცთმოყუარებისა მისისაჲ. დიდებაჲ მისა და ქებაჲ.

ან უკუე, ძმანო, ჩუენცა ესევეითარსა მას სიყუარულსა ვჰბაძვიდეთ, რადთა მივემსგავსნეთ ქრისტესა, რაოდენ შესაძლებელ არს მსგავსებაჲ მისი, რადთა ამასცა სოფელსა მშკდობით ვიყვნეთ და საუკუნეთა მათ კეთილთა მივემთხვნეთ მადლითა და კაცთმოყუარებითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რომლისაჲ არს დიდებაჲ და სიმტკიცე თანა მამით და სულით წმიდითურთ ან და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

ლორჯა-ყავთ ნეტარისა მამისა იოვანესთჳს და სანატრელისა მამისა ჩუენისა ეფთჳმესთჳს. რომელთა გვთარგმანეს წმიდაჲ ესე სახარებაჲ ჳერძულისაგან ქართულაჲ.

---

<sup>1</sup> ლუკ. 23,34.